

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის  
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

# სამართლის მეთოდები

N6, 2022

Legal Methods

Sulkhan-Saba Orbeliani University  
Prince David Institute for Law

UDC(უაკ)340

ს-216

## **რედაქტორები**

პროფესორი გიორგი ხუბუა (შთაინბაისის უნივერსიტეტი), პროფესორი დიმიტრი გეგენავა (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), პროფესორი მარიამ ჯიქია (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), ასოცირებული პროფესორი მალხაზ ნაკაშიძე (ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი), ასოცირებული პროფესორი სერგო ჭელიძე (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი), ასოცირებული პროფესორი სოფიო დემეტრაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), ასისტენტ-პროფესორი მარიამ ხოფერია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ასისტენტ-პროფესორი ზურაბ მაჭარაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

## **რეკონფერენტი**

პროფესორი გიორგი გორაძე (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), პროფესორი უშანგი ბახტაძე (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), ასისტენტ-პროფესორი გიორგი მესხი (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), ასისტენტი პაატა ჯავახიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ასისტენტი იაკობ ჭეიშვილი (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)

## **პორექტურა**

ციცინო ხითარიშვილი

ჟურნალი „სამართლის მეთოდები“, N6, 2022

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022

## **EDITORS**

Professor Giorgi Khubua (Steinbeis University), Professor Dimitry Gegenava (Sulkhan-Saba Orbeliani University), Professor Mariam Jikia (Georgian Technical University), Associate Professor Malkhaz Nakashidze (Batumi Shota Rustaveli University), Associate Professor Sergo Tchelidze (Caucasus International University), Associate Professor Sophio Demetrashvili (Georgian Technical University), Assistant-Professor Mariam Kheria (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Assistant-Professor Zurab Matcharadze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

## **REVIEWERS**

Professor George Goradze (Sulkhan-Saba Orbeliani University), Professor Ushangi Bakhtadze (Sulkhan-Saba Orbeliani University), Assistant-Professor Giorgi Meskhi (Sulkhan-Saba Orbeliani University), Assistant Paata Javakhishvili (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Assistant Jacob Cheishvili (Grigol Robakidze University)

## **COPY EDITOR**

Tsitsino Khitarishvili

Journal "Legal Methods", N6, 2022

SULKHAN-SABA ORBELIANI UNIVERSITY PRESS, 2022

© ავტორები/Authors, 2022

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი/Sulkhan-Saba Orbeliani University, 2022

ISSN 2449-2795

## შინაარსი

<b>ადამიანი სამართალში .....</b>	<b>1</b>
<i>გუსტავ რადბრუხი, ნინო ქათამაძის თარგმანი</i>	
<b>DER MENSCH IM RECHT .....</b>	<b>15</b>
<i>Gustav Radbruch, Translated by Nino Katamadze</i>	
<b>ბრიგოლ VII და „პაპის დიქტატი“ .....</b>	<b>16</b>
<i>მარიამ ხოფერია</i>	
<b>GREGORY VII AND “DICTATUS PAPAE” .....</b>	<b>21</b>
<i>Mariam Khoperia</i>	
<b>ზრობითი და დავალების ხელშეკრულებების სამართლებრივი კვალიფიკაცია დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას .....</b>	<b>22</b>
<i>ლანა ჩუბინიძე, ანა გოგორელიანი</i>	
<b>LEGAL QUALIFICATION OF LABOR CONTRACT AND CONTRACT OF MANDATE (SERVICE CONTRACT) WHEN CHECKING LEGALITY OF DEFAULT JUDGEMENT .....</b>	<b>57</b>
<i>Lana Chubinidze, Ana Gogoreliani</i>	
<b>თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები ძირითადი მოვალის ლიკვიდაციისას .....</b>	<b>59</b>
<i>გიორგი ბერიძე</i>	
<b>THE SCOPE OF THE SURETY'S LIABILITY IN THE EVENT OF THE LIQUIDATION OF THE PRINCIPAL DEBTOR.....</b>	<b>71</b>
<i>Giorgi Beridze</i>	

**საქმის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების  
ფარგლები საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთი  
ბანინების მაგალითზე.....72**

თამთა ყენია

**LIMITS OF REMAND POWER IN THE LIGHT OF ONE JUDGEMENT  
OF THE SUPREME COURT OF GEORGIA.....87**

Tamta Kenia

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის  
კომენტარი .....88**

ლევან წაქაძე

**COMMENT TO THE ARTICLE 126<sup>1</sup> OF THE CRIMINAL CODE OF  
GEORGIA..... 120**

Levan Tsakadze

**გადაუდებელი აუსცილებლობით ჩატარებული ჩხრეკის  
კანონიერება და ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთმტკიცების  
დასაშვებობა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
გადაწყვეტილების ანალიზი ..... 121**

ნინო ქარციხია

**LEGALITY OF THE URGENT SEARCH AND ADMISSIBILITY OF THE  
EVIDENCE SEIZED AS A RESULT OF THE SEARCH: ANALYSES OF  
THE DECISION OF THE CONSTITUTIONAL  
COURT OF GEORGIA ..... 147**

Nino Kartskhia

**გუსტავ რადბრუხი და „სამართლის ფილოსოფიის“ ქართული  
თარგმანი ..... 148**

დიმიტრი გეგენავა

**GUSTAV RADBRUCH AND GEORGIAN TRANSLATION OF  
"PHILOSOPHY OF LAW" ..... 158**

Dimitry Gegenava

## ადამიანი სამართალში\*

### გუსტავ რადბრუხი

#### გერმანულიდან თარგმნა ნინო ქათამაძემ\*\*

როდესაც ვსაუბრობ სამართალში ადამიანზე, საკითხი გულისხმობს არა მხოლოდ იმას, თუ როგორ აფასებს სამართალი ადამიანს ან როგორ მოქმედებს ან როგორ უნდა მოქმედებდეს სამართალი ადამიანზე, უფრო მეტიც, როგორ წარმოჩინდება სამართალი ადამიანთან, რომელზეც უნდა იმოქმედოს და რა ტიპის ადამიანს ეფუძნება სამართალი. ჩემი განხილვის საგანია არა რეალური ადამიანი, არამედ ადამიანების პროტოტიპი, რომელიც კანონის მთავარი სამიზნეა და რომლის მიმართაც ის თავის მოთხოვნებს ავრცელებს.

ეს პროტოტიპი სხვადასხვა ეპოქაში იცვლებოდა სამართლის განვითარებასთან ერთად. შეიძლება ითქვას: სამართლის ადრესატი ადამიანის პროტოტიპის ცვლილება სამართლის ისტორიაში „ეპოქას ქმნის“. არაფერია ეპოქისთვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე იმ ადამიანთა შეხედულება, რომელზეც ისაა ორიენტირებული.

სამართლებრივი წესრიგი არ დაიყოფა და დაიყვანება იმ ცალკეულ რეალურ ადამიანებზე, რომლებიც დედამიწაზე დადიან, ასევე ჰერბარიუმის საოცარ ნარგავებზე, რომლებსაც ჩვენ კაცობრიობას ვუნოდებთ. კონკრეტული, ემპირიული ადამიანისგან გზა სამართლებრივ წესრიგამდე არ მიდის, არამედ ზოგიერთი სამართლებრივი წესრიგის უარყოფისკენ. ვინც მაქს სტირნერთან ერთად „ცალკეულ ინდივიდზე“ აკეთებს სწორებას, ანარქიით ამთავრებს. კანონის დისპოზიცია თავისი ზოგადი შინაარსით შეიძლება აიგოს და ორიენტირდეს ადამიანთა ზოგად ტიპაჟზე, ხოლო სხვა-

---

\* Der Mensch im Recht – გუსტავ რადბრუხის 1926 წლის 13 ნოემბრის საინაუგურაციო ლექცია ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში.

\*\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. [orcid.org/0000-0003-4595-2972](https://orcid.org/0000-0003-4595-2972).

დასხვა ადამიანური თვისება სხვადასხვა სამართლებრივი ეპოქისთვის ქმნის ტიპურ, არსობრივ და გადამწყვეტ მიმართულებას სამართლებრივი ნორმების ფორმირებისთვის.

ცალკეული სამართლებრივი წესრიგის ადამიანთა მიმართ დამოკიდებულება ნათლად იკითხება, როდესაც ფასდება, თუ როგორაა ჩამოყალიბებული უფლება და ვალდებულება. შესაძლებელია იქიდან ამოვიდეთ, რომ სამართლებრივი წესრიგი უფრო ნაკლებად არის ორიენტირებული უფლების განხორციელებაზე, ვიდრე ვალდებულების შესრულებაზე. იერიנגმა აჩვენა, რომ სამართლებრივი წესრიგი ინგრევა არა მაშინ, როდესაც თავის ვალდებულებებს ვერ ასრულებს, არამედ მაშინ, როცა უფლება ვერ ხორციელდება. ამდენად, მართლწესრიგის მიერ დაფუძნებული უფლებებისა და ვალდებულებებიდან ვლინდება შესაბამის ქცევაზე მიმართული სამართლებრივი წესრიგის ნება. როდის გამოხატავს სამართლებრივი წესრიგი საკუთარ ნებას ვალდებულების ფორმირების დროს და როდის უფლების ჩამოყალიბებისას? ის აფუძნებს უფლებებს იქ, სადაც მიაჩნია, რომ საკუთარი ნების აღსრულება ურთიერთმფარავი ადამიანური იმპულსებით შესაძლებელია და ვალდებულებებს მაშინ, როდესაც მიიჩნევს, რომ მისი ნების საწინააღმდეგოდ, ადამიანურ მისწრაფებებს საპირისპირო მოტივი უნდა დაუწესოს. მის მიერ დადგენილი უფლება-მოვალეობებით ნათლად შეიცნობა, რეალურად რა იმპულსებს იწვევს ის ადამიანში.

შუა საუკუნეების გერმანული სამართლისა და იმ ეპოქის ადამიანის ტიპაჟის მიხედვით შემოიღია მხოლოდ დილეტანტობასა და კონტროლის საჭიროებაზე საუბარი. ამ ეპოქისთვის დამახასიათებლად მევლინება ვალდებულებებით განპირობებული უფლებების სიზშირე, იმ უფლებებისა, რომლებიც უზრუნველყოფილია ვალდებულების შესრულების მოლოდინით. ასეთი უფლებები საფრთხის გარეშე უნდა ფუნქციონირებდეს და ამდენად, მოითხოვს ჩვეულებებთან, მოვალეობისადმი რელიგიურობასა და საზოგადოებასთან მიზმიული ადამიანის არსებობას. სინამდვილეშიც, შუა საუკუნეების ეკონომიკური და სამართლებრივი წესწყობილება ცნორედ ამგვარად აფასებდა ადამიანს. გილდიის ბრძანება ნიშნავდა მონოპოლიების მინიჭებას იმ ნდობით, რომ გილდიის პა-



ტივი იქნებოდა საკმარისი იმპულსი სამუშაოს ხარისხიანად შესასრულებად და ეს ნდობა და რწმენა ფაქტობრივად შენარჩუნდა საუკუნეების მანძილზე.

ფეოდალური ორდენი ნიშნავდა, რომ შორსმიმავალი უფლებები თითქმის უკონტროლო და არაიძულებით ფორმატში უნდა განხორციელებულიყო, ფეოდალური სულისკვეთებით, ანუ წინაპირობით, რომელიც საბოლოოდ ჩავარდა: ფეოდალები გახდნენ სუვერენები, იმპერია დაინგრა, რომლის საბოლოო მიზეზი სამართალში ადამიანის კონცეფციაზე არაზუსტი წარმოდგენა გახდა.

რენესანსის, რეფორმაციისა და რეცეფციის ხანამ გაათავისუფლა ინდივიდი საზოგადოებისგან. ასე დაედო საფუძველი საზოგადოებისგან გაათავისუფლებული, არა ვალდებულების, არამედ ინტერესებით განპირობებული ცალკეული ინდივიდის სამართლის ამოსავალი პრინციპიდან გარდაქმნას. სამართალში ადამიანის ამ ახალ ტიპაჟში უკვე ჩანს კომერსანტი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოგებისკენ სწრაფვა და ანგარიშიანობა („ბიზნესში დასრულდა კომფორტის ეპოქა“), მოვაჭრის მოთხოვნილება იყო რეცეფცია წონადი მიზეზებით და ამდენად, სამართლის ადამიანის ახალ ტიპზე მორგება. მცირე გაზვიადებით შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ სამართალი ყველას ექცევა, როგორც ვაჭარს, დასაქმებულსაც კი, როგორც გამყიდველს, რომელიც ყიდის საქონელს – „სამუშაოს“.

პერსონიფიცირებული ეგოიზმით მოცული ადამიანთა ეპოქა იყოფა ორ პერიოდად: პოლიციური სახელმწიფო და განმანათლებლობა. პოლიციური სახელმწიფო არ ენდობა სამართლის ადრესატის ჯერ კიდევ მოუმწიფებელ აღქმას და ცდილობს ეს უკანასკნელი საკუთარი შეცდომისგანაც კი დაიცვას და საკუთარი ნების საწინააღმდეგოდაც კი გააბედნიეროს. ის (1766 სასამართლო პალატის დადგენილების მიხედვით) გვევლინება ქვეშევრდომების ბუნებრივ მეურვედ, სადაც ცდილობს საკუთარი სურვილის მიუხედავად იძულებით ასწავლოს, თუ როგორ უნდა წარუძღვეს საკუთარ მეურვეობას.

მაშინაც კი, როცა კარგად გააზრებული ეგოიზმი ხვდება იგივე მიმართულებით, უფრო მეტად არა მხოლოდ უფლებები, არამედ

ვალდებულებები წარმოჩინდებიან. რაც არ არის აკრძალული, მოთხოვნილია, უბრალოდ არაფერია დაშვებული. სამართლებრივი წესრიგი ადამიანს მოიაზრებს არსებად, რომელიც საკმარისად ეგოისტია, იხელმძღვანელოს მხოლოდ თავისი ინტერესებით, მაგრამ საკმარისად კარგად არ აქვს გააზრებული, ეს ინტერესი საკუთრად შეიცნოს.

მხოლოდ განმანათლებლობასა და ბუნებით სამართალს აქვს სამართლებრივი წესრიგი მიმართული ადამიანის ცალკეულ ტიპაჟზე, რომელზედაც დაფუძნებული იყო რომის სამართალი: ეს არის არა მხოლოდ საკუთარ პირად გამორჩენაზე ორიენტირებული, არამედ საკუთარი პირადი ინტერესიდან გამომდინარე ჭკვიანი პერსონა, რომელიც მისდევს რა საკუთარ, კარგად გააზრებულ ინტერესებს და ამავდროულად, თავისუფალია სოციალური ბოჭვისგან, ხოლო სამართლებრივ ბოჭვას მხოლოდ იმიტომ ექვემდებარება, რომ ამ უკანასკნელზე თავად საკუთარი პირადი კეთილდღეობის ინტერესია მიბმული. მასში მოიაზრებოდა გარდაუვალი მეთოდოლოგიური ხედვა და გარდამავალი, ისტორიულად განპირობებული შეხედულება. ფაქტობრივად, კანონმდებელმა საკუთარი კანონი იმ ჰიპოტეტიური მიზნით უნდა ჩამოაყალიბოს, თითქოს ადამიანი იმგვარად ეგოისტური და საკუთარი ინტერესებით მოცულია, რომ დაუფიქრებლად მიჰყვებოდა საკუთარ ინტერესებს, რომ არ ჰქონოდა კანონს ჩარჩოები, ამავდროულად, თითქოს ისეთი ჭკვიანიცაა, რომ მაშინვე ამოიცნობდა ამ ჩარჩოების ღია წერტილებს, მისი კანონი (კანტთან საუბარი) უნდა ერგებოდეს ეშმაკის წესებსაც, თუ მათ გონება აქვთ. იმავე კონტექსტში ამბობს მაკიაველიც: „არავის შეუძლია მისცეს რესპუბლიკას კონსტიტუცია ან კანონი, თუ ის ადამიანებს ბოროტებად არ მიიჩნევს“. „ცუდი ჩვეულებები ქმნის კარგ კანონს“. ნებისმიერი კანონი ორიენტირებული უნდა იყოს და ერგებოდეს ძალიან ეგოისტურად განწყობილ და ამავდროულად, ძალიან ჭკვიანი ადამიანის კონსტრუქციას. სხვა ეპოქებში აღნიშნული კონსტრუქცია უფრო მეტი იყო, ვიდრე ფიქცია, ეს იყო ემპირიული გამოცდილებით საშუალო სტატისტიკური ტიპი იმ აღქმით, რომ კლასიკური ნაციონალური ეკონომიკის საწყისების მსგავსად ადამიანთა უმრავლესობა ზუსტად შეესაბამება

*homo oeconomicus*-ის ტიპაჟს. ნათელი და სიცოცხლით სავსე დროის გასვლა არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ ადამიანთა უმრავლესობა არა საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული, გამჭრიახი და აქტიურია, არამედ კეთილშობილი, უმეცარი და ზარმაცი.

მხოლოდ ეს გულუბრყვილო რწმენა რეალობისადმი ადამიანთა წარმოდგენაზე გახდა მიზეზი, რამაც განაპირობა ამ დროში საკმაოდ თანმიმდევრულად და ლოგიკურად მთლიანი სამართლებრივი წესრიგის ახალი ტიპის ადამიანზე მორგება, რამაც ჩვენი ალფრთოვანება უნდა გამოიწვიოს. შუასაუკუნოვანი-პატრიარქალური წყობილების ნაშთები ქრება: ყველა ის უფლება, რომელიც გაცემულია ვალდებულების შესრულების მცდარი დათქმით, იყოფა სპეციალურ უფლებებად და სპეციალურ მოვალეობებად. საკუთრივ, პოლიციური სახელმწიფოს ვალდებულებები ვალდებული პირის არალიარებულ ინტერესებს უსწრებს წინ; სადაც პირის პირადი ინტერესი იმავე მიმართულებითაა, მას ვალდებულებები კი არ ეკისრება, არამედ მხოლოდ უფლებები აქვს მინიჭებული: **beneficia non obtruduntur**. ვისაც არ სურს, უკვე აქვს; ადამიანის ნება არის მისი ცათა სასუფეველი. ამასთან, აუცილებელია გონიერება და აქტიურობა, რომელიც ინტერესსა და საშუალებას მიიჩნევს განხორციელების აუცილებელ პირობად: **ignorantia juris nocet, jus vigilantibus scriptum** – ძილისგუდებს სამართალი არანაირ ყურადღებას აქცევს! ნებისმიერი ბოჭვა, გარდა სამართლის მიერ თავად დანესებულია, რომელიც კარგად გააზრებული ინტერესის განხორციელებას აფერხებს, ყველა სოციალური და ეკონომიკური ბოჭვა, იგნორირებულია, სამართლებრივი შესაძლებლობა გაიგივებულია ფაქტობრივ შესაძლებლობასთან. მაგალითად, ხელშეკრულების სამართლებრივი თავისუფლება ნიშნავს რეალური ხელშეკრულების დადების თავისუფლებას. მხოლოდ საკუთარი პირადი ინტერესებისთვის მოქმედი, გააზრებული, აქტიური და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები ერთმანეთის მიმართ თანასწორადაც არიან მიჩნეულნი. სახელშეკრულებო პარტნიორები ერთმანეთს ემსგავსებიან, როგორც ადამიანი და მისი სარკისებური გამოსახულება. სამართლებრივ ცხოვრებაში ისინი ირგებენ სხვადასხვა

როლს, ათასჯერ განმეორებად სიტუაციებში, მოჩვენებით გაორმაგებაში ერთი და იგივე ადამიანი ისევ საკუთარი თავის პირისპირ აღმოჩნდება.

ადამიანის შესახებ ეს კონცეფცია ჩვენი სამართლებრივი აზროვნების ბოლო პერიოდამდე გაბატონებული იყო იმაზე მეტად, ვიდრე ეს გვინდოდა. აილო რა სათავე კერძო სამართლიდან, ლოგიკურად და მიზანმიმართულად განვითარდა სამოქალაქო საპროცესო სამართალში: სახელშეკრულებო მაქსიმა ნიშნავს, რომ პროცესი ისე უნდა იყოს აგებული, თითქოს ჭადრაკის ორ მოთამაშეს, მართულთ საკუთარი კარგად გააზრებული ინტერესით, არ სჭირდება სამართლებრივი დახმარება და დაპირისპირებული მხარეები არიან თანასწორნი ერთმანეთის მიმართ. ფოიერბახის მიხედვით, სისხლის სამართალში დომინირებს იგივე პოზიცია: მისი ფსიქიკური იძულების თეორია ითვალისწინებს ადამიანს, რომელიც წმინდა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, გააზრებულად, ყოველგვარი სინდისის ქენჯნისა და ინსტიტუტების გარეშე, სჩადის დაგეგმილ დანაშაულს საკუთარი მიზნის მისაღწევად და იმკის მის დადებით ან უარყოფით შედეგებს. საჯარო სამართალიც, მისი საზოგადოებრივი შეთანხმების თეორიის მიხედვით, ამოსავალ პრინციპად განიხილავს კარგად გააზრებულ პირად ინტერესს თანასწორ და თავისუფალ ადამიანებს შორის. ამ ფონზე, ხმის უფლების გამოყენება ინდივიდუალური ინტერესების წმინდა პერსონალური გამოვლინებაა, სადაც შემთხვევით არჩევანის გაკეთებისას საბოლოო შედეგი უმრავლესობის ან უმცირესობის იდენტური ინტერესების გამოვლინებად წარმოჩინდება. ინდივიდუალური კენჭისყრის სოციოლოგიური საფუძველი – პარტია, კლასი კი სამართლის სამიზნის მიღმა რჩება. რუსო ილაშქრებდა პარტიის ფორმირების პროცესის წინააღმდეგ, რამეთუ ეს უკანასკნელი აყალბებს ინდივიდუალური ინტერესის გამოვლენას. ამდენად, სახელმწიფო სამართალი და სახელმწიფოს სამართლის შესახებ მოძღვრება სულ მცირე არცთუ ისე შორეულ წარსულში, ძლევამოსილ პარტიებს ეგნორირებას უკეთებდა. ისინი მიჩნეულნი იყვნენ სოციოლოგიურ სტრუქტურად სამართლებრივი პატივის გარეშე, სამართლისთვის კი არსებობენ მხოლოდ ცალკეული ამომრჩეველები. ამდენად, სა-

მართლის ყველა მიმართულება იყო ინდივიდუალისტურ და ინტელექტუალ ადამიანის ტიპზე ორიენტირებული, სამართლებრივი ნესრიგის მხოლოდ ერთ კუთხეში რჩებოდა არქაული პატრიარქალური შეხედულება შეზღუდული ყოფიერების ვალდებულებებით გაჟღენთილი და განპირობებული უფლებების შესახებ: ეს იყო საოჯახო სამართალი. საკუთარი ცოლისა და შვილების წინაშე კაცი ქმარი და მამა იყო უფლებებით აღჭურვილი, რათა შეესრულებინა კანონისმიერი მოვალეობები. მაგრამ საოჯახო სამართალშიც კი სულ უფრო და უფრო ჩნდებოდა სამართლებრივი გარანტიები მშობლისა და მეუღლეების კანონისმიერი ვალდებულებების გეგმაზომიერი შესრულებისათვის – გათვალისწინებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და არასრულწლოვანთა კეთილდღეობის შესახებ კანონები. თუმცა საოჯახო სამართალში ვალდებულებებით განპირობებული უფლებები დაიყო საკუთარ უფლებებად და სხვისთვის სასარგებლო მოვალეობებად.

თუმცა ამასობაში სულ უფრო და უფრო მეტად ცხადი ხდებოდა, რამდენად ფიქტიურია სავარაუდო ემპირიული საშუალო სტატისტიკური ტიპი ლიბერალური სამართლებრივი ეპოქისთვის. ადამიანი ყოველთვის აღარ არის იმ მდგომარეობაში, რომ შეიცნოს საკუთარი ინტერესები ან მიჰყვეს უკვე გააზრებულ ინტერესებს ან იყოს საკუთარი ინტერესებით მოტივირებული – და ყველა ასეთ სიტუაციაში აუცილებლობისას გამოუცდელობისა და წინდაუხედაობის შემთხვევაში სამართალი, რომელიც მხოლოდ გონიერ, თავისუფალ და დაინტერესებულ ადამიანზეა გათვლილი, არ მოქმედებს მათზე, ვინც ამ ტიპს არ განეკუთვნება. სამეცნიერო კანონმდებლობის მიხედვით, სამართლის სუბიექტისადმი დაწესებული სამართლებრივი დაცვა თავად ამ სუბიექტის წინააღმდეგაა მიმართული. პათოსი გრძელდება შრომითი ურთიერთობების დაცვის კანონმდებლობაში ხელშეკრულების შეზღუდვის გზით. სამოქალაქო პროცესში – თავდაპირველად ავსტრიული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით – უფრო და უფრო შეინიშნება მხარეთა ჩარევა მათივე ინტერესების სახელით, რაც მოსამართლის მიერაც გაზიარებულია. ეს კი კიდევ უფრო თრგუნავს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს. სისხლის სამართალში ფო-

იერბახის შეკავების ფიზიკის კანონს ჩაძირვა ემუქრება; ჩანს, რომ დამნაშავეს ყველაზე ნაკლებად შეუძლია, ცივი გონებით, მისი საქციელის დადებითი და უარყოფითი მხარეების ანონ-დანონა და ანალიზის შედეგად მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ვარიანტის არჩევა, რომელსაც განავითარებს, ესე იგი გაიაზროს მისი საუკეთესო ინტერესი ან უკვე გააზრებულ ინტერესს მიჰყვეს. და გაუმჯობესებაზე ფიქრი (ახალი ადამიანის სამომავლო ტიპაჟი ამისთვის კარგად გამოსადეგია) დამნაშავეს ერთფეროვანი ტიპის მიღმა ფსიქოლოგიური პროტოტიპების კიდევ უფრო მრავალფეროვან სიმრავლეს წარმოშობს – როგორიცაა, შემთხვევითი და რეციდივისტი, გამოსწორებული და გამოუსწორებელი დამნაშავე. სისხლის სამართლის თაობაზე ახალ მოძღვრებას თამამად შეიძლება ვუნოდოთ სისხლის სამართლის სოციოლოგიური თეორია, რადგან აქამდე წმინდა სოციოლოგიურ ფაქტებს სამართლებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. სამართალში ადამიანის შესახებ ახალი შეხედულება ჩამოყალიბების პროცესშია, სამართლებრივი აზროვნების შემობრუნება ახალი სამართლებრივი ეპოქის ჩამოყალიბებისთვის მზადაა.

ადამიანის ახალი პროტოტიპი აბსტრაქტულ თავისუფლებასთან, საკუთარ ინტერესებთან და ლიბერალური ეპოქის სიბრძნის საზომთან მიმართებით ბევრად უფრო რეალური (ცოცხალი) ტიპია, რომელშიც გათვალისწინებულია სამართლის სუბიექტის ინტელექტუალური, ეკონომიკური, სოციალური ძალაუფლების მდგომარეობა. სამართალში ადამიანი უკვე აღარ არის რობინზონი ან ადამი, იზოლირებული ინდივიდი, არამედ ადამიანის სოციუმის ფარგლებში, კოლექტიური სამართალსუბიექტი. სოციალურ სინამდვილესთან იურიდიული სუბიექტის ტიპის დამსგავსებით სამართლის სუბიექტი იყოფა სოციალურ და სამართლებრივად რელევანტურ ტიპთა უმრავლესობად. ეს ყველაფერი განსაკუთრებით თვალნათლივ შეიძლება აისახოს შრომის სამართალში, რომელიც სოციალურ ეპოქაშიც იმავე გაგებით პიონერულია, როგორც ლიბერალურ ეპოქაში სამენარმეო სამართალი.

კერძო სამართალი, „სამოქალაქო“ სამართალი იცნობს მხოლოდ თანასწორ სუბიექტებს, რომლებიც ორივე მხარეს თავისუფალი ნე-

ბის გამოვლენის გზით ერთვებიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში და არა დამსაქმებელი საკუთარი ძალაუფლების ფარგლებში დასაქმებულებთან. მან არაფერი იცის ასევე დასაქმებულთა გაერთიანებების სოლიდარობაზე, რომელიც ცდილობს ცალკეული დამსაქმებლების ძალაუფლების დასაქმებულებთან გათანაბრებას, ასევე არაფერი იცის მსხვილი პროფესიული კავშირების შესახებ, რომლებიც კოლექტიური ხელშეკრულებებით არიან შრომითი ხელშეკრულების ფაქტობრივი მონაწილეები, ის ხედავს მხოლოდ ცალკეულ ინდივიდუალურ კონტრაქტებს და ცალკეულ შრომით ხელშეკრულებას. ამასთან, მან არაფერი იცის დამსაქმებელთა გაერთიანებების შესახებაც: სამოქალაქო სამართალი იცნობს მხოლოდ ისეთი შრომითი ხელშეკრულებების მრავალფეროვნებას, რომლის დამსაქმებლები დასაქმებულს აღიქვამენ არა სამართლებრივი ვალდებულებით აღჭურვილად, არამედ კომპანიის, როგორც დახურული სოციოლოგიური ერთიანობის, სამუშაო ძალად, ანუ ხედავენ ტყეს და არა ხეებს. ეს არის შრომის სამართლის არსი: მისი უფრო დიდი რეალიზმი. სუბიექტის თაობაზე სამოქალაქო კოდექსის აბსტრაქტული ხედვისგან განსხვავებით, შრომის სამართალი აქცენტს აკეთებს სანარმოზე, დასაქმებულებზე, თანამშრომლებზე, არა მხოლოდ ცალკეულ პირებზე, არამედ გაერთიანებებსა და კომპანიებზე, არა მხოლოდ თავისუფალ ხელშეკრულებებზე, არამედ მძიმე ეკონომიკური ძალების გადანაწილებისთვის ჭიდილზე, რომლებიც ქმნიან ამ თითქოსდა თავისუფალ ხელშეკრულებებს. ცალკეულ ადამიანებს ის უყურებს როგორც გაერთიანების, სანარმოს ან საბოლოოდ, მთლიანი ეკონომიკის და საზოგადოების ნევრებს (შემადგენელ კომპონენტებს), ყველასთან ერთად მისგან გამომდინარე მოტივებით, საერთო სულისკვეთების მოტივებით ან სულ მცირე გაფართოებული ეგოიზმით, რომელსაც ჩვენ სოლიდარობას ვუნოდებთ.

საჯარო სამართალიც ადამიანის შესახებ ამ ახალ თეორიას ეფუძნება. ჩვენ დემოკრატიის ცნების ხელახლა გადაფასების პროცესში ვართ: ხდება იზოლირებული ინდივიდის ტიპზე მორგებული დემოკრატიის პრინციპის გადაფასება კოლექტიური პირის ცნებაზე. დემოკრატია ჩვენთვის უკვე აღარ ნიშნავს: „ყველაფრის თა-

ნანსწორობას, რასაც ადამიანის სახე აქვს“, არამედ მის საპირისპიროს, „ლიდერის გამორჩევის“ საუკეთესო გზას. ამდენად, ის აღარ გვევლინება ცალკეული პიროვნებების კრებითად, არამედ არის ბევრად რთული სოციოლოგიური მთლიანობა, რომელიც აერთიანებს სოციალურ ჯგუფებს, კლასებს, პარტიებს. ეს გამოიყენება დემოკრატიის არა მხოლოდ სოციოლოგიური და პოლიტიკური ცნებისთვის, არამედ დემოკრატიის სამართლებრივი განმარტებისთვისაც: პროპორციული არჩევნების ფორმირებისთვის ყველა ჯგუფს აქვს იურიდიული მნიშვნელობა. პარტიები, ცოტა ხნის წინ კულისებში რომ ისხდნენ, ახლა სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანოებია და სახელმწიფო მონყობის სამართლისა და საჯარო სამართლის სცენაზე არიან მოთავსებულნი.

ვფიქრობთ რა სამართალში ადამიანზე, როგორც კოლექტიურ სუბიექტზე, ეს ნიშნავს ვიფიქროთ კოლექტიურ ეთოსზეც მასში. ხდება უფლების ახალი „ეთიკიზაცია“, ანუ უფლების ახლებური განხორციელება ეთიკური ვალდებულების კონსტრუქციით: „საკუთრება ავალდებულებს“ ვამბობთ და „საარჩევნო უფლება ქმნის საარჩევნო ვალდებულებას“ და ბოლოს, იერინგმა შთამბეჭდავად მოიგო ბრძოლა უფლებისთვის მორალური ვალდებულებების დაკისრებით. ვალდებულებით გაჟღენთილი ამგვარი უფლებებით სოციალური სამართლებრივი ეპოქა ხელახლა იწყებს ფიქრს პატრიარქალურ სამართლებრივ ეპოქაზე: ჩვენთვისაც ყველა უფლება არის უბრალოდ საზოგადოების ფეოდალური საკუთრება. მაგრამ ვალდებულებებით გამსჭვალვა, ამავდროულად, პატრიარქალური წყობისგან განსხვავებით, არის ვალდებულების მდგომარეობა. ომის ეკონომიკამაც მიგვაჩვია, რომ თითოეული უფლება მივიჩნიოთ როგორც დროებითი უფლება, რომელიც მინდობილია ინდივიდზე ვალდებულების შესრულების პირობით მომდევნო მითითებამდე. კანონმდებელი ყოველთვის მზად არის, დაეხმაროს სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც ვალდებულებებით განპირობებული უფლებიდან სარგებელს ვერ იღებენ, გათავისუფლდნენ მისგან. ყველა ჩვენი უფლება გახდა გაუქმებადი უფლება.

სხვადასხვა პოზიციის ამგვარი წარმოჩენით ადამიანი, როგორც სამართლებრივი წესრიგის ობიექტის თემა, ჯერ კიდევ არ არის



ამონურული. საჭიროა, თუმცა უფრო ფართო ქრილში, ჩამოვყალიბოთ როგორ მოქმედებს სამართალი ადამიანზე, როგორც მის სუბიექტსა და შემქმნელზე, უფრო მეტიც: მოიაზრებდა თუ არა ადამიანური კანონმდებელი მას, როგორც წინაპარს. ამდენად, ადამიანი, როგორც კანონმდებელი, მიჩნეულია ისტორიის გვიანდელ მიღწევად.

გერმანულ წესნყობილებაში იყო სამართალი, ჩვეულება, მორალი, რელიგია, წინაპრების სიბრძნე, ღმერთის ნება და ამდენად, არ არსებობდა ადამიანური კანონმდებლობა. სამართლებრივ ლიტერატურაში სამართლის განვითარება, სიბრძნე, ახალი გარდაიქმნა ძველად: „საქსონიის სარკეში“ მას ჰქვია: „ეს კანონი მხოლოდ მე არ მომიფიქრებია, ის ჩვენ უძველესი დროიდან ჩვენი კარგი წინაპრებისგან გადმოგვცა“.

ამდენად, პირველი კანონმდებელი წარმოგვიდგება ადამიანად, რომელიც ბოროტი ხელით ღმერთის კომპეტენციაში ჩაერია. გერმანიაში ადამიანურ კანონმდებლობამდე გზა ძალიან ნელი და დაგვიანებული იყო. მნიშვნელოვანი ცვლილებები შედის კანონმდებლობაში კაროლინგებისა და მეროვინგების ჟამს. უშუალოდ ხალხისთვის სამართლის შექმნისთვის არც მეფე იყო მზად, თუმცა შეეძლო თავისი დაქვემდებარებულებისთვის მოეთხოვა. დანერგილი სამართალი იყო მხოლოდ ოფიციალური სამეფო კანონი და ასეთი სამართალი ავალდებულებდა მხოლოდ სამეფო სასამართლოებს, ხალხი და სახალხო სასამართლოები კი აგრძელებდა არსებობას სახალხო სამართლით. აქედან მალევე დაიწყო ჭიდილი სამეფო და სახალხო სამართალს შორის იურისდიქციასთან დაკავშირებით, რაც „სამართალსა და სახელმწიფოს შორის მიმდინარე მუდმივი პროცესის“ გამოვლინების ფორმა იყო.

მოდით, გადმოვინაცვლოთ ახალ ეპოქაში! ახალ ეპოქაშიც სამართლის თეორიაც და პრაქტიკაც ისწრაფვიან, არ დაეყრდნონ მხოლოდ კანონს, არამედ პოზიციის გასამყარებლად იყენებენ სხვადასხვა აქტორს, ბიბლიას, ძველი დროის კლასიკოსებს. ამით ისინი გამოხატავენ, რომ დღევანდელ სახელმწიფო კანონების აუცილებლად მავალდებულებელ ძალას კვლავ არ ცნობენ. ჩვენ ვართ ბუნებითი სამართლის ეპოქაში, რომელიც პოზიტიურ სა-

მართალს არა სახელმწიფოს მხრიდან იძულებით აღსრულებადი ბერკეტის, არამედ მისი შინაარსის სისწორის გამო აღიარებენ. ჰობსი მსგავს პოზიციებთან დაკავშირებით აღნიშნავდა: **“that law is not counsel, but command”**.

დანერვილ სამართალში რომის სამართლის ინკორპორაციამ, იმპერიის წინამორბედად აღიარებული რომის იმპერატორის ნებით, გზა გაუხსნა სახელმწიფოს ნების კანონად ქცევას, თუმცა ეს მხოლოდ აბსოლუტურ სახელმწიფოში იყო განხორციელებადი. სამოხელეო სახელმწიფოში იმარჯვებს მოხელეთა სამართალი. პირველად, განმანათლებლობამ ჩაანაცვლა მართვის სახალხო სურვილი (სულისკვეთება) სახელმწიფო კანონმდებლის მიზანმიმართული ნებით. ენა ამ შემთხვევაში არის ცნობიერების შეცვლის საუკეთესო მოწმობა. თანამედროვე საკანონმდებლო ლექსიკა ჩნდება მაშინვე, ენა, რომელსაც აქვს გაცნობიერებული საკანონმდებლო ძალმოსილება, არის ბრძანებათა საოცრად თანმიმდევრული ენა, რომელიც კიდევ უფრო მძაფრად ილაშქრებს დარწმუნების, დაყოფის, განმანათლებლობის ენის წინააღმდეგ. როგორც იქნა ასპარეზზე გამოდის აბსოლუტური მმართველის ხატად ადამიანი, როგორც კანონმდებელი.

აბსოლუტური სახელმწიფოს გარდაქმნა კონსტიტუციურ სახელმწიფოდ ნიშნავს, რომ ხალხის ნება შედიოდეს სახელმწიფო ნებაში, რომ სამართალი ახლიდან დეპერსონირდება და ხდება უფრო კოლექტივიზებული. დღეს კანონმდებლობა უკვე აღარ ეფუძნება მხოლოდ სახალხო წარმომადგენლობას, არამედ მთლიანად ხალხს. ექსპერტები და დაინტერესებული მხარეები უფრო დიდი მოცულობით მოჰყავთ მოსამზადებლად, ნაწილობრივ არაფორმალურად, ნაწილობრივ ზოგადად – საიმპერიო ეკონომიკურ საბჭოში – საკონსტიტუციო ფორმებით. სამართალი გარდაიქმნება ახალი ტიპის სახალხო სამართლად, რომელიც აღარ არის არაორგანიზებული ხალხის ინსტიტუტური სულისკვეთება, არამედ მიზანმიმართულად ორგანიზებული ხალხის ნება.

ამდენად, ისტორია იღებს სათავეს გათვითცნობიერებული საერთო ნებიდან, გადადის კანონმდებლის გაცნობიერებულ ინდივიდუალურ ნებაზე და ამიტომია ზუსტი შესაბამისობა ჩვენს შეხედუ-

ლებებთან ადამიანზე, როგორც სამართლის სუბიექტზე და ადამიანზე, როგორც სამართლის ობიექტზე. ყველა უფლება, თავდაპირველად სუბიექტური და ასევე ობიექტური გაგებით, არის კოლექტიური უფლება, საზოგადო სულისკვეთების უფლება საზოგადოების წევრი ადამიანებისთვის, ამავდროულად ორივე მნიშვნელობით ის არის ინდივიდუალური უფლება, ინდივიდუალური კანონმდებლის ნება, რომელიც ერგება აბსტრაქტულად ინდივიდის კატეგორიას, ამდენად, საზოგადო უფლების ორმავე ცნებას, რომელიც უკვე აღარ არის პატრიარქალური სამართალი, არამედ არის ორგანიზებული სოციუმის სამართალი.

ამდენად, უნდა დავუბრუნდეთ ადამიანის, როგორც სამართლის ობიექტის გაგებას. აქ გამოთქმული მოსაზრებები არავითარ შემთხვევაში არ არის შესაბამისი პროცესის გარეშე. სხვა ფორმით, ისტორიული კონსტრუქციების გამჭვირვალე ფარდის ქვეშ ისინი ყოველთვის შენარჩუნებულია: ბუნებრივი მდგომარეობის მოძღვრებაში. ბუნებრივი მდგომარეობის ცნებაში სხვა არაფერი იგულისხმება თუ არა ისტორიული წინამორბედი ადამიანის სულიერი მდგომარეობა, რომელიც სამართალს და მის საწყის წერტილს ქმნის, და სამართლებრივი ეპოქები მონაცვლეობით თაყვანს სცემს ამ სულიერი მდგომარეობის ორივე საპირისპირო შეხედულებებს, რომელსაც ბუნებითი სამართლის დოქტრინაში უწოდებენ "appetitatus societatis" (Grotius) და "homo homini lupus" (Hobbes). გეორგ ელინეკმა თავის აღმატებულ და შინაარსობრივად მდიდარ მოხსენებაში კარგად აჩვენა ძველი სახელმწიფო დოქტრინა, რაც დასაბამს იღებს ძველი ადამიანის ტიპიდან, რომელიც კაცობრიობის მამამთავარის ისტორიულ სურათს დაემსგავსა. ამდენად, ძველი ადამი თავის ისტორიულად ცვალებად გამოვლინებისა და მსჯელობის ფორმაში – არის ადამიანი სამართალში.

სახელის მოხსენიებით, გავაცოცხლე ჩვენი დიდებული უნივერსიტეტის, ჰაიდელბერგის, ყველაზე დიდებული ეპოქა, გეორგ ელინეკის, ვილჰელმ ვინდელბანდის, ემილ ლასკის, ერნსტ ტრიოლჩის, ებეჰარდ გოთჰაინისა და მაქს ვებერის ეპოქა. ჰაიდელბერგს ვუმაღლი ჩემს გონებრივ გამონრთობას და თუ ახლა მონიჭებული მაქვს შესაძლებლობა, კვლავ ვენვიო ჩემი სულის ძველ სამშობ-

გუსტავ რადბრუხი

ლოს, ამდენად, მე არ ვიცი იმაზე უკეთესი აღსარება, ვიდრე ამ დიდოსტატების მოგონებაა. მაგრამ უცნაური დამთხვევაა, რომ სწორედ ჰაიდელბერგში იპოვა იმ ორმა არა საკუთარი მოქმედების არეალი, არამედ საბოლოო ნავსაყუდელი, ადამიანებმა, რომლებიც ჩემი პროფესიული ცხოვრების ორივე მიმართულებით, ვიწრო გაგებით, იყვნენ ჩემი მასწავლებლები, ოსტატები, მამობრივი მეგობრები: ფრანც ფონ ლისტი და ფრიდრიხ ებერტი. ნება მიბოძეთ, ჩემთვის ამ საზეიმო მომენტში მათი სახელები მოვისხსენიო ჩაუმქრალ მოგონებებად და უდიდესი მადლიერებით. ამ ახალ მინდორს მათი სულებისთვის დავამუშავებ.

Schaff, das Tagwerk meiner Hände, hohes Glück, daß ichs vollende!\*

---

\* ციტატა გოეთეს ნაწარმოებიდან – Hoffnung.

## **DER MENSCH IM RECHT**

**Gustav Radbruch**

**Translated by Nino Katamadze\***

“Der Mensch im Recht” is an inaugural lecture of Gustav Radbruch, which he gave at University of Heidelberg. He discusses ideas and basic directions of image of human and personality in law and legal history. Georgian article is a translation from German.

Keywords: Radbruch, Human, Person, Law.

---

\* Associate Professor at Sulkhani-Saba Orbeliani University. [orcid.org/0000-0003-4595-2972](https://orcid.org/0000-0003-4595-2972)

## ბრიტოლ VII და „პაპის დიქტატი“

მარიამ ხოფერია\*

**Dictatus papae** არის კათოლიკე ეკლესიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც პაპ გრიგოლ VII-ს უკავშირდება. გრიგოლ VII (საერო სახელი ჰილდებრანდი<sup>1</sup>) დაიბადა 1015 წელს სოვანაში, წმინდა რომის იმპერიაში ლარიზი ტოსკანელი მინათმოქმედების ოჯახში.<sup>2</sup> იგი 12 წლის განმავლობაში იკავებდა რომის პაპის ტახტს<sup>3</sup> და ამ ხნის მანძილზე არაერთი რეფორმა გაატარა, რომელთა შორისაც განსაკუთრებით აღსანიშნავია რომის ეკლესიაში ცეილიბატის საბოლოო დადგენა,<sup>4</sup> ეკლესიის საერო ხელისუფლების განდამოუკიდებლობის განმტკიცება.<sup>5</sup> პაპი აქტიურად ებრძოდა ევროპელ მონარქებსა და მთავრებს,<sup>6</sup> გამორჩეულია მისი დაპირისპირება იმპერატორთან: მხოლოდ ჰაინრიჰ IV სამჯერ განკვეთა ეკლესიიდან.<sup>7</sup>

იმპერატორთან ხანგრძლივი დაპირისპირებისა და წმინდა რომის იმპერიის ჯარების შეტევის გამო პაპი იძულებული გახდა, დაეტოვებინა რომი და თავი სალერნოსთვის შეეფარებინა, სადაც

---

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი. [orcid.org/0000-0002-4798-5949](https://orcid.org/0000-0002-4798-5949).

<sup>1</sup> O'Malley J.W., *A History of the Popes, From Peter to Present*, Rowman & Littlefield Publishers, 2010, 95.

<sup>2</sup> Cowdrey H.E.J., *Pope Gregory VII, 1073-1085*, Clarendon Press, 1998, 27.

<sup>3</sup> Duffy E., *Saints and Sinners, A History of the Popes*, Yale University Press, 2014, 21.

<sup>4</sup> Fukuyama F., *The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution*, London, 2012, 264.

<sup>5</sup> გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 23.

<sup>6</sup> Cheetham N., *Keepers of the Keys, A History of the Popes from St. Peter to John Paul II*, New York, 1983, 93-94.

<sup>7</sup> Fukuyama F., *The Origins of Political Order, From Prehuman Times to the French Revolution*, London, 2012, 265-266.

დეენილობაში გარდაიცვალა 1085 წელს.<sup>8</sup> დაკრძალულია სალერნოს საკათედრო ტაძარში, მის საფლავს კი მრავლისმთქმელი წარწერა ამშვენებს: „მიყვარდა სამართლიანობა და მძულდა უსამართლობა, ამიტომაც ვკვდები დეენილობაში“<sup>9</sup>. საერო მმართველებთან ხანგრძლივი ბრძოლისა და ეკლესიის რეფორმირების გამო ჰილდებრანდს უამრავი მონინალმდევე ჰყავდა, პოლიტიკურმა მტრებმა არაერთი ჭორი და ისტორია შეთხზეს მის განსაქიქებლად, რის გამოც დღეს მისი პიროვნების მიმართ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებია.<sup>10</sup>

პაპის დიქტატი (*Dictatus papae*) პაპის რეესტრში 1075 წელს მოხვდა.<sup>11</sup> იგი აღმოჩენილია 1075 წლის 3 და 5 მარტით დათარიღებულ ორ წერილს შორის.<sup>12</sup> ზოგი მიიჩნევს, რომ დოკუმენტი თავად გრიგოლმა დაწერა, ზოგი ამტკიცებს, რომ დოკუმენტი გვიან პერიოდს განეკუთვნება. დოკუმენტი, რომელიც 27 პრინციპისგან შედგება, პაპის სხვა აქტებისგან განსხვავებით, კლასიკურ სტრუქტურას არ შეიცავს, ასევე არაა სათანადო წესით დამონმებული. ფაქტობრივად, თავდაპირველად დიქტატი ეკლესიის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი იყო და რომის კურიის ფარგლებს არ გასცდენია. საბოლოოდ, მისი სახელწოდების გათვალისწინებით, იგი მაინც მიიჩნევა უშუალოდ პონტიფიკოსის და არა მისი კანცელარიის მიერ შესრულებულად.

დოკუმენტი გამორჩეულია როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების, ისე კანონიკური სამართლის თვალსაზრისით.<sup>13</sup>

<sup>8</sup> ჯავახიშვილი მ., პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში, თბილისი, 2015, 57.

<sup>9</sup> *Dilexi iustitiam et odivi iniquitatem propterea morior in exilio.* იხ., Pirlo P.O., *My First Book of Saints, Sons of Holy Mary Immaculate - Quality Catholic Publications*, 1997, 115.

<sup>10</sup> Duffy E., *Saints and Sinners, A History of the Popes*, Yale University Press, 2014, 121.

<sup>11</sup> O'Malley J.W., *A History of the Popes, From Peter to Present*, Rowman & Littlefield Publishers, 2010, 99.

<sup>12</sup> Cowdrey H.E.J., *Pope Gregory VII, 1073-1085*, Clarendon Press, 1998, 100.

<sup>13</sup> Cheetham N., *Keepers of the Keys, A History of the Popes from St. Peter to John Paul II*, New York, 1983, 94.

მარიამ ხოფერია

იგი განამტკიცებს ეკლესიის დამოუკიდებლობასა და უზენაესობას სასულიერო საკითხებში, მათ შორის, მოითხოვს ეპისკოპოსთა და წინამძღვართა გამორჩევის საკითხებში საერო ხელისუფლების ჩაურევლობას, ადგენს პაპის უცთომელობისა და პრიმატის კანონიკურსამართლებრივ პრინციპებს, ხაზს უსვამს ეკლესიის, როგორც ძალაუფლების ლეგიტიმაციის შემფასებლისა და დამადასტურებლის ფუნქციას. „პაპის დიქტატმა“ მნიშვნელოვნად განაპირობა ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებები და სერიოზული გავლენა იქონია საეკლესიო საკითხებში რომის ეკლესიისა და მისი პირველიერარქის უზენაესობისა და პრიმატის კანონიკურსამართლებრივად დამკვიდრება-განმტკიცებაში.

## **პაპის დიქტატი**

### **ლათინურიდან თარგმნა მარიამ ხოფერიამ**

1. რომის ეკლესია უშუალოდ ღმერთის დაარსებულია.
2. მხოლოდ რომის პონტიფიკოსს აქვს უფლება საყოველთაოდ მოიხსენიებოდეს.
3. მხოლოდ მას აქვს უფლება დანიშნოს ან გადააყენოს ეპისკოპოსები.
4. თავისი არსით, მისი ლეგატი ნებისმიერი ეპისკოპოსის ლეგატზე მაღლა დგას, თუნდაც ნაკლები წოდება ჰქონდეს; მასვე ეკუთვნის ეპისკოპოსის გადაყვანის უფლებაც.
5. პაპს უფლება აქვს გადააყენოს პირები მათ დაუსწრებლად.
6. პაპის მიერ განკვეთილებთან ერთ სახლში ყოფნა იკრძალება.
7. მხოლოდ პაპს აქვს უფლება, დროთა განმავლობაში, საჭიროები-სამებრ გამოსცეს ახალი კანონები, შექმნას ახალი სამრევლოები, კანონიკური სააბატოეები და პირიქით, გაყოს მდიდარი და გააერთიანოს ღარიბი საეპისკოპოსოები.
8. მხოლოდ პაპს აქვს უფლება ატაროს საიმპერატორო ინსიგნიები.
9. ყველა მთავარი ვალდებულია ფერხთ ემთხვეოს მხოლოდ პაპს.
10. ეკლესიებში მხოლოდ მისი სახელი უნდა მოიხსენიებოდეს.



11. მისი სახელი ერთადერთია მთელ მსოფლიოში.
12. მას უფლება აქვს გადააყენოს იმპერატორები.
13. აუცილებლობის შემთვევაში, მხოლოდ მას აქვს უფლება ეპისკოპოსები [ერთი საეპისკოპოდან მეორეში] გადაიყვანოს.
14. მას უფლება აქვს, საკუთარი სურვილისამებრ, ხელი დაასხას კლირიკოს ნებისმიერ ეკლესიაში.
15. მის მიერ ხელდასხმულ პირს შეუძლია უწინამძღვროს ნებისმიერ ეკლესიას, მაგრამ არ იომოს; და ნებისმიერი სხვა ეპისკოპოსისგან უფრო მაღალ წოდებას არ უნდა დათანხმდეს.
16. მისი ბრძანების გარეშე არცერთ სინოდს შეიძლება ეწოდოს დიდი.
17. მისი ხელისუფლების/ძალმოსილების გარეშე არცერთი კაპიტული და წიგნი მიიჩნევა კანონიკურად.
18. არავის ძალუძს შეცვალოს მისი გადაწყვეტილებები და მხოლოდ მასვე შეუძლია შეცვალოს ისინი.
19. არავის აქვს მისი განსჯის უფლება.
20. არავის აქვს უფლება განიკითხოს ის, ვინც აპელაციით მიმართა სამოციქულო საყდარს.
21. ყოველი ეკლესიის დიდმნიშვნელოვანი საქმეები პაპს უნდა გადაეცეს განსახილველად.
22. რომის ეკლესია არასოდეს შემცდარა და სამარადჟამოდ უცთომელი იქნება, თანახმად წმინდა წერილისა.
23. რომის პონტიფიკოსი, თუკი იგი კანონიკურად იქნა გამორჩეული, წმინდა პეტრეს დამსახურებების გათვალისწინებით, უთუოდ წმინდა გახდება, როგორც ეს დაადასტურა ეპისკოპოსმა წმინდა ენოდოუს პავიელმა; მას სხვა მრავალი წმინდა მამა ეთანხმება, რასაც ნეტარი პაპი სიმაქის დეკრეტები შეიცავს.
24. მისი ბრძანებითა და ნებით, ქვემდგომთ შეუძლიათ ბრალი დასდონ.
25. მას სინოდის მოწვევის გარეშე შეუძლია გადააყენოს ან აღადგინოს ეპისკოპოსები [თავიანთ თანამდებობაზე].
26. ვერავინ მიიჩნევა კათოლიკედ, ვისაც არ აქვს თანხმობა რომის ეკლესიასთან.

მარიამ ხოფერია

27. მას შეუძლია ქვემდგომნი შეცდომილისადმი ერთგულების ფიცისგან გაათავისუფლოს.

## **GREGORY VII AND “DICTATUS PAPAE”**

**Mariam Khoperia\***

Pope Gregory VII was one of the most extraordinary and active popes who ever hold St. Peter’s throne. His reforms are well known. “Dictatus Papae” is a controversial document that enumerated basic principles and ideas of the Church, which determined future development of all Europe. Georgian text of the document is a translation from Latin original.

Keywords: Pope, Gregory VII, Dictatus Papae.

---

\* Professor at Sulkhan-Saba Orbeliani University, Assistant-Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. [orcid.org/0000-0002-4798-5949](https://orcid.org/0000-0002-4798-5949).

## შრომითი და დავალების ხელშეკრულებების სამართლებრივი კვალიფიკაცია დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას

ლანა ჩუბინიძე\*, ანა გოგორელიანი\*\*

### I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით. ეს არის დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც აღიქმება როგორც სახელმწიფოს ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულებების ქრილში. ერთი მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაო ადგილების შექმნა, რაც აპრიორი გარემოებაა ადამიანის, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და ინდივიდუალური განვითარებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, მას ეკისრება ვალდებულება, განამტკიცოს და უზრუნველყოს დასაქმებულების დაცვა სამართლებრივად და თვითნებობის აღკვეთა. საჭიროა განისაზღვროს, თუ რას ნიშნავს შრომითი ურთიერთობა და როდის წარმოიშობა იგი.

შრომის კოდექსის მიხედვით, „შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მონესრიგების პირობებში, დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ“<sup>1</sup>. არსებობს განსხვავება დასაქმებულსა და სამუშაოს შემსრულებელს შორის, პირველი მუშაობს სამუშაოს შესრულების შესახებ შეთანხმების, ხოლო მეორე – სერვისის განევის თაობაზე ხელშეკრულების საფუძველზე.<sup>2</sup> დამსაქმებლის ვინაობის განსაზღვრა მნიშვნელოვანია შრომის სამართლის მიზნებისთვის და ის დამოკიდებულია შრომითი ხელშეკრულების მრავალმხრივ

---

\* სამართლის მაგისტრი. [orcid.org/0000-0001-5643-9213](https://orcid.org/0000-0001-5643-9213).

\*\* სამართლის მაგისტრი. [orcid.org/0000-0002-1098-3691](https://orcid.org/0000-0002-1098-3691).

<sup>1</sup> საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>2</sup> საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, ა. ბორონის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 20-24.

შეფასებაზე. შრომის სამართალში მოქმედებს სუბორდინაციის პრინციპი. შესაბამისად, დასაქმებული არის დამსაქმებლის დაქვემდებარებაში და უშუალოდ მის მიერ განსაზღვრულ წესებს ემორჩილება. მეორე მხრივ, დავალების ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური ხელშეკრულებაა. მისი მხარეები არიან, ერთი მხრივ, მარწმუნებელი, რომელიც დავალების მიმცემია და ამ სახის ურთიერთობებში კრედიტორის როლში გამოდის, ხოლო მეორე მხრივ, რწმუნებული, რომელიც კისრულობს დავალებული მოქმედების განხორციელებას და მონაწილეობს მოვალის მხარეზე. ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება.<sup>3</sup> დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ და ამ უფლებაზე უარის შესახებ სხვაგვარი შეთანხმება ბათილია. დავალების ხელშეკრულება განეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. პირს ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზით არ შეუძლია უშუალოდ განახორციელოს კონკრეტულ ურთიერთობაში მისი უფლებები და მოვალეობები. დავალების ხელშეკრულება კი ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ასეთ პირს შეუძლია სხვას მიანდოს გარკვეული მოქმედების შესრულება.

თავის მხრივ, სასამართლო აქვს მტკიცებულებებისა და საქმის ყოველმხრივ ჯეროვნად, სრულად და კეთილსინდისიერად გამოკვლევის და ობიექტური, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება. თუმცა ხშირად რთულია, ზუსტად განისაზღვროს სამართლებრივი ურთიერთობის ჩარჩოები. შესაძლოა, ერთი ურთიერთობა ექცეოდეს როგორც შრომითი ურთიერთობის, ისე დავალების ფარგლებშიც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკა მრავალფეროვანია. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სასამართლომ მკაფიო მიჯნა გაავლოს ამ ორ ურთიერთობას შორის.

<sup>3</sup> გოგინავა თ., წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძვლები და წარმომადგენლობის ფარგლები, თბილისი, 2019, 50.

ლანა ჩუბინიძე, ანა გოგორელიანი

სწორედ ამ საკითხს შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის Nას-953-2020 გადაწყვეტილება, რომელიც პრეცედენტულია და გამოირჩევა როგორც საქმის პროცესუალური ისტორიით, ისე სამართლებრივი სირთულითა და მასში მოტანილი მსჯელობით, რომელიც უდავოდ გამორჩეულია მანამდე არსებულ ერთგვაროვან პრაქტიკასთან შედარებით.

საქმე შეეხება ა(ა)იპ-სა და დირექტორს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხს, რომელიც სააპელაციო და საკასაციო სასამართლებმა ერთმანეთისგან განსხვავებულად გადაწყვიტეს. აღნიშნულ საქმეს განსაკუთრებულს ხდის ის გარემოებაც, რომ პროცესუალური თვალსაზრისით, საქმემ ორჯერ მოიარა მეორე და მესამე ინსტანცია. თანაც განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნა გასაჩივრებული, რომლის მიღების იურიდიული მართლზომიერების თაობაზე სასამართლოთა სამართლებრივი მსჯელობის ძირითადი აქცენტი გაკეთებული. ეს არა პროცესუალური ლავირების ფორმალიზმიდან, არამედ საქმის შინაარსობრივი სირთულიდან გამომდინარეობს. საკასაციო სასამართლოს წილად ხვდა, ემსჯელა ამგვარ პრეცედენტულ და პრობლემურ საკითხზე, რომელიც მან ოსტატურად და იდეალურად გადაწყვიტა.

სტატიამი მოცემული და გაშლილი იქნება სამართლებრივ დავასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლები და მოტივაცია. განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც გაანალიზდება და კრიტიკულად შეფასდება.

## **II. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისი პროცესუალური ისტორია**

ლ.გ-ი (მოსარჩელე) ა(ა)იპ N153 საბავშვო ბ.ბ-ის (მოპასუხე) დირექტორად დაინიშნა 2007 წლის 19 ოქტომბერს. ა(ა)იპ თ.ს.ბ.ბ.მ.ს-

ოს დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის N100 ბრძანებით, ვალდებულების უხეში დარღვევის გამო, მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ამის შემდგომ მან მიმართა საქალაქო სასამართლოს სარჩელით, რომლითაც ითხოვდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. 2017 წლის 16 იანვარს მოსარჩელე აღადგინეს თანამდებობაზე, მაგრამ იმავე წლის 10 თებერვალს იმავე მიზეზით N2/015 ბრძანების საფუძველზე კვლავ გაათავისუფლეს თანამდებობიდან. სადავო ბრძანების გამოცემის შემდეგ, მოსარჩელემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ სააგენტოს სადავო ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.<sup>4</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა სადავო ბრძანების ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილებში, შესაბამისად, მოპასუხეს ერთჯერადი კომპენსაცია – 6000 (დაუბეგრავი) ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ. ხოლო რაც შეეხება სამსახურში აღდგენის თაობაზე მოთხოვნას, მასზე უარი ეთქვა.<sup>5</sup>

მოსარჩელის (აპელანტის) მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა და მან მოითხოვა ამ გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 29 მაისის სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, რის გამოც, აპელანტმა მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. სააპელაციო სასამართ-

<sup>4</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება Nას-953-2020, პ-1-6.

<sup>5</sup> იქვე, პ-8.

ლომ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. მოსარჩელე აღადგინეს დირექტორის თანამდებობაზე, ასევე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის სახით დაეკისრა 2017 წლის 10 თებერვლიდან სამსახურში აღდგენამდე ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა.<sup>6</sup>

მოპასუხე მხარის მიერ აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გასაჩივრდა, რომელიც არ დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2019 წლის 2 ივლისის განჩინებით, ვინაიდან მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ჯანმრთელობის შესახებ ცნობა არ იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საპატიო მიზეზი.<sup>7</sup>

მოპასუხე მხარემ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 29 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იმავე სასამართლოს 2019 წლის 2 ივლისის განჩინება (რომლითაც ძალაში დარჩა დაუსწრებელი გადაწყვეტილება). მისი მოთხოვნა კი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვა. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.<sup>8</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 ივლისის ზეპირი განხილვის სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე მხარის წარმომადგენელი. მოსარჩელის შუამდგომლობით სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. უდავო ფაქტობრივი გარემოების სახით აღსანიშნავია საქმის მასალებში არსებული ხელწერილი, რომლითაც დასტურდება, რომ მონინაალმდეგე მხარის (მოპასუხის) წარმომადგენლებს 2020 წლის 8 ივლისს გამართული სააპელაციო სასამართლო სხდომის შემდეგ ხელწერილის საშუალებით ეცნობათ თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2020

---

<sup>6</sup> იქვე, პ-9-11.

<sup>7</sup> იქვე, პ-13.

<sup>8</sup> იქვე, პ-14-15.



ნლის 16 ივლისს 17:00 საათზე დანიშნული/გადადებული სასამართლო სხდომის თაობაზე. სააგენტოს წარმომადგენლებს კი სხდომის დღის თაობაზე ინფორმაცია სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით გააცნეს.<sup>9</sup>

მოწინააღმდეგე მხარემ (მოპასუხემ) საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული 2019 წლის 16 ივლისის განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება. კასატორის (მოპასუხის) მოთხოვნა იყო მის მიმართ გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართლზომიერების შემოწმება. საკასაციო სასამართლომ კასატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებით მიიღო ახალი გადაწყვეტილება. აქვე აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ, ბათილად ცნო სააგენტოს 2017 წლის 10 თებერვლის N2/015 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და სააგენტოს, მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა ერთჯერადი კომპენსაცია 6000 (დაუბეგრავი) ლარის ოდენობით.<sup>10</sup>

**III. სასამართლო გადაწყვეტილების  
სამართლებრივი დასაბუთება  
1. საქალაქო და სააპელაციო  
სასამართლოების გადაწყვეტილებები**

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და ის დააფუძნა შრომითსამართლებრივ ნორმებს, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში. აღნიშნულით ხაზი გაესვა საქალაქო სასამართლოს დამოკიდებულებას, რომელმაც სადავო ურთიერ-

---

<sup>9</sup> იქვე, პ-16, პ-25, პ-28.

<sup>10</sup> იქვე, პ-27.

ლანა ჩუბინიძე, ანა გოგორელიანი

თობა შრომითსამართლებრივ ქრილში მოაქცია. მართალია, სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ბათილად ცნო სადავო ბრძანება, მაგრამ უარი უთხრა მოსარჩელეს სამსახურში აღდგენაზე და დაუნიშნა ერთჯერადი კომპენსაცია 6000 ლარის ოდენობით. მან იხელმძღვანელა დასვენებისა და თავისუფლების დროის გამოყენების უფლებით<sup>11</sup> და შრომის თავისუფლების უფლებით,<sup>12</sup> რაც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციაში<sup>13</sup>, აგრეთვე სშკ-ის მე-2, 32-ე, 37-ე და 38-ე მუხლებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8, 54-ე, 115-ე, 316-ე, 317-ე მუხლებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შემდეგ სააპელაციო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობისა და მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სსკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწილზე დაყრდნობით. მან სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად დამტკიცებულად მიიჩნია. ამავე სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე მოპასუხის მიერ შეტანილი საჩივარი არ დააკმაყოფილა საპატიო მიზეზის არარსებობის გამო, სსკ-ის 241-ე მუხლისა და 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის საფუძველზე. აღნიშნულ სხდომაზე არ გამოცხადებულა მოპასუხე, როგორც ეს დასტურდება მის მიერ წარდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობით. თუმცა აღნიშნული სააპელაციო სასამართლომ არ მოაქცია საპატიო მიზეზის<sup>14</sup> ფარგლებში.

## **2. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სამართლებრივი მსჯელობა**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა უზენაესმა სასამართლომ, გა-

---

<sup>11</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 24-ე მუხლი.

<sup>12</sup> იქვე, 23-ე მუხლი.

<sup>13</sup> საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი.

<sup>14</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

აუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასევე განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე და საქმე ხელახლა განსახილველად გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ შემდეგი მსჯელობა განავითარა: სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველ პუნქტში არსებული პრინციპის მსგავს სამართლებრივ მოწესრიგებას ითვალისწინებს სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 პუნქტი საქმის მეორე ინსტანციაში განხილვის დროს. აღნიშნული დანაწესის მიხედვით, მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მომჩივნის ახსნა-განმარტებასა და მის შუამდგომლობას შეიძლება დაეფუძნოს მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს კი კანონმდებლის ნების გამოხატულებაა, რომ ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე მიიჩნიოს დადგენილად სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. თუმცა ეს ავტომატურად არ გულისხმობს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. აღნიშნული ნორმით კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე დადგენილ და გაზიარებულ იქნეს სააპელაციო საჩივარში დასახელებული ფაქტობრივი გარემოებანი. თუ ისინი იურიდიულად ამართლებენ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდება<sup>15</sup>. კასაცია მოთხოვნის იურიდიული მართებულობის გამოკვლევაში მოიაზრებს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომელსაც სასამართლოს კომპეტენციას მიაკუთვნებს. ეს ყოველივე კი სამართლებრივ მოწესრიგებას დაქვემდებარებული აბსტრაქტული შემადგელობაა, რომელთანაც შესაბამისი უნდა იყოს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული მართებულობა, რათა დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს. მის დასაკმაყოფილებლად სამი კუმულაციური პირობა უნდა არსებობდეს: 1. მოწინააღმდეგე მხარისთვის საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეტყობინება; 2. არასაპატიო გამოუცხადებლობა; 3. სააპელაციო საჩივარ-

---

<sup>15</sup> იქვე, 387-ე მუხლი.

ში მითითებული ფაქტების იურიდიული მართებულობა აპელანტის მოთხოვნასთან მიმართებით. აღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების იურიდიულად მართებულობასთან დაკავშირებით და თქვა, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.<sup>16</sup>

სასამართლომ მსჯელობა განავითარა დირექტორის, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სტატუსის მქონე პირის, თაობაზე და აღნიშნა, რომ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, „საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწვევი ვალდებულია განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური“<sup>17</sup>. მსგავსი ურთიერთობა კი ურთიერთნდობაზეა დაფუძნებული, სადაც მოქმედებს ფიდუციური ვალდებულება და რომელიც ქმნის დამოუკიდებლობას, დირექტორმა იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში სსკ-ის 709-ე მუხლით განსაზღვრული დავალების ხელშეკრულება (ამ შემთხვევაში დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულება) და არა შრომითსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც სშკ-ის მეორე მუხლის პირველი პუნქტით წესრიგდება.<sup>18</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ სსკ-ის 720-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შორის) შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელ-

---

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება №ა-953-2020, პ-19, პ-78.

<sup>17</sup> იქვე, პ-20.

<sup>18</sup> იქვე.

თან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან<sup>19</sup>, ვინაიდან ზემოაღნიშნული ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე სხვაგვარი შეთანხმება ბათილი იქნებოდა. საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 241-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან სარჩელი იურიდიულად გამართლებულად არ მიიჩნია. შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.<sup>20</sup>

### **3. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ**

სააპელაციო სასამართლომ მიერ დანიშნული საქმის ხელახლა განხილვის სხდომაზე არ გამოცხადდა სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით დაბარებული მონინალმდევე მხარის (მოპასუხის) წარმომადგენელი, რის გამოც აპელანტის შუამდგომლობა განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ კანონით დადგენილი წესით დაბარებულად მიიჩნია მხარეები, ვინაიდან საქმეში არსებობდა ამ ფაქტის დამადასტურებელი მონინალმდევე მხარის წარმომადგენლების ხელწერილი სხდომის ჩატარების დროის შესახებ ინფორმაციის ცოდნის თაობაზე.<sup>21</sup>

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივარში აღნიშნულ მოთხოვნას. მან მსჯელობა განაავითარა ა(ა)-

<sup>19</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება Nას-1203-2018; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება Nას-379-363-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება Nას-838-784-2017.

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება Nას-953-2020, პ-22, პ-23.

<sup>21</sup> იქვე, პ-27, პ-28.

იპ-ის სამართლებრივ სტატუსზე და აღნიშნა, რომ მის წესდებას ამტკიცებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა თავისი განკარგულებით. ამ წესდების მიხედვით კი, „სააგენტო წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან“<sup>22</sup>. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააგენტოს ხელმძღვანელობს დირექტორი და მას თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. მან ასევე გამოყო სააგენტოს ძირითადი მიზნები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კომპეტენციის ფარგლებიდან გამომდინარე.<sup>23</sup>

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობა შრომითსამართლებრივ ურთიერთობად უნდა დაკვალიფიცირდეს და მის საფუძვლად ასახელებს სშკ-ის მე-2 და მე-6 მუხლებს. მან დავალების ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე ისაუბრა, განმარტა მისი არსი. ეს ყოველივე კი იმის საილუსტრაციოდ განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებობდა გრძელვადიანი სამსახურებრივი ურთიერთობა. ამის დასტურად ისიც აღნიშნა, რომ მათი ურთიერთობა სასამართლომ შრომით ურთიერთობად შეაფასა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გამოტანის დროსაც.

სააპელაციო სასამართლომ სასამართლო პრაქტიკაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ „საწარმოსა და დირექტორს შორის ურთიერთობა წესრიგდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსკ-ის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ, საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და, შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, „მეწარმეთა კანონის“ ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობის, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები). მარწმუნებელმა შეიძლება

---

<sup>22</sup> იქვე, პ-31.

<sup>23</sup> იქვე, პ-32.

დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ, ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს<sup>24</sup>. როდესაც სსკ-ის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი არ შეიცავს პირდაპირ დათქმას სანარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, წამოიჭრება პრობლემა, ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს, რასთან დაკავშირებითაც თავად იშველიებს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას<sup>25</sup>. აღნიშნული განმარტებით, სანარმოსა და დირექტორს შორის ურთიერთობა ნამდვილად ჯდება დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, თუმცა სააპელაციო სასამართლო აქვე აკეთებს განმარტებას იმის თაობაზე, რომ ეს სამართლებრივი მსჯელობა არ ეხება ა(ა)იპ-ს, ვინაიდან, სასამართლოს მტკიცებით, ის არის არა სანარმო, კლასიკური გაგებით, არამედ სსკ-ით განსაზღვრული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის მიზანიც არაა სამეწარმეო საქმიანობა. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე, როგორც ა(ა)იპ სააგენტო, არაა კლასიკური გაგებით სანარმო. მან ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობად განიხილა. თუმცა აქვე დასძინა, რომ „მოცემულ სადავო ურთიერთობასთან მიმართებით, არ არსებობს მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკა და მსგავსი ტიპის საქმეები სასამართლოს მიერ შეფასებულია, შრომით ურთიერ-

<sup>24</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება Nას-655-611-2017. შეად., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება Nას-560-535-2016.

<sup>25</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის Nას-1203-2018.

ლანა ჩუბინიძე, ანა გოგორელიანი

თობად, ისე დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობად<sup>26</sup>.

საბოლოო ჯამში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნული ურთიერთობა მოაქცია შრომითსამართლებრივ ქრილში და 2020 წლის 16 ივლისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელე აღდგენილ იქნა ა(ა)იპ „ქ. თბილისის No... საბავშვო ბ.ბ-ის დირექტორის“ თანამდებობაზე; ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის სახით ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა 2017 წლის 10 თებერვლიდან სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

ყოველივე ამ მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო ჩაითვალა დამტკიცებულად, იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას.

#### **4. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება კასაციის ეტაპზე**

კასატორმა (მოპასუხემ) განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა. საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო<sup>27</sup> და დასაშვებად ცნო<sup>28</sup>.

#### **4.1. კასატორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დასაბუთებულობა**

კასატორი ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. ამის დასაბუთებლად კი კასატო-

---

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება Nას-953-2020, პ-41.

<sup>27</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლი.

<sup>28</sup> იქვე, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.



რი იშველიებს მყარ სასამართლო პრაქტიკას<sup>29</sup> (არ იზიარებს სა-აპელაციო სასამართლოს მსჯელობას ამ ნაწილში) და მიუთითებს დირექტორის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებაზე, ასევე განსხვავებას დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისა და შრომითი ხელშეკრულების განსხვავების თაობაზე. მხარეებს შორის სსკ-ის 709-ე მუხლის საფუძველზე დაიდო დავალების ხელშეკრულება. ამ ნაწილში 720-ე მუხლის პირველ პუნქტზე საუბარიც იყო, რომლითაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველები დავალების ხელშეკრულებისას. კასატორის მტკიცებით, „სააგენტო არ არის კლასიკური გაგებით დამსაქმებელი, ვინაიდან ა(ა)იპ-ის დირექტორის დანიშვნა დამოკიდებულია დამფუძნებლის ნების გამოხატვაზე დადგენილი წესით რეგისტრაციაზე, ამის სანაცვლოდ კი სააგენტო ითხოვს მხოლოდ ერთს, საბავშვო ბაღის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებული წესდებითა და დანესებულების შინაგანწესით დადგენილი მოთხოვნების შესრულებას და მინდობილი პირის კეთილსინდისიერ ქმედებას“<sup>30</sup>. კასატორი ასევე მიუთითებს დირექტორის არაკვალიფიციურობასა და მის დარღვევებზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მხედველობიდან არ გამორჩენია საბავშვო ბაღის სამართლებრივი სტატუსი და განმარტებას აკეთებს კონკრეტულად ა(ა)იპ-თან დაკავშირებით, შესაბამისად, აღნიშნული მსჯელობა, რომ თითქოს სააგენტოსა და დირექტორს შორის ურთიერთობა არის შრომითი ხელშეკრულება, უსაფუძვლოა. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ დავებთან დაკავშირებით არ არსებობს მყარად დადგენილი პრაქტიკა. ამას კასატორი არ იზიარებს და საფუძვლად უთითებს საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვე-

<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება Nას-1337-2019.

<sup>30</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება Nას-953-2020, პ-46.

ლანა ჩუბინიძე, ანა გოგორელიანი

ტილებას<sup>31</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ კასატორი ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს იმ მსჯელობის ნაწილში, რომ საბავშვო ბაღსა და მის მიერ დანიშნულ ნებისმიერ თანამშრომელთან ურთიერთობა წესრიგდება შრომის სამართლის მიხედვით, თუმცა არა დირექტორთან არსებული ურთიერთობის ფარგლებში, რასაც ერთგვაროვანი პრაქტიკით ამყარებს. კასატორის მთავარი მოთხოვნა იყო, სრულად გაუქმებულიყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოსარჩელისთვის სარჩელზე სრულად დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა საკაცო სასამართლოს.

## 4.2. საკასაციო სასამართლოს მსჯელობა

საკასაციო სასამართლომ კასატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებით მიიღო ახალი გადაწყვეტილება. მან ყურადღება გაამახვილა მხარეთა შეჯიბრებითობისა და პროცესუალური თანასწორობის პრინციპებზე. საკასაციო პალატა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, „მოითხოვს თითოეული მხარისაგან ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის

---

<sup>31</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება **ნას-828-784-2017**; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება **ნას-1203-2018**; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება **ნას-1559-2019**; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება **ნას-1337-2019**; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება **ნას-1478-2019**; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება **ნას-999-2019**.

მონინალმდევე მხარესთან მიმართებით“<sup>32</sup>. „სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგადი კონცეფცია“ მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ „სამართლიანი სასამართლო განხილვის“ მოთხოვნების დაცვა თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში, აღნიშნული პრინციპი იმასაც გულისხმობს, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს ორივე მხარის მონაწილეობის მნიშვნელობას, რამდენადაც ეს შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს მრავალმხრივ და სრულფასოვნად გამოიკვლიოს წარმოდგენილი მტკიცებულებები და მხარეთა პოზიციები. პალატა მიუთითებს, რომ საკასაციო გასაჩივრების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება. ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებულია ცალკეული გამონაკლისი შემთხვევა (აკრძალვა), როცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ დაიშვება საკასაციო წესით.<sup>33</sup>

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ საპროცესო უფლებების გამოუყენებლობას შეიძლება მოჰყვეს არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისთვის, რომელმაც ეს უფლება არ გამოიყენა. სასამართლოს თქმით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მხოლოდ გამოუცხადებლობას და არა საქმის მასალებს.<sup>34</sup> ამ ინსტიტუტის მთავარ მიზანი კი მართლმსაჯულების სწრაფი და ეფექტური განხორციელებაა. აქვე

<sup>32</sup> Nideröst-Huber v Switzerland [ECtHR], App. No. 104/1995/610/698, 18 February 1997, par. 23; Kress v France, [ECtHR], App. no. 39594/98, 7 June 2001, par. 72; Yvon v France, [ECtHR], App. No. 44962/98, 24 April 2003, par. 31; Gorraiz Lizarraga and Others v Spain, [ECtHR] App. No. 62543/00, 10 October 2004, par. 56.

<sup>33</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება Nას-953-2020, პ-67.

<sup>34</sup> Brodie-Innes J.W., *Comparative Principles of the Laws of England and Scotland: Courts and Procedure*, Edinburgh, 1903, 584.

განმარტავს, რომ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის გადაწყვეტილება, რომელიც მეორედაა გამოტანილი ერთი და იმავე პირის (მხარის) სასამართლო სხდომაზე დაუსწრებლობის გამო. შესაბამისად, მსგავსი გადაწყვეტილების საფუძვლიანობა დამყარებულია გამოუცხადებელი მხარის საპატიო მიზეზის არსებობა-არარსებობაზე. შესაბამისად, მსჯელობისას განხილულია მისი წინაპირობები დეტალურად. მთავარი თავისებურება ისაა, რომ სსსკ-ის 366-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არ დაიშვება დაუსწრებელი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება იმ მხარის მიერ, რომლის წინააღმდეგაც არის იგი გამოტანილი. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება კასაციის წესით გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი წინამძღვრები, სსსკ-ის 392-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. გასაჩივრების ფორმალური დასაშვებობის თვალსაზრისით კი, საკასაციო პალატა ერთმანეთთან სისტემურ-ლოგიკურ კავშირში განიხილავს სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 372-ე მუხლს.<sup>35</sup> აღნიშნულის თაობაზე სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან სსსკ-ის 387-ე მუხლი სპეციალური ხასიათისაა, მის მე-3 ნაწილში მითითებული სიტყვების („სხვა შემთხვევაში“) ფართო განმარტება არ შეიძლება იმ შეზღუდვების გაუთვალისწინებლად, რაც დადგენილია სსსკ-ის 372-ე მუხლით.

უზენაესმა სასამართლომ ასევე მიუთითა სსსკ-ის 241-ე და 233-ე მუხლების სისტემურად განხილვის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ „სამოსამართლო უფლებამოსილების გამოყენებისას (ანუ, იმის დადგენისას, რომ მითითებული გარემოებები შეესაბამება „სხვა მოვლენის“ ან „დაუძლეველი ძალის“ ობიექტურ გამოვლინებას), მოსამართლე იკვლევს და ადგენს, მხარის მიერ წარმოდგენილი გარემოებები/ფაქტები დანამდვილებით უზრუნველყოფენ თუ არა კანონით მინიჭებული საპროცესო მიზნების მართლზომიერ რეალიზებას. ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლის ნორმის – სსსკ-ის 233-ე მუხლის ობიექტური მიზნის

---

<sup>35</sup> შეად., საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება №ს-121-117-2016.

განსაზღვრა, ანუ ტელეოლოგიური განმარტება, რომლის დროსაც შესაფასებელია სამართლის ნორმის მიმართება სამართლებრივი უსაფრთხოების, თანასწორობისა და მიზანშეწონილობის პრინციპების მიმართ. სსსკ-ის 233-ე მუხლი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის უფლებადაცვითი შინაარსის მატარებელია და მთლიანად შეეხება იმ კონკრეტულ და ობიექტურ გარემოებებს, რომელთა არსებობაც გამორიცხავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას<sup>36</sup>. აქვე დათქმას აკეთებს იმის შესახებაც, რომ ეს ვითარება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს შეფასებული და დადგენილი. ნორმით განსაზღვრული მიზნების პრაქტიკულ რეალიზებას ემსახურება ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი დანაწესი „დაუძლეველი ძალისა“ და „სხვა მოვლენის“ შესახებ. მათ კი საკანონმდებლო დეფინიცია არ აქვთ, შესაბამისად, მტკიცების ტვირთი დაინტერესებულ მხარეზეა.

რაც შეეხება კასატორის მეორე მოთხოვნას სარჩელის მოთხოვნის იურიდიული საფუძვლების კანონიერებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ კასატორის პრეტენზია დასაბუთებულად მიიჩნია. ამის საფუძვლად კი მყარ სასამართლო პრაქტიკას უთითებს, რომ ა(ა)იპ-ის დირექტორის სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, სსსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსის კონტექსტში, ეწინააღმდეგება ამ სახის თავებზე დადგენილი უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. აღნიშნული მუხლის ფარგლებში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის კუმულაციურად უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხეს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა; 2. იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა; 3. მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე; 4. სარჩელში მითითებული გარემოებები (ფაქტები) იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება Nას-953-2020, პ-72.

მოთხოვნის იურიდიულად მართებულობის თვალსაზრისით, უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო არ იხედება საქმეში, არ ამოწმებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ეს საჭირო არაა, რადგან გადაწყვეტილებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ „იხედება კანონში,“ რათა მისცეს ამ დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებს იურიდიული შეფასება“<sup>37</sup>. ამის თაობაზე სასამართლო დადგენილად მიიჩნევს არა მხარის მოსაზრებებს, არამედ იურიდიული მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტებს, რომლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას ქმნიან. კასაციის განმარტებით, „მართლმსაჯულების აქტი, მიუხედავად იმისა, იგი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპითაა მიღებული თუ ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შედეგად, ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მატერიალური სამართლის ნორმას. საქმის განხილვაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობისას, თუნდაც ეს არასაპატიო მიზეზით იყოს განპირობებული, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება, გადაწყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი სანქციის ფუნქცია შესძინოს და იურიდიული შეფასების გარეშე დააკმაყოფილოს გამოცხადებული მხარის ყველა პრეტენზია“<sup>38</sup>. მსგავსი თვითნებობის აღკვეთას ემსახურება სსსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სსსკ-ის 230-ე მუხლის ჩანაწერის მსგავსად, საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 პუნქტის თაობაზე იმავე მსჯელობას ავრცელებს და ამბობს, რომ „ამ მუხლის დანაწესი ნიშნავს არა სარჩელში მითითებული გარემოებების ავტომატურად დადგენილად მიჩნევას, არამედ იმის შემოწმებას, სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებებით (დადგენილად მიჩნევით) გაქარწყლება თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი სადავო ნაწილის დასკვნები, რომლებიც აპელანტის წინააღმდეგაა მიმართული, ანუ სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მონინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით, დაუსწრე-

---

<sup>37</sup> იქვე, პ-80.

<sup>38</sup> იქვე, პ-81.

ბელი გადაწყვეტილების გამოტანისას, მხედველობაში უნდა მიიღოს აპელანტის ახსნა-განმარტება<sup>39</sup>.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებებზე და აღნიშნავს, რომ ეს საკითხი წესრიგდება სსკ-ის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილით. ამის თაობაზე ასევე მნიშვნელოვანია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის ჩანაწერი, ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების წარმოშობისა და შეწყვეტის კონტექსტში. საკასაციო პალატის განსჯით, მიუხედავად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომითსამართლებრივი კომპონენტების შემოღებისა, ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, პირობითად შეიძლება მოვიხსენიოთ „სასამსახურო ხელშეკრულებად“, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ საქმე ეხება არა შრომითსამართლებრივ, არამედ დავალების ხელშეკრულებას. ამასთან დაკავშირებით (როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი მსჯელობისას აღნიშნა), სასამართლომ სასამსახურო ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სსკ-ის 709-ე და 720-ე მუხლები.

უზენაესი სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზეც, რომ როგორც ეს საქმის მასალებითაა დადგენილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ.გ-ის სარჩელი, მოპასუხის 2017 წლის 10 თებერვლის N2/015 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, დაკმაყოფილებულია. სარჩელი უარყოფილ იქნა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის მიკუთვნების ნაწილში. მოსარჩელეს მიკუთვნებული აქვს კომპენსაცია ერთჯერადი გადასახდელის სახით 6000 (დაუბეგრავი) ლარი. როგორც საქმეზე დადგენილია, აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სა-

<sup>39</sup> იქვე, პ-83.

ლანა ჩუბინიძე, ანა გოგორელიანი

ჩივრით სააგენტოს (მოპასუხე) არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, რომლითაც გათავისუფლების ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, რაც გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმის შესახებ<sup>40</sup> კასატორის მოთხოვნის მართებულობას.

ამგვარად, საკასაციო სასამართლომ იურიდიულად დაუსაბუთებლად მიიჩნია გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის<sup>41</sup> თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

#### **IV. სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი მსჯელობის ანალიზი**

##### **1. საქმის იურიდიული სირთულე**

##### **1.1. საქმის კონსტრუქციულ-პროცესუალური სირთულე**

აღნიშნული გადაწყვეტილება საკმაოდ მოცულობითი და საინტერესოა თავისი შინაარსის გათვალისწინებით. პროცესუალური იერარქიის კუთხით სადავო საქმემ სამივე ინსტანციის სასამართლო განხილვის ეტაპი გაიარა, კერძოდ, თავდაპირველად საქმე იყო პირველ, მეორე და მესამე ინსტანციაში, შემდეგ კასაციამ დაუბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს, ხოლო შემდეგ კვლავ გასაჩივრდა საკასაციო სასამართლოში, რომელმაც საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა.

იურიდიულ ტექნიკის თვალსაზრისით, საქმის პროცესუალური ისტორია საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი მსჯელობის ნაწილში გარკვეული ეტაპები უკვე შეფასებულია,

---

<sup>40</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე და 364-ე მუხლები.

<sup>41</sup> აღნიშნული ქვეპუნქტის მიხედვით, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, მაშინ აღნიშნული გარემოება არის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.



თუმცა მეტი თვალსაჩინოებისთვის, ასეთი იერარქიის განხილვა აუცილებელია. ეს ყოველივე სასამართლოთა მსჯელობის შეფასებაშიც კარგი მეთოდი იქნება.

## **1.2. საქმის შინაარსობრივი სირთულე**

განსახილველი საქმე იმიტომაც არის განსაკუთრებული და პრეცედენტული, რომ ამ მოცემულობაში უზენაესმა სასამართლომ შეცვალა მანამდე დამკვიდრებული პრაქტიკა: ა(ა)იპ-ისა და დირექტორს შორის დადებული ხელშეკრულება არა შრომითსამართლებრივ ურთიერთობად, არამედ დავალების (სასამსახურო) ხელშეკრულებად დააკვალიფიცირა, ასევე განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების იურიდიულ მართლზომიერებასა და მართებულობაზე იმსჯელა, რამაც მანამდე არსებული პრაქტიკის შეცვლა განაპირობა.

## **2. სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი მსჯელობის კრიტიკა**

სააპელაციო სასამართლო საკმაოდ დაბნეული და ორაზროვანი იყო სადავო საკითხის სამართლებრივი შეფასებისას. ეს მის ყოველ განვითარებულ მსჯელობაში გამოიხატებოდა: კონკრეტული საკითხის განხილვისას სიღრმისეულად არ განმარტავდა მას და შეიძლება ითქვას, გულგრილადაც კი ეკიდებოდა თუნდაც ნორმის განმარტების მეთოდს. ის თავის მიერ მოყვანილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას არა თუ საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, არამედ თავის საზიანოდ იყენებდა. შესაძლოა, ეს დაუფიქრებლად მოსდიოდა, თუმცა საეჭვოა ასე ყოფილიყო. სასამართლო ხელისუფლების შტოს, როგორც სამართლიანი მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს, მაღალი პასუხისმგებლობა აკისრია საზოგადოების მიმართ და შესაბამისად, სასამართლოს მიმართაც დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან მაღალი სანდოობით ხასიათდება. სასამართლო არის ლეგიტიმა-

ციის გამტარი, რომელიც საკუთარ სათქმელს თავის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ამბობს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რთული იყო მსჯელობა აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან საწყის ეტაპზევე აღინიშნებოდა ვალდებულების უხეში დარღვევა, თუმცა არ კონკრეტდებოდა, თუ რა სახის დარღვევაზე იყო საუბარი. აღსანიშნავია, რომ საქმე ეხება სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებს, ბავშვებს, რომლებიც მონყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან და შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული მათი საუკეთესო ინტერესები. როგორც შემდგომ საქმიდან გაირკვა, უხეშ დარღვევებში იგულისხმება დირექტორის მიდგომა საკუთარი თანამდებობისადმი, კერძოდ, საკვები პროდუქტების შენახვის ვადების დარღვევა, პრემიების უსაფუძვლოდ გაცემა, სარემონტო სამუშაოების დარღვევით ჩატარება, ხელშეკრულებების დარღვევით დადება, არაკვალიფიციური კადრები, ბ.ბ-ის ავეჯის მითვისება და საკუთარით ჩანაცვლება და ა.შ. აღნიშნული კიდევ ერთხელ უნდა დაუკავშირდეს მონყვლადი ჯგუფის ინტერესებს, შესაბამისად, გაუგებარია თუ რაზე დაყრდნობით მიიღო სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და მეტიც, აღნიშნული პირის ძველ პოზიციაზე აღდგენის თაობაზე. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ სრულებით არ გამოიკვლია წარდგენილი მტკიცებულებები და ამ პირის კვლავ თანამდებობაზე აღდგენის სამომავლო პერსპექტივა.

სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობა შრომითსამართლებრივ ურთიერთობად შეაფასა და თავისი არგუმენტის გასამყარებლად მან, კონტრარგუმენტის სათავისოდ გამოყენების თვალსაზრისით, დავალების ხელშეკრულებაც (სასამსახურო ხელშეკრულება) განმარტა და განიხილა. საკმაოდ ბევრი ერთგვაროვანი სასამართლო გადაწყვეტილება მოიტანა პოზიციის გასამყარებლად, თუმცა, საბოლოო ჯამში, მაინც მოვიდა თავის თავთან წინააღმდეგობაში. სააპელაციო სასამართლომ პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას არ გაიზიარა მხარის პოზიცია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ცნობა შესა-

ძლოა ყოფილიყო საპატიო მიზეზი, რაც არასწორი მიდგომაა, იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრო შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც, შესაძლოა, ყველაზე არახელსაყრელ მომენტში გაუარესდეს. შესაბამისად, სასამართლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოდ მოექცა მეორე მხარეს. ეს კი მისი სისუსტე გახლავთ. მოსამართლე დარწმუნებული უნდა იყოს პოზიციის დაფიქსირებისას, თუმცა პოზიციის დაფიქსირება არ უნდა გავიგოთ მისი კლასიკური გაგებით, არამედ მასში იგულისხმება ის გარემოება, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მისაბაძი, გასაზიარებელი და პრაქტიკული დანიშნულების უნდა იყოს იმავე და სხვა ინსტანციის სასამართლოსთვის, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო.

რაც შეეხება, განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, სადაც მიზეზი მხარის დაუდევრობა იყო, სწორად უნდა შეფასდეს სასამართლოს პოზიცია, ვინაიდან კონსტიტუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებობის საფუძველზე.<sup>42</sup> შესაბამისად, შეჯიბრებობის პრინციპის ძირითადი ელემენტებია მხარეთა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მტკიცებულების წარმოდგენაზე და მონინალმდგის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება.<sup>43</sup> შესაბამისად, ერთი მხარის დაუდევრობამ არ უნდა გამოიწვიოს მეორე მხარის დაზიანება.

რაც შეეხება, სააპელაციო სასამართლოს დამოკიდებულებას აღნიშნული ურთიერთობისადმი, როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლომ იგი შრომითსამართლებრივ ქრილში განიხილა და შესაბამისად, სათანადო მუხლებიც გამოიყენა საქართველოს შრომის კოდექსიდან. თუკი აღნიშნულ ურთიერთობას შრომითსამართლებრივად განვიხილავთ, ისიც უნდა გამოიკვეთოს, რომ „შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრუ-

<sup>42</sup> ბერიძე ნ., შეჯიბრებობის პრინციპის ქართული მოდელის თავისებურებები, თბილისი, 2019, 3.

<sup>43</sup> იქვე, 19.

ლება ანაზღაურების სანაცვლოდ<sup>44</sup>. არსებით პირობებად, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მნიშვნელობით, შეიძლება, მიჩნეული იყოს შეთანხმება დასაქმებულის ვალდებულებაზე, შეასრულოს გარკვეული სახის სამუშაო და შეთანხმება ანაზღაურებაზე, ასევე ისეთ პირობებზე, რომლებსაც მხარეებმა არსებითი მნიშვნელობა მიანიჭეს.<sup>45</sup> ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ სწორედ ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდა დირექტორს მინიჭებული გარკვეული უფლებები და დაკისრებული ვალდებულებები. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ხნის განმავლობაში მათი ურთიერთობა თვით მხარეთა და სასამართლოს მიერ შეფასებულ იქნა შრომითსამართლებრივ ურთიერთობად და მხარეები მოქმედებდნენ შრომითი ხელშეკრულებითა და შრომის შინაგანანხესით დადგენილ ფარგლებში. გასათვალსწინებელია მხარეთა სუბიექტური დამოკიდებულება აღნიშნული ურთიერთობისადმი. საკასაციო საჩივრის ავტორმა მხოლოდ მას შემდგომ შეიცვალა პოზიცია, როცა საკასაციო პალატამ ურთიერთობა დავალების ხელშეკრულების ჩრილში მოაქცია, რითაც კასატორი უფრო მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა.

სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი მსჯელობის ნაწილში აღნიშნა ისიც, რომ „იმ პირობებში, როდესაც სსკ-ის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი არ შეიცავს პირდაპირ დათქმას სანარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, აქ წამოიჭრება პრობლემა, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს“<sup>46</sup>. ამის თაობაზე კი თავად იშველიებს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტი-

---

<sup>44</sup> საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>45</sup> საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო სტანდარტები, ნ. ბაქაეურის, თ. თოდრიასა და ზ. შველიძის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 183.

<sup>46</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება **ნას-953-2020**, პ-40.

ლებას<sup>47</sup>. აღნიშნული გადაწყვეტილება კი უზენაესმა სასამართლომ საქმის ხელახლა დაბრუნებამდე თავად გამოიყენა იმ პოზიციის გასამყარებლად, რომ სადავო ურთიერთობა კვალიფიცირდება დავალების (სასამსახურო) ურთიერთობად და ეს უკვე დადგენილი სასამართლო პრაქტიკაა. როგორც წესი, როდესაც საქმე უკან ბრუნდება შენიშვნებით კასაციიდან აპელაციის ეტაპზე, მით უმეტეს, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარგლებში, სააპელაციო სასამართლომ, გარკვეული თვალსაზრისით, უნდა გაითვალისწინოს კასაციის რეკომენდაციები გადაწყვეტილების მიღებისა და სამართლებრივი მსჯელობის ნაწილში, თუმცა ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ეს არ გააკეთა. მართალია, ამის უშუალო ვალდებულებას კანონმდებელი არ აწესებს, თუმცა სამართალი მხოლოდ კანონის მოქმედებით არ შემოიფარგლება, არამედ თეორიისა და პრაქტიკის სინთეზია, რომელიც დაცული უნდა იქნეს. ხშირად ლოგიკა უუნაროა და არაფრისმომცემი. როგორც ჰოლმსი აღნიშნავს, რომ „სამართლის ცხოვრება არ ექვემდებარება ლოგიკას, არამედ შეესაბამება პრაქტიკას“<sup>48</sup>, ანუ სამართალი უნდა პასუხობდეს საზოგადოების რეალურ მოთხოვნებს.

ამდენად, სწორედ ამგვარი მსჯელობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ თავისი სისუსტე თავისსავე სამართლებრივ არგუმენტაციაში ჰპოვა. კონტრარგუმენტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არასწორი გამოყენებით შეენინაღმდეგა საკუთარ პოზიციას, მით უმეტეს, მას საქმის ხელახალი განხილვის დროს ჰქონდა შანსი, გამოესწორებინა შეცდომები, თუმცა სანინაღმდეგო არგუმენტების დეტალებში ჩასვლით, თავისი როლი დაავიწყდა და სისუსტეც გამოავლინა, რაც აუცილებლად უარყოფითად უნდა იქნეს მიჩნეული მისი მხრიდან.

<sup>47</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება Nას-1203-2018.

<sup>48</sup> აფონასინინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას და ლ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 67.

### 3. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი მსჯელობის კრიტიკა

სადავო საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მართლაც იდეალურ მსჯელობას ავითარებს. ის საუკეთესო პროცესუალურ „მოთამაშედ“ შეიძლება იქნეს მიჩნეული იმ გაგებით, რომ, მართალია, საკმაოდ რთული მისია აკისრია სადავო ნორმის საფუძვლების კანონიერების შემონახვის თვალსაზრისით<sup>49</sup>, მაგრამ ნამდვილად კარგად ართმევს ამ რთულ მისიას თავს. ეს არა მხოლოდ მის სამართლებრივ მსჯელობაში გამოიხატება, არამედ რეკომენდაციების გაცემასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის გონივრულად გამოყენებაშიც.

უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობისა და ტაქტიკური სვლების გაკეთებას უდავოდ დიდი შრომა, სამართლებრივი აზროვნება და ჯანსაღი კრიტიკა უდევს საფუძვლად. მნიშვნელოვანია, თითოეული არგუმენტი განალიზდეს და შეფასდეს.

სასამართლომ მართებულად განმარტა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი და მისი წინაპირობები დეტალურად განიხილა სამივე ინსტანციის სასამართლო ეტაპზე. მისი შეფასებით, აუცილებელია 3 პირობის კუმულაციურად არსებობა: „1. მონინააღმდეგე მხარისათვის საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეტყობინება; 2. მისი არასაპატიო გამოუცხადებლობა; 3. სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტების იურიდიული მართებულობა აპელანტის მოთხოვნასთან მიმართებით“<sup>50</sup>. მხოლოდ მხარის არგამოცხადების საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხშირ შემთხვევაში არაობიექტური და უსამართლო იქნებოდა, ვინაიდან როგორც საკასაციო პალატამ

<sup>49</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი და 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება №ს-953-2020 (პ-19). იხ., Rules of Civil States District Courts, Rules 55, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/2ETTbKW>> [11.06.2022].

განმარტა, სასამართლოს ეკისრება ვალდებულება ჯეროვნად, ყოველმხრივ და სრულად შეისწავლოს მხარეთა პოზიციები და მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც სასამართლოს საქმიანობის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია. მხარეებს ენიჭებათ თანაბარი შესაძლებლობები, დაამტკიცონ საკუთარი პოზიცია და „სიმართლე“. სწორედ ამის საფუძველზე დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს საქმე განსახილველად, ვინაიდან საკასაციო პალატა მიიჩნევდა, რომ სარჩელი იურიდიულად გამართული არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ თავად კანონმდებლობა არ იძლევა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების დეფინიციას, მან ეს თავად განმარტა. ყურადსაღებია ისიც, რომ ოსტატურად იყენებს ჰერმენევტიკულ მეთოდებს<sup>51</sup>. არა მხოლოდ გრამატიკული მეთოდით, არამედ სისტემურ-ლოგიკური და ტელეოლოგიური განმარტების მეთოდებით იურიდიულ არგუმენტაციას კიდევ უფრო მეტ ხიბლსა და ინტერესს ჰმატებს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ იხილავს მტკიცებულებებს და არ შედის მათ არსებით კვლევაში, მსჯელობს მხოლოდ სარჩელში მითითებულ ფაქტებზე და სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს იმ შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, რაც არასწორი მიდგომაა, ვინაიდან მტკიცებულებების არაჯეროვანი გამოკვლევით და არგანხილვით შეუძლებელია იურიდიულად გამართლებული იყოს სასარჩელო მოთხოვნა მხოლოდ ფაქტებზე თვალის გადავლებით. ისიც, რომ დაუდევრობით ხდება ასეთი ტიპის შეცდომის დაშვება, სულ მცირე, მეორე მხარის უპატივცემულობად უნდა იქნეს აღქმული.<sup>52</sup>

<sup>51</sup> <<https://bit.ly/3mxMV1v>> [07.01.2022].

<sup>52</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება Nას-953-2020, პ-82.

საკასაციო სასამართლო, განსხვავებით სააპელაციო სასამართლოსგან, სადავო ურთიერთობის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევს არა შრომითი ხელშეკრულების მომწესრიგებელ, არამედ დავალების (სასამსახურო) ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს.<sup>53</sup> მან საკმაოდ ვრცელი და დამაჯერებელი არგუმენტაცია წარმოადგინა მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების თვალსაზრისით; გააქარწყლა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი მსჯელობა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების იურიდიული მართებულობის თაობაზე. ეს კი არაერთი ერთვაროვანი გადაწყვეტილების მოტანითა და პრაქტიკული გააზრებით მოახერხა. ძირითადი მსჯელობა დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების ფართო და ტელეოლოგიური განმარტებითაა წარმოდგენილი. ეს მას გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილშიც აქვს მითითებული და ნახსენები. განსაკუთრებით, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და 372-ე მუხლებთან კავშირში, ასევე სსსკ-ის 241-ე და 233-ე მუხლების ობიექტური მიზნის განსაზღვრისას. ამას სასამართლო ისე ოსტატურად ახერხებს, რომ სანდოობის უზადო დამოკიდებულებას იწვევს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ის აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 233-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი სწორედ ისეთ შემთხვევებს ანესრიგებს, რომ მხარეს არ ჩამოერთვას სამართლიანი სასამართლოს უფლება და მისი გამოუცხადებლობა ყველა შემთხვევაში მარტოდენ სანქციად არ იქცეს<sup>54</sup>.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმ ნაწილში, რომ დავალების ხელშეკრულება განეკუთვნება ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. პირს ზოგჯერ ამა თუ იმ მიზეზით არ შეუძლია უშუალოდ განახორციელოს კონკრეტულ ურთიერთობაში მისი უფლებები და მოვალეობები. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ უზენაესმა სასამართლომ სადავო საქმეზე დამატებით განავითარა

---

<sup>53</sup> იქვე, პ-41.

<sup>54</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება Nას-1504-2019.



შემდეგი მსჯელობა – დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი ფენომენია, რომლის მეშვეობითაც ასეთ პირს შეუძლია მინიჭოს გარკვეული მოქმედების შესრულება. დავალების ხელშეკრულება ორმხრივი, კონსესუალური ხელშეკრულებაა, რომლის მხარეებია, ერთი მხრივ, მარწმუნებელი (დავალების მიმცემია), ხოლო, მეორე მხრივ, რწმუნებული, რომელიც კისრულობს დავალეზული მოქმედების განხორციელებას.<sup>55</sup>

სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს კანონითა და სასამართლო პრაქტიკით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს გამოიხატა იმაში, რომ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების კანონიერების შემონგებისას ასეთი მსჯელობა განავითარა საკასაციო სასამართლომ – „მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო არ იხედება საქმეში, არ ამონგებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ეს საჭირო არაა, რადგან გადაწყვეტილებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ „იხედება კანონში,“ რათა მისცეს ამ დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებს იურიდიული შეფასება“<sup>56</sup>. მეტი კონკრეტიზაცია კი აუცილებელია სამართლებრივი მსჯელობის სისტემურად თანაბრობის მხრივ.

კასაციამ ა(ა)იზ განიხილა კლასიკური გაგებით საწარმოდ. აქედან გამომდინარე, საინტერესოა შემდეგი მსჯელობა, რომლითაც უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის მიმართ მართლაც არსებობს განსაკუთრებული ნდობა საწარმოს მხრიდან. ამ შემთხვევაში დირექტორს ეკისრება ვალდებულება, იმოქმედოს საწარმოს საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და გახადოს ეს ინტერესები პრიორიტეტული და ამასთან, შეიკავოს თავი ისეთი მოქმედებების განხორციელებისგან, რომელიც ავნებს კომპანიას, რომელსაც ხელმძღვანელობს. დირექტორის პირადმა და სხვა სახის ინტერესებმა არ უნდა მოახდინოს გავლენა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ხოლო თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, რაც შე-

<sup>55</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება Nას-953-2020, პ-37.

<sup>56</sup> იქვე, პ-80.

საძლოა იყოს მაშინ, როცა: ხელმძღვანელი პირი მის მიერ დადებული გარიგების მხარეა, როცა ამ უკანასკნელს გარიგების მიმართ მნიშვნელოვანი ინტერესი აქვს ან როცა იცის, რომ მასთან დაკავშირებული პირი გარიგების მონაწილე ან არსებითი ინტერესის მქონეა, მან უპირატესობა უნდა მიანიჭოს საწარმოს ინტერესებს.<sup>57</sup>

ერთგულების ვალდებულება მოითხოვს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ საწარმოს ინტერესთა უპირატესობის აღიარებას ყოველგვარ გარეშე ინტერესთან შედარებით (თუნდაც პირადი ინტერესის არსებობისას), რაც გულისხმობს საწარმოს ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირის სრულ დამოუკიდებლობას გარეშე გავლენებისგან და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, საწარმოს ინტერესების შესაბამის მოქმედებას.<sup>58</sup> ყველა ამ შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება ხელმძღვანელის მიერ მიუკერძოებელი და საწარმოს ინტერესებისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ კანონით ან/და საწარმოს წესდებით.<sup>59</sup> შრომითსამართლებრივი ხელშეკრულება კი ის ფენომენია, რაც დამსაქმებელ-დასაქმებულს შორის ურთიერთობას აწესრიგებს. დირექტორს საკმაოდ ბევრი ფუნქცია აკისრია საზოგადოების წინაშე. ფიდუციური მოვალეობის არსიდან გამომდინარე, ა(ა)იპ-ის დირექტორს პასუხისმგებლობის საკითხს თავად „მენარმეთა შესახებ“ კანონი უდგენს და მას ვერ გასცდება. აქ კი ა(ა)იპ-სა და დირექტორს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ იდეალურ ფორმად დავალების შესახებ ხელშეკრულება გვევლინება. პასუხისმგებლობის დაკისრების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველია როგორც ზოგადი, ისე განსაკუთრებული კერძოსამართლებრივი ნორმები. მიუხედავად მწირი სასამართლო პრაქტიკისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები არის იმის ნათელი ნიმუში, რომ ამ შემთხვევაში გამოიყენება საქართ-

<sup>57</sup> იქვე, პ-48.

<sup>58</sup> <<https://blh.com.ge>> [07.01.2022].

<sup>59</sup> „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (02.08.2021 წლის რედაქცია) 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე-723-ე მუხლები, რაზეც მან ერთ-ერთ გადანყვეტილებაში<sup>60</sup> აღნიშნა კიდევ. ამ ნორმების საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ „დირექტორი საწარმოს სახელითა და ხარჯზე ახორციელებს კანონითა და კანონიდან გამომდინარე საწესდებო ავტონომიის ფარგლებში საზოგადოების ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებამოსილებას“<sup>61</sup>.

ზოგადად, შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში დასაქმებული მიჩნეულია უფრო სუსტ მხარედ, სუბორდინაციის პრინციპის გათვალისწინებით.<sup>62</sup> იგი არ მოქმედებს დამოუკიდებლად, არამედ ასრულებს დამსაქმებლის მიერ მისთვის განერილ ვალდებულებებს და ამისთვის იღებს შესაბამის გასამრჯელოს, რითაც შეიძლება იგი დაემსგავსოს დავალების ხელშეკრულებას, ვინაიდან დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.<sup>63</sup> ამასთან, საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია სსკ-ის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსზე. დირექტორი იმყოფებოდა ა(ა)იპ-ის დაქვემდებარებაში, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა თბილისის მერიას, დირექტორი ქონებრივად და ორგანიზაციულად დამოკიდებულია სააგენტოზე, შესაბამისად, ნათლად ჩანს სუბორდინაცია. ამასთან, დირექტორი არ მოქმედებს საკუთარი შეხედულებისამებრ და ა(ა)იპ-ის ბიუჯეტით, არამედ კონკრეტულად იმ ბაგაბალისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში და მკაცრად განერილი წესების დაცვით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ნაკ-

<sup>60</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 თებერვლის გადანყვეტილება Nას-1203-2018; საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის გადანყვეტილება Nას-1501-1421-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივნისის გადანყვეტილება Nას-457-436-2015.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, ნ. ბაქაქურის, თ. თოდრისა და ზ. შველიძის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 33, 37.

<sup>63</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი.

ლებად ლოგიკურია საკასაციო პალატის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ მიიჩნია აღნიშნული ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებად.

დავალების ხელშეკრულება განეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. იგი სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს გარკვეული მოქმედების შესრულება. დავალების ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური ხელშეკრულებაა, რომლის მხარეებია, ერთი მხრივ, მარწმუნებელი, რომელიც დავალების მიმცემია, ხოლო მეორე მხრივ, რწმუნებული, რომელიც კისრულობს დავალებული მოქმედების განხორციელებას<sup>64</sup>. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, განსახილველ შემთხვევაში, მხარეებს შორის სსკ-ის 709-ე მუხლის საფუძველზე დაიდო დავალების ხელშეკრულება. ამდენად, ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან. ამის გათვალისწინებით, იურიდიულად დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მისი გაუქმების საფუძველია.<sup>65</sup>

ამდენად, საკასაციო სასამართლომ გამოყენებული ნორმის კანონიერების შემოწმებისას გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორად განმარტა ნორმა, იდეალურად დააკვალიფიცირა მოცემული სამართლებრივი შემთხვევა. საკასაციო სასამართლოს ქმედება, ზემოაღნიშნული მსჯელობის შეჯერების საფუძველზე, ნამდვილად პრეცედენტული და გამორჩეულია. მოსამართლის მიერ გამოყენებული „პრინციპის არგუმენტის“ ფენო-

---

<sup>64</sup> გოგინავა თ., წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველები და წარმომადგენლობის ფარგლები, თბილისი, 2019, 49.

<sup>65</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება **ნას-953-2020**.

მენმა<sup>66</sup> კიდევ უფრო საინტერესო გახადა სადავო გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მარშალისეული იურიდიული იდეოლოგიის<sup>67</sup> გამტარებელია და მის მსგავსად ტაქტიკურად მოქმედებს. მარშალს ახასიათებდნენ, როგორც „შედეგზე ორიენტირებულ ტაქტიკოს პოლიტიკოსს და არა ცალკეული იურისპრუდენციული თეორიების უზადო მცოდნეს“<sup>68</sup> და საკასაციო სასამართლო მის ამ თვისებას იდეალურად ითვისებს.

## V. დასკვნა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე **№სს-953-2020** მართლაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. მასში მოცემული სამართლებრივი პრობლემა და მისი კონსტრუქციულ-პროცესუალური იერარქია ქმნის იმ იდეალურ მოცემულობას, რასაც მისი იურიდიული სირთულე და სამართლებრივი ხიბლი ჰქვია. მისდამი ინტერესი მართლაც გასაოცარია. საკასაციო სასამართლომ კი მსჯელობა სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა და მთლიანად შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომ სადავო ურთიერთობა მან დააკვალიფიცირა დავალების (სასამსახურო) ხელშეკრულებად და მისი შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად არა შრომის ხელშეკრულების, არამედ დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმები მიიჩნია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის მუხლებთან სისტემური განმარტების საფუძველზე. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების იურიდიული მართლზომიერების

<sup>66</sup> იხ., დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021.

<sup>67</sup> იხ., დარცმელიძე რ., ჩუბინიძე ლ., მარბერი მედისონის წინააღმდეგ: ჯონ მარშალის ხელოვნება, ჟურნალი „სამართლის მეთოდები“, N5, 2021.

<sup>68</sup> ხავთასი ი., შეერთებული შტატების მაგალითზე ფედერალური უზენაესი სასამართლოს პოლიტიკური როლი ძალაუფლების დანაწილების შეკავება-განონასწორების მოდელში, საკონსტიტუციოს სამართლის ჟურნალი, N2, 2019, 73.

ლანა ჩუბინიძე, ანა გოგორელიანი

შემოწმების თვალსაზრისით კი გამოიყენა ნორმის ობიექტური მიზნის განსაზღვრის – ტელეოლოგიური განმარტების მეთოდი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

საკასაციო სასამართლო ეცადა, დაედგინა მიჯნა დავალებისა და შრომითსამართლებრივ ურთიერთობას შორის, რაც სამომავლო მსგავს საქმეებში ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციას შეასრულებს. აღნიშნული გადანყვეტილება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სასამართლოს როლს მხარეთა ინტერესების დაბალანსებაში და აკისრებს მას უდიდეს ვალდებულებას, ჯეროვნად, ყოველმხრივ და სრულად იქნეს გამოკვლეული თითოეული მხარის პოზიცია, წარდგენილი მტკიცებულებები და სხვა ნებისმიერი დეტალი, სანამ სასამართლო საკუთარ გადანყვეტილებას გააჟღერებს.

შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი გადანყვეტილებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველო მიისწრაფვის არა მხოლოდ იმისკენ, რომ დაწერილ სამართალს თავისი გადანყვეტილებებით დღის სინათლე მოჰფინოს, არამედ იქითაც, რომ ნორმის ინტერპრეტაციის მეთოდით პრეცედენტები შექმნას სხვა ინსტანციის სასამართლოებისთვისაც.

## **LEGAL QUALIFICATION OF LABOR CONTRACT AND CONTRACT OF MANDATE (SERVICE CONTRACT) WHEN CHECKING LEGALITY OF DEFAULT JUDGEMENT**

**Lana Chubinidze\*, Ana Gogoreliani\*\***

Freedom of labor is a constitutional human right. The state protects it by fulfilling positive and negative obligations. Due to the specifics of labor relations, the principle of subordination is one of the basic principles that apply in labor law. Accordingly, the employee is subordinate to the employer and directly obeys the rules and conditions set by him. The parties of the Contract of Mandate (Service Contract) are the mandator who gives an assignment to the mandatary and the mandatary who is obliged to perform mandated actions. It is often difficult to find the difference between the contract of the mandated employment agreement. No. AS-953-2020 decision of the Chamber of Civil Cases of the Supreme Court of Georgia, issued on April 2, 2021, regarding the above-mentioned issue sets precedent, both in the case's procedural history and in the legal complexity and reasoning, which is undoubtedly distinguished from the previously set practice. What makes this case special is the fact that, from a procedural point of view, the case went through the second and third instances twice. In addition, a repeated default (absentee) judgment was appealed, the legal legitimacy of which is the main focus of the legal proceedings of the courts.

Accordingly, this article will assess the factual circumstances related to the legal dispute and the grounds and motivation for the decision made by the relevant court. Also, special attention will be drawn to the decision made by the Supreme Court and the decision will be assessed in the context of whether the judge applied the law he was supposed to apply or the law that he was not supposed to apply and

---

\* Master of Law. [orcid.org/0000-0001-5643-9213](https://orcid.org/0000-0001-5643-9213).

\*\* Master of Law. [orcid.org/0000-0002-1098-3691](https://orcid.org/0000-0002-1098-3691).

ლანა ჩუბინიძე, ანა გოგორელიანი

whether or not he misinterpreted the law. It also determines which method of resolving a hard case was used by the judge.

Keywords: Default Judgment, Contract of Mandate (Service Contract), Labor Contract, Employment Agreement, The legality of the default judgment



## თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები ძირითადი მოვალის ლიკვიდაციისას

გიორგი ბერიძე\*

### I. შესავალი

ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში თავდებობა კრედიტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი ფორმაა, რომლის საშუალებითაც კრედიტორი ახდენს თავისი მოთხოვნების უზრუნველყოფას და დაცვას იმ მხრივ, რომ თუ ძირითადი მოვალისგან თანხას ვერ ამოიღებს, გადახდისუნარიანი თავდებისაგან მოთხოვნის უფლება მას მაინც რჩება. ამასთან, თავად თავდებიც, ვალის გადახდის შემდეგ, იკავებს ძირითადი კრედიტორის ადგილს და ეძლევა შესაძლებლობა, ძირითად მოვალეს მის მიერ გადახდილი თანხის ანაზღაურება მოსთხოვოს.<sup>1</sup>

ზოგადად, თავდებობა აქცესორული ხასიათის გარიგებაა, ანუ ის არსებობს მხოლოდ ძირითად ხელშეკრულებასთან ერთად.<sup>2</sup> თუმცა ბოლო პერიოდში თავდებობის აქცესორული ბმა ძირითად ხელშეკრულებასთან თანდათანობით სუსტდება.<sup>3</sup> თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა მას თითქმის სრულიად დამოუკიდებელ ხელშეკრულებად მიიჩნევს. თავდებობას, როგორც სესხის ხელშეკრულებისგან დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, აქვს თავისი ნამდვილობის წინაპირობები, რომელთა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, გარიგების ბათილობის გამო, კრედიტორი უზრუნველყოფილი მოთხოვნის გარეშე რჩება.<sup>4</sup> თუმცა წარმოდგენილი

---

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ადვოკატი. [orcid.org/0000-0002-9254-0893](https://orcid.org/0000-0002-9254-0893).

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლი.

<sup>2</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 891, ველი 3. <f>ty/UQLq> [10.04.2022]

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ივნისის Nას-401-2019 განჩინება.

<sup>4</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის Nას-726-2019 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის Nას-726-2019 განჩინება.

სტატია კონკრეტულად შეეხება თავდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების შესაძლებლობას, როდესაც ძირითადი მოვალის ლიკვიდაციის გამო მისგან მოთხოვნა გამორიცხულია. ამასთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც სრულიად შეცვალა მანამდე დამკვიდრებული შეხედულება თავდებობის ბუნებასთან დაკავშირებით, ამან კი კრედიტორებს მოქმედების ფართო არეალი გაუხსნა და მოთხოვნის უფლება შესაძლებელი გახდა ძირითადი მოვალის ლიკვიდაციის შემდეგაც. ეს ყოველივე საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს გააზრებული კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებების დანიშნულება და დამოუკიდებელი ხასიათი. თავდებობის ხელშეკრულების მიმართ, სესხის ხელშეკრულებასთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ უფრო მაღალი დაცვის სტანდარტი მოქმედებს. საუბარია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სასამართლომ სრულწლოვანი პირი, რომელსაც ახალი შესრულებული ჰქონდა 18 წელი, მიიჩნია გამოუცდელ მხარედ თავდებობის ურთიერთობაში და თავდებობის ხელშეკრულება ბათილად ჩათვალა.<sup>5</sup> ეს ყოველივე მეტად სპეციფიკურ და მნიშვნელოვან გარიგებად აყალიბებს თავდებობის ხელშეკრულებას.

## **II. თავდებობის ადგილი სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებათა შორის**

თავდებობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე თავში ნორმატიზებული ხელშეკრულებაა.<sup>6</sup> იგი აქცესორული ვალდებულებაა. თავდებობა, აქცესორული ბუნების გამო<sup>7</sup>, შეიძლება მხოლოდ მაშინ წარმოიშვას, როცა, თავის მხრივ, წარმოიშვა უზრუნ-

---

ნაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 თებერვლის Nას-1172-2018 გადაწყვეტილება.

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის Nას-726-2019 გადაწყვეტილება.

<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-905-ე მუხლები.

<sup>7</sup> იქვე, 891-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ველსაყოფი მოთხოვნა. თუ ძირითადი ვალდებულება რაიმე მიზეზით არ წარმოიშვა და არ არის ნამდვილი, თავდები თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან.<sup>8</sup> თუ არ არსებობს უზრუნველსაყოფი მოთხოვნა, მხოლოდ უზრუნველმყოფი ვალდებულების არსებობა აზრს კარგავს. თუმცა დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლებელია ძირითადი ვალდებულების ბათილობის მიუხედავად, თავდებობა ძალაში დარჩეს და ის კონდიციური მოთხოვნის უზრუნველმყოფი ფუნქციის მატარებელი გახდეს.<sup>9</sup> თუმცა, ზოგადად, თავდებობის აქცესორული ბუნება მიანიშნებს იმაზე, რომ მას რაიმე სახით წინ უნდა უსწრებდეს სხვა ძირითადი ვალდებულება და მოსაზრებას, რომელიც თავდებობის აქცესორულ ბუნებას ამ მხრივ ფართოდ განმარტავს და კონდიციური მოთხოვნის უზრუნველმყოფ ფუნქციასაც აკისრებს გარიგების ბათილობისას, დოქტრინაში კრიტიკოსები ჰყავს<sup>10</sup>. მიუხედავად თავდებობის აქცესორული ხასიათისა, ის ცალსახად დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა, მას სამოქალაქო კოდექსში დამოუკიდებელი ადგილი უკავია და იგი დაიდება სესხის ხელშეკრულებისგან განცალკევებულად. უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ სესხის ხელშეკრულებაზე თავდები პირების ხელმოწერა არ ჩათვალა თავდებობის ხელშეკრულების დადებად.<sup>11</sup> შესაბამისად, ეს ყველაფერი ხაზს უსვამს თავდებობის, როგორც ძირითადი ვალდებულებისგან განყენებული გარიგების, მნიშვნელობას. უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში<sup>12</sup> აღნიშნა, რომ თავდე-

<sup>8</sup> რუსიაშვილი გ., ქავშიაია ნ., თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი, „მედარებიტი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, N2, 2020, 26.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> მესხიშვილი ქ., თავდებობის სამართლებრივი ასპექტები (თეორია და პრაქტიკა), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, VI, 2017, 73. იხ. ციტირება: Medicus, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13. Auflage, C.H.Beck, München, 2006, S.193.

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 19 მარტის Nას-1717-2019 გადაწყვეტილება.

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივნისის Nას-132-2019 განჩინება.

ბობა საკუთარ თავში ატარებს კაუზას, რაც იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფის მიზნით დადებული ხელშეკრულება დამოუკიდებელი ხასიათისაა – უზრუნველყოფი პირები საკუთარ და არა სხვის ვალდებულებას ასრულებენ<sup>13</sup> და მოვალესა და კრედიტორს შორის წარმოშობილი ურთიერთობის გარდა, სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა ასევე ძირითად მოვალესა და თავდებს შორისაც,<sup>14</sup> რითიც არის განპირობებული თავდების მიერ კრედიტორის წინაშე შესრულების ვალდებულების აღება.

თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის არსებული შიდა ურთიერთობის ნაკლი თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობაზე არ აისახება,<sup>15</sup> მიუხედავად იმისა, რომ თავდებობა, ძირითად ვალდებულებასთან მიმართებით არის აქცესორული და სუბსიდიური. ეს, ერთი მხრივ, ნიშნავს იმას, რომ თავდების ვალდებულების არსებობა და მისი ფარგლები დამოკიდებულია ძირითად ვალდებულებაზე (აქცესორულობა) და გარდა ამისა, თავდები კრედიტორის წინაშე, ძირითადად, მხოლოდ როგორც მომდევნო რიგის მოვალე, ისე აგებს პასუხს,<sup>16</sup> თავდების პასუხისმგებლობის ცვლილებაზე გავლენას ვერ ახდენს მოვალის გადახდისუწარიანობა. თავდების არსი სწორედ ისაა, რომ მან მთელი თავისი ქონებით უზრუნველყოს კრედიტორი, თუ ძირითადი მოვალე კრედიტორს თავად ვერ უზრუნველყოფს.<sup>17</sup> თავდების გარდაცვალება არ წყვეტს თავდებობას, რადგან იგი მემკვიდრეობით გადადის და ჩვეულებრივ

---

<sup>13</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2019 წლის 21 ოქტომბრის **ნას-647-647-2018** გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ივნისის **ნას-401-2019** განჩინება; რუსიაშვილი გ., აქცესორულობის პრინციპი იპოთეკისა და თავდებობის მაგალითზე, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, **N3, 2019, 15.**

<sup>14</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 891, ველი 4. <ly/UQLq> [10.04.2022].

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე, ველი 25.

<sup>17</sup> მესხიშვილი ქ., თავდებობის სამართლებრივი ასპექტები (თეორია და პრაქტიკა), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, **VI, 2017, 38.** იხ. ციტირება: *Medicus, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13.Auflage, C.H.Beck, München, 2006, S.194.*

აგრძელებს არსებობას.<sup>18</sup> თავდებობა, იპოთეკისგან განსხვავებით, მკაცრად აქცესორული ხასიათის არაა. სსკ-ის 891-ე მუხლის მე-2 ნაწილი (სამომავლო და პირობითი მოთხოვნებისთვის თავდებობა) იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეულწილად „შერბილდეს“ აქცესორული ხასიათი. შესაბამისად, თავდებობის აქცესორულობის პრინციპიდან არსებობს გამონაკლისები. მაგალითად, როდესაც ქონების არარსებობის გამო მოვალე წყვეტს ვალდებულების შესრულებას.<sup>19</sup> უზენაესი სასამართლოს 2020 წლამდე არსებული პრაქტიკა განსახილველ საკითხთან მიმართებით საკმაოდ ხისტი იყო, თუმცა, ამის მიუხედავად, თავდებობის, როგორც თავის თავში კაუზის მატარებელი გარიგების, არსი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. შესაბამისად, მიუხედავად თავდებობის აქცესორული ხასიათისა, ის ნამდვილად დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა. ამ არგუმენტს სიმტკიცეს მატებს ის ფაქტიც, რომ თავდებობის ხელშეკრულებას თავისი ნამდვილობის წინაპირობები აქვს სესხის ხელშეკრულებისგან დამოუკიდებლად. აქედან გამომდინარე, თავდებობა ხელშეკრულებაა თავდებსა და კრედიტორს შორის, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულების მხარეებს დამოუკიდებლად ეკისრებათ კეთილსინდისიერების და გულისხმიერების ვალდებულებანი.

### **III. აქცესორული ბმის სიმყარე თავდებობის ხელშეკრულებასა და უზრუნველსაყოფ ვალდებულებას შორის**

ნებისმიერი სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება იდება შესრულებით შეწყვეტის მიზნით, მხარეები კისრულობენ ვალ-

<sup>18</sup> პერანიძე მ., თავდების დაცვის მექანიზმები თავდებობის ურთიერთობის ფარგლებში, თბილისი, 2021, 30-31; იხ. ციტირება: MüKoBGB/Habersack, 8. Aufl. 2020, BGB § 765 Rn. 51.

<sup>19</sup> იქვე, იხ. ციტირება: MüKoBGB/Habersack, 8. Aufl. 2020, BGB § 767 Rn. 7.

დებულებას, შეასრულონ ის.<sup>20</sup> თუმცა სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების შეწყვეტის სხვა გზებსაც ითვალისწინებს, მათ შორისაა მოვლის ლიკვიდაცია.<sup>21</sup> ამ დროს პირს აღარ აქვს ვალდებულების შესრულების მოვალეობა. საინტერესოა, იმ შემთხვევაში, თუ ლიკვიდირებული პირი ძირითადი მოვალეა და მის მიმართ ვალდებულება შეწყდება სამოქალაქო კოდექსის 454-ე მუხლის საფუძველზე, რა ბედი ეწევა თავდებობას, რადგან ძირითადი მოვალე ფაქტობრივად კანონის ძალით გათავისუფლებულია ვალდებულებისგან. სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და 893-ე მუხლის პირველი წინადადებიდან კი ნათლად იკვეთება, რომ თავდებობა აქცესორული ხასიათისაა და უზრუნველსაყოფი ინტერესის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს.

უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში,<sup>22</sup> რომელიც ეხებოდა ძირითადი მოვალის ლიკვიდაციისას თავდებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს, გაავლო ზღვარი თავდებობას, როგორც დამოუკიდებელ ხელშეკრულებასა და თავდებობას, როგორც აქცესორულ გარიგებას, შორის. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ ძირითადი ვალდებულების გაუქმება იმთავითვე აუქმებს კრედიტის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ საშუალებებს მათი აქცესორულობის გამო და პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს უზრუნველმყოფ პირებს, „ეს მთლიანად გამოაცლის საფუძველს საკრედიტო ურთიერთობებში უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსებობას, დანიშნულებასა და მიზანს“<sup>23</sup>.

განსახილველი გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკმაოდ მნიშვნელოვანი პრაქტიკა ჩამოაყალიბა

---

<sup>20</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 832.

<sup>21</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 454-ე მუხლი.

<sup>22</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივნისის Nას-132-2019 განჩინება.

<sup>23</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 15.

კრედიტორთა უფლებების დაცვის კუთხით. სასამართლომ კრედიტორს მისცა შესაძლებლობა, რომ თავდებისაგან მოეთხოვა მთლიანი ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ძირითადი მოვალის ლიკვიდაციისა, რითაც შექმნა კრედიტორთა უფლებების დაცვის საკმაოდ მყარი გარანტიები. თუმცა, საკითხავია, რამდენად სამართლებრივად დასაბუთებულია ამგვარი გარანტიების შექმნა და სწორად განმარტა თუ არა სასამართლომ კანონი. პირველი ინსტანციის სასამართლომ ამავე საქმეზე გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო სსკ-ის 454-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან.<sup>24</sup>

მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რას ნიშნავს ლიკვიდაციის პროცესი. ეს არაა საწარმოს რეგისტრაციიდან უბრალოდ ამოშლა, არამედ მას წინ უძღვის კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი იქამდე, სანამ საწარმოს აქვს რაიმე ქონება, მაქსიმალურად ყველა კრედიტორის მოთხოვნა კმაყოფილდება.<sup>25</sup> ლიკვიდაციის პროცესი სწორედაც რომ კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ეძღვნება და აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ ხდება სამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია. აღნიშნული რეგისტრაცია კი ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია.<sup>26</sup> შესაბამისად, ლიკვიდაციის პროცესს წინ უძღვის კრედიტორთა შესაძლო დაკმაყოფილების პროცესი, ხოლო თუ კრედიტორთა მოთხოვნა რჩება დაუკმაყოფილებელი, ამ რისკის მატარებელი თავად კრედიტორია, რადგან ლიკვიდაციის შემდეგ, სსკ-ის 454-ე მუხლის თანახმად, შეწყდება ვალდებულება ძირითადი მოვალის მიმართ. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში აღარ არსებობს პირი, რომლის მიმართაც შეიძლება აღსრულდეს გადაწყვე-

<sup>24</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივნისის Nას-132-2019 განჩინება.

<sup>25</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 911.

<sup>26</sup> იქვე, 912.

ტილება, რის გამოც, სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა შეწყდეს არა მხოლოდ სააპელაციო, არამედ მთელი სასარჩელო წარმოება.<sup>27</sup>

ძირითადი მოვალის მიმართ მოთხოვნის არარსებობა ზეგავლენას ახდენს თავდების უფლებებზეც, რადგან სსკ-ის 905-ე მუხლის მიხედვით, თავდებს, მას შემდეგ, რაც ის გადაიხდის ძირითადი მოვალის ვალს, უფლება აქვს ძირითად მოვალეს მოსთხოვოს თანხების ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მოვალე ლიკვიდირებულია და შესაბამისად, მასსა და კრედიტორს შორის არსებული ვალდებულება შეწყვეტილი, მაშინ კრედიტორის მოთხოვნა თავდებზე ვეღარ გადავა და აღმოჩნდება, რომ თავდები გადაიხდის თანხას, თუმცა მას ვეღარ მოითხოვს ძირითადი მოვალისაგან. ვინაიდან ამჟამად, რომ იზღუდება თავდებთა უფლებები, უნდა შეფასდეს ეს შეზღუდვა რამდენად გამართლებულია და რეალურად რაში მდგომარეობს უზრუნველყოფის არსი.

კრედიტის უზრუნველყოფის ყველა საშუალებას აერთიანებს კრედიტორის მიზანი – საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფა და ამ მიზნით, მისთვის დამატებითი სამართლებრივი პოზიციების მინიჭება, რომელთა ძალითაც უნდა მოხდეს მოთხოვნის შესრულების გარანტირება,<sup>28</sup> ანუ კრედიტორს სურს დააზღვიოს მოვალის გადახდისუუნარობის რისკი, მაშინ, როდესაც თავად თავდების ძირითადი მიზანი მოვალის კრედიტუუნარობის რისკის ტვირთვაა. თუმცა თავდების შინაგანი მოტივაცია შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს და ეს გავლენას ვერ მოახდენს თავდებობის გარიგების ნამდვილობაზე. თავდებს, როგორც წესი, შესრულების მიმართ თავისი დამოუკიდებელი ინტერესი არ გააჩნია. მისი შესრულება მხოლოდ მოვალის ინტერესებშია. თავდებობა კი მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების უზრუნ-

---

<sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 23 ოქტომბრის Nას-412-804-06 გადაწყვეტილება.

<sup>28</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 891, ველი 1. <ty/UQLq> [10.04.2022].



ველყოფას ემსახურება.<sup>29</sup> ამასთანავე, ვინაიდან თავდებობა თავისი არსით მხოლოდ ვალდებულებას მოიცავს, სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა თავდების დაცვის სტანდარტი მისი გამოუცდელიდან გამომდინარე, როდესაც თავდებს არ გააჩნია შესაძლებლობა, სრულად გაიზაროს ის პასუხისმგებლობა, რასაც ის თავდებობით კისრულობს, ამ შემთხვევაში თავად კრედიტორს აქვს ვალდებულება მაქსიმალურად გამოიკვლიოს თავდების გადახდისუნარიანობა და თავდების მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა.<sup>30</sup> ამგვარად, თავდების მიერ თავდებობის ხელშეკრულების გაფორმებისას სრულადაა გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რასაც თავდები ხელშეკრულებით კისრულობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს თავდებობის ხელშეკრულების ბათილობის საკითხიც კი. შესაბამისად, თავდებობის ხელშეკრულების დადებისას, თავდები საკუთარი რისკის სფეროში აქცევს მოვალის შესაძლო ეკონომიკურ კრახს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ სწორად მოახერხა უზრუნველყოფის მიზნის იდენტიფიცირება და რისკების გადანაწილება, სსკ-ის 454-ე მუხლის მიზანი არაა მოვალის პრივილეგირება, პირიქით, 454-ე მუხლი ვალდებულების შეყვეტის ყველაზე უკიდურესი საშუალებაა, რა დროსაც შეუძლებელია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. აღსანიშნავია ისიც, რომ ლიკვიდაციის შემდეგ იურიდიულ პირს აღარ რჩება უფლებამონაცვლე, განსხვავებით ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევისგან, რომელსაც ვალდებულება მიღებული სამკვიდროს ნაწილში გადაჰყვება სსკ-ის 893-ე მუხლის მიხედვით. შესაბამისად, მსგავს სიტუაციაში განსხვავებული მიდგომა იურიდიული პირის და ფიზიკური პირის თავდებთა ვალდებულებების მიმართ არააწორი და დისკრიმინაციული იქნებოდა.

<sup>29</sup> მესხიშვილი ქ., თავდებობის სამართლებრივი ასპექტები (თეორია და პრაქტიკა), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, VI, 2017, 73. იხ. ციტირება: Medicus, Schuldrecht II, Besonderer Teil, 13.Auflage, C.H.Beck, München, 2006, S.193-194.

<sup>30</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 05 ივლისის Nას-726-2019 გადაწვეტილება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართული სასამართლოს გადაწყვეტილება ეთანადება გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. ძირითადი მოვალის გაკოტრების მიუხედავად, გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „თავდებობა, მიუხედავად მისი აქცესორულობისა, გამონაკლისის სახით, დამოუკიდებელი მოთხოვნის ფორმით უნდა დარჩეს ძალაში“<sup>31</sup>, მსგავსი ვითარებაა მაშინაც, როდესაც ძირითადი ვალი მცირდება მოვალის გაკოტრების გამო.<sup>32</sup> შესაბამისად, სასამართლოს მითითება უზრუნველყოფის მიზანსა და აქცესორული ბმის შესუსტებაზე, მიმართულია არა რომელიმე მხარის პრივილეგიებისკენ, არამედ უკვე არსებული სახელშეკრულებო თვითბოჭვის დაცვისკენ. აღნიშნული დაცვითი ინტერესი აღარ იარსებებს იმ შემთხვევაში, თუ ძირითად ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება თავდებობის ხელშეკრულების შეუცვლელად, აღნიშნული განიხილება ნოვაციად და უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, თავდები თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისგან.<sup>33</sup> მსგავსი მიდგომა დამკვიდრებულია უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკით.<sup>34</sup> აღნიშნულ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, თავდებობის და სესხის ხელშეკრულებებს შორის აქცესორული კავშირი

---

<sup>31</sup> პერანიძე მ., თავდების დაცვის მექანიზმები თავდებობის ურთიერთობის ფარგლებში, თბილისი, 2021, 33. იხ. ციტირება: BGHZ 82, 327; BGH WM 1956, 1209; KG NJW 1955, 1152; BGH NJW 1955, 11 52; BGHZ 25, 217. მითითებულია: რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 893, ველი 20. <ty/1Ezp> [11.04.2022]

<sup>32</sup> კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიას და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძის, თ. დარჯანიას და ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014. 568-569.

<sup>33</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის პირველი ოქტომბრის **ნას-704-667-2013** გადაწყვეტილება.

<sup>34</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2019 წლის 21 ოქტომბრის **ნას-647-647-2018** განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2019 წლის 7 მაისის **ნას-97-2019** განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2017 წლის 20 იანვრის **ნო.ას-836-802-2016** განჩინება.

მტკიცება, თუმცა მხოლოდ სსკ-ის 454-ე მუხლთან მიმართებით აღნიშნულმა აქცესორულმა ბუნებამ ნაკლებად მყიფე ხასიათი შეიძინა.<sup>35</sup> სასამართლომ განავითარა ახალი მსჯელობა თავდებობის აქცესორულ ბუნებასთან დაკავშირებით, სწორედ აქედან დაედო საფუძველი თავდებობის, როგორც დამოუკიდებელი ხელშეკრულების, აღქმას. კასაციამ დაადგინა, რომ, თავდებობის აქცესორული ხასიათის მიუხედავად, ის სესხის ხელშეკრულებისგან დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა, რომელიც თავის თავში მოიცავს კაუზას, თავდები კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელია არა ძირითადი სესხის ხელშეკრულების მოვალე-კრედიტორს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, არამედ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებიდან გამომდინარე.<sup>36</sup>

#### IV. დასკვნა

თავდებობა სესხის ხელშეკრულებისგან დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა, მას თავისი კუთვნილი ადგილი აქვს სამოქალაქო კოდექსში და მიუხედავად იმისა, რომ არსებობისთვის სჭირდება უზრუნველსაყოფი ვალდებულება, ის დამოუკიდებლად წარმოშობს ვალდებულებებს თავდების მიმართ. თავისი გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ თავდებობის ხელშეკრულების არსი წარმოაჩინა, მან, ერთი მხრივ, ხაზი გაუსვა თავდებობის ხელშეკრულების აქცესორულ ბუნებას და ყურადღება გაამახვილა ძირითად ვალდებულებასთან მის მიმართებაზე და მეორე მხრივ, შეაფასა თავდებობა, როგორც მხარეთა შორის დადებული დამოუკიდებელი ხელშეკრულება. სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ თავდებობა თავის თავში მოიცავს კაუზას და ამ კაუზის საფუძველზე სწორედ თავდები პირია ვალდებული კრედიტორის მიმართ საკუთარი ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში. სასამართლომ

<sup>35</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ივნისის Nას-401-2019 განჩინება.

<sup>36</sup> იქვე.

მართებულად გამიჯნა ერთმანეთისგან ძირითადი მოვალისა და თავდების პასუხისმგებლობა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აქცესორული ბმის სიმსუბუქეზე მთელ რიგ შემთხვევებში და სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 454-ე მუხლი უზრუნველყოფის მიზანთან მიმართებით. სასამართლომ მართებულად შეაფასა სსკ-ის 454-ე მუხლის გამოყენებისას ის, რომ თავდებობის აქცესორული ბუნების არასწორად განმარტების შემთხვევაში საფრთხე ექმნებოდა მთლიანად უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსებობას, რაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას და თავდებებს ზედმეტ და გაუმართლებელ პრივილეგიას მიანიჭებდა. სასამართლომ, თავდებობის ხელშეკრულების აქცესორული ბუნების სწორი განმარტებით, საფუძველი ჩაუყარა კრედიტორთა უზრუნველყოფის მიზნის სწორად განხორციელებას და მისცა მათ, ძირითადი მოვალის ლიკვიდაციის მიუხედავად, თავდები პირისგან მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. მართალია, ამ გადაწყვეტილებით ფაქტობრივად თავდები პირები აღმოჩნდნენ იმგვარ სიტუაციაში, რომ მოუწევთ მთლიანი დარჩენილი ვალდებულების შესრულება ნაკისრი პასუხისმგებლობის ფარგლებში, თუმცა სამაგიეროდ, ისინი დაკარგავენ მოთხოვნის უფლებას სსკ-ის 905-ე მუხლიდან გამომდინარე ძირითადი მოვალის მიმართ, რადგან ძირითადი მოვალის ვალდებულება კრედიტორის მიმართ, სსკ-ის 454-ე მუხლიდან გამომდინარე, შეწყვეტილია და თავად ძირითადი მოვალე ლიკვიდირებულია, შესაბამისად, მისი ცესიაც ვერ მოხდება, მაგრამ აღნიშნული რისკი თავდებობის ხელშეკრულების მომენტში თავად თავდებმა იტვირთა. ამიტომ სწორედ თავდებმა პირმა უნდა ატაროს ძირითადი მოვალის გადახდის უუნარობის რისკი და არ არსებობს ამ რისკის კრედიტორისთვის გადაკისრების სამართლებრივი საფუძველი, როდესაც ჯერ კიდევ არსებობს გადახდის უნარიანი თავდები.

## **THE SCOPE OF THE SURETY'S LIABILITY IN THE EVENT OF THE LIQUIDATION OF THE PRINCIPAL DEBTOR**

**Giorgi Beridze\***

The article concerns the legal nature of suretyship contract and its relation to the principal debt agreement. It discusses legal basis for the performance of an obligation by the surety's following the death of the principal debtor. Discussion is based on an analysis of the case law of the Supreme Court of Georgia and doctrinal views.

The issue under consideration is important, because formal legitimacy and the purpose of the law are at odds with each other. Aim of the article is to assess the legal status of the guarantor and the creditor, to determine whether a balance between their rights is maintained.

Keywords: Securing Credit, Insolvent Debtor, Suretyship, Liability.

---

\* Ph.D. Candidate at Sulkhani-Saba Orbeliani University, Attorney at Law.  
[orcid.org/0000-0002-9254-0893](https://orcid.org/0000-0002-9254-0893).

**საქმის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში  
დაბრუნების ფარგლები საქართველოს უზენაესი  
სასამართლოს ერთი განჩინების მაგალითზე**

თამთა ყენია\*

**I. შესავალი**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია, მისი დანიშნულებაა, ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გამოავლინოს ისეთი საპროცესო დარღვევები, რომლებსაც შედეგად არასწორი/იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა, რის გამოსასწორებლადაც საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი კვლევა. ნორმის ფუნქციაა, ასევე, გამორიცხოს სასამართლოს მიერ ისეთ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს აკმაყოფილებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი), რაც, ერთი მხრივ, ქმნის შიდასახელმწიფოებრივ გარანტიას პირისთვის სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, აღიარებულია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება, ასევე, მოიაზრებს საქმის ბრალეული გაჭიანურების გარეშე, გონივრულ ვადაში, განხილვის უფლებასაც<sup>1</sup>. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი სწორედ იმგვარი პროცესუალური ნორმაა, რომლის უმართებულო გამოყენებასაც საქმის არაგონივრული გაჭიანურება შეიძლება მოჰყვეს.

---

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. [orcid.org/0000-0003-0226-0247](https://orcid.org/0000-0003-0226-0247).

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი. იხ., *Kharitonashvili v. Georgia* [ECtHR], App. No. 41957/04, 10 February 2009; *König v. Germany* [ECtHR], App. No. 6232/73, 28 June 1978, par. 99; *Neumeister v. Austria* [ECtHR], App. No. 1936/63, 27 June 1968, par.21; *Ringeisen v. Austria* [ECtHR], App. No. 2614/65, 16 July 1971, par.110; *Pélissier and Sassi v. France* [ECtHR], App. No. 25444/94, 25 March 1999, par.67; *Pedersen and Baadsgaard v. Denmark* [ECtHR], App. No. 49017/99, 17 December 2004, par.45.

სტატიაში განხილული იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც მტკიცებულებათა დამატებითი კვლევის საჭიროების გათვალისწინებით, საქმის ქვემდგომ სასამართლოში დაბრუნებას ითვალისწინებს და Nას-758-2019 განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან, რომელიც სწორედ ამ ნორმის არამართებული რეალიზების პრაქტიკას უკავშირდება. სტატიის მიზანია გამოკვეთოს საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პრაქტიკაში გამოყენების პრობლემური ასპექტები და გამოიწილოს ფაქტების დამატებითი კვლევისა და სამართლებრივი შეფასების ვალდებულებები.

## **II. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლო და იშვიათ შემთხვევებში, სააპელაციო სასამართლო, ფაქტების დამდგენ სასამართლოებად განიხილებიან, ხოლო უზენაეს სასამართლოს ამგვარი ფუნქცია არ გააჩნია.<sup>2</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის დისპოზიციიდანაც ირკვევა, რომ საქმის ქვედა ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაბრუნება მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე ფაქტობრივი თვალსაზრისით მზადაა გადანიშნული მისაღებად, მაგრამ საჭიროა ამ ფაქტის სწორი სამართლებრივი შეფასება, დაუშვებელია. შეცდომის გასწორება საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებაში საკასაციო სასამართლოს პრეროგატივაა. იმიტომ, როდესაც საკასაციო/სააპელაციო სასამართლო საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად, იგულისხმება, რომ საქმის ფაქტობრივ სფეროში ყველაფერი რიგზე არაა, არსებული პრობლემის ხასიათიდან გამომდინარე კი მისი გამოსწორება საკასაციო/სააპელაციო პალატის კომპეტენციის სფეროს არ განე-

---

<sup>2</sup> იხ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე და 407-ე მუხლები.

კუთვნება.<sup>3</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ საქმე, პროცესუალური თვალსაზრისით სწორად, ხოლო შინაარსობრივი თვალსაზრისით სრულად განიხილა, მიიჩნევა, რომ იგი ფაქტობრივი თვალსაზრისით მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული კანონი (სამართლებრივი ნორმა), რა დროსაც ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია და ვალდებულიც, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.<sup>4</sup> ნიშანდობლივია, რომ საკასაციო სასამართლოს დადგენილი ფაქტების შემოწმების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ასეთ მითითებას წარდგენილი საკასაციო საჩივარი შეიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დისპოზიციურობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები, თუნდაც საპროცესო კანონის უგულებელყოფის შედეგად დადგენილი, სავალდებულოდ მიიჩნევა საკასაციო სასამართლოსთვის და იგი ვალდებულია სამართლებრივი შეფასება სწორედ ამ დადგენილი ფაქტების მიმართ გააკეთოს.<sup>5</sup>

გერმანულ სამართალში, მიუხედავად ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებაში გაპარული საპროცესო შეცდომისა, საქმე შეიძლება ხელახლა განსახილველად არ დაბრუნდეს ქვედა ინსტანციაში, მაშინ, როცა ქვედა ინსტანციის მიერ პროცესუალურად შეცდომით პასუხგაცემული კითხვა საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი.<sup>6</sup> შესაბამისად, საქმის დაბრუნებამდე უნდა შეფასდეს, საპროცესო დარღვევა რამდენად ახდენს გავლენას გადაწყვეტილების შედეგზე. ამიტომ, თუ საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად, მან თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნე-

---

<sup>3</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, 387-388.

<sup>4</sup> ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2007, 730.

<sup>5</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, 387-388.

<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რჩეული მუხლების კომენტარი, თბილისი, 2020, 1101.



ლობის მქონე რომელი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნას თუ შესაგებელს, არ იქნა დადგენილი სასამართლოს მიერ (შეცდომა ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის შეფასებაში) ან კიდევ, ფაქტის დადგენის (მტკიცებულებათა მოპოვების) რომელი საპროცესო წესები იქნა დარღვეული, ან რაში გამოიხატება კონკრეტულად საპროცესო სამართლებრივი ნორმის დარღვევა, რომელმაც ზეგავლენა იქონია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სისწორეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო ნათლად და გარკვევით არ მიუთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან ახალი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივ საფუძვლებზე, ასეთი გადაწყვეტილება ვერ შეასრულებს ინდივიდუალური და საჯარო ინტერესების დაცვის ფუნქციას<sup>7</sup>, რადგან თუ საკასაციო სასამართლო საკმარისი სიცხადის გარეშე ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებით გააუქმებს გასაჩივრებულს და მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას, აღნიშნული, როგორც დოქტრინული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გავლენას იქონიებს არა მხოლოდ პროცესის მონაწილეებზე, არამედ ზოგადად გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების განჭვრეტადობასა და მის სამომავლო ეფექტზე სხვა სამართლებრივი დავის მიმართ. გარდა ამისა, გადაწყვეტილების დაუსაბუთებელი შეცვლა შესაძლებელია ფართო გაგებით პროცესის გაუმართლებელ/არაგონივრულ გაჭიანურებადაც კი იქნეს მიჩნეული, რაც, საბოლოოდ, ცხადყოფს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებელი გაუქმება ან/და დაუსაბუთებლად ქვემდგომ ინსტანციაში დაბრუნება სამართლიანი სასამართლოს უფლების ქრილში პრობლემას ქმნის.

### III. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2016 წლის 03 დეკემბერს, ქ. თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში სასწრაფო დახმარების მანქანით, უგონო მდგომარეობაში მყოფი

<sup>7</sup> ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2007, 730-734.

თამთა ყენია

პაციენტი შეიყვანეს, რომელიც გადაუდებლად საჭიროებდა კარდიოქირურგიულ ოპერაციას, გულმკერდის აღმავალი აორტის რეზექციას და რეკონსტრუქციას სისხლძარღვოვანი პროთეზის გამოყენებით. პაციენტისთვის ჩასატარებელი სრული სამედიცინო მომსახურების ღირებულება 18 522 ლარს შეადგენდა. 2016 წლის 3 დეკემბერს პაციენტს ოპერაცია ჩაუტარდა. 2016 წლის 5 დეკემბერს კლინიკაში დაიბარეს მისი სამი შვილი, რომლებთანაც სოლიდარულად დაიდო შეთანხმება. შეთანხმების ტექსტის თანახმად, პაციენტის სამი შვილი კისრულობდა ვალდებულებას, არაუგვიანეს 2016 წლის 15 დეკემბრისა მკურნალობის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც რაიმე მიზეზით არ იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული, სოლიდარულად გადაეხადა. მათ მიერ შეთანხმების დადებისთანავე ღირებულების ნაწილი (2000 ლარი) დაიფარა, თუმცა დარჩენილი თანხის გადახდაზე მხარეებმა უარი განაცხადეს, რის გამოც კლინიკამ სასამართლოში აღძრა სარჩელი თანხის გადახდის მოთხოვნით.<sup>8</sup>

#### **IV. საპროცესო ისტორია: საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები**

პირველმა ინსტანციის სასამართლომ კლინიკის სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა. მისი ძირითადი არგუმენტაცია პაციენტის შვილებსა და კლინიკას შორის დადებული ხელშეკრულების ფორმალურ შეფასებას მიეძღვნა, სასამართლომ განმარტა, რომ დაიდო ვალის აღიარების ხელშეკრულება, რაც სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ წინაპირობას ქმნიდა.<sup>9</sup>

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მეორე ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრდა. სააპელაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დააკმაყოფილა. პალატა საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელმოწერილი

---

<sup>8</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 15 ივლისის N2ბ/93-20 გადაწყვეტილება.

<sup>9</sup> იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის N2/1524 გადაწყვეტილება.

დოკუმენტის ფორმალურ კვლევას გასცდა და საქმის შინაარსობრივ მხარეზე გაამახვილა ყურადღება. სასამართლომ დაასკვნა, რომ პაციენტი 2016 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო დაზღვევის სერვისით სარგებლობდა, ამიტომ ოპერაციისთვის საჭირო თანხა სახელმწიფოს უნდა აენაზღაურებინა არა მინიმალური, არამედ საბაზისო პაკეტით გათვალისწინებული დაფინანსების შესაბამისად. საბოლოოდ, ვინაიდან სამედიცინო დაწესებულებას პაციენტის დაფინანსების საკითხი სათანადოდ არ მოუკვლევია ან/და პაციენტის ოჯახის წევრებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად საჭირო მითითებები არ მიუცია, ეს გარიგება ზნეობის საწინააღმდეგოდ დადებულად და შესაბამისად, უცილოდ ბათილ გარიგებად იქნა მიჩნეული, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.<sup>10</sup>

სააპელაციო ინსტანციის გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა. 2019 წლის 22 ოქტომბერს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო პალატას დაუბრუნა.<sup>11</sup>

## **V. უზენაესი სასამართლოს პოზიცია საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ**

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის მიერ პაციენტი ისე იქნა სახელმწიფო დაზღვევის საბაზისო პაკეტის მოსარგებლედ ცნობილი, რომ შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების სრული და ობიექტური გამოკვლევა არ მომხდარა, კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ ამ ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად სააპელაციო პალატამ ერთი და იმავე უწყებიდან გაგზავნილი სამი ურთიერთსაპირისპირო დოკუმენტი გამოიყენა, რასაც, მისი აზრით, არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა შედეგად. მეორე არგუმენტის სახით საკასაციო პალატამ მიუთითა,

<sup>10</sup> იქვე, პარ. 8-14.

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის Nას-279-264-17 განჩინება.

რომ სააპელაციო სასამართლომ ისე დააკვალიფიცირა სადავო დოკუმენტი ვალის აღიარებად, რომ სათანადო შეფასება არ მიუცია სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლით განმტკიცებული ვალის გადაკისრების ინსტიტუტისთვის. განჩინების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას სათანადოდ უნდა გამოეკვლია და შეეფასებინა, პაციენტი 2016 წლის 3 დეკემბერს იყო თუ არა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირი და ქირურგიული ოპერაცია ექვემდებარებოდა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას/თანადაფინანსებას, რაც გამორიცხავს სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში პაციენტისთვის განუული სამედიცინო მომსახურების ღირებულების მის მიერ ანაზღაურების ვალდებულებას, ხოლო თუ დადგინდებოდა, რომ პაციენტი 2016 წლის 3 დეკემბერს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით არ სარგებლობდა, მაშინ სასამართლოს უნდა გაერკვია განსახილველ შემთხვევაში, ხომ არ მომხდარა პაციენტის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების 203-ე მუხლის საფუძველზე გადაკისრება.<sup>12</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის მეორე ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მოტივად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი გამოიყენა, თუმცა არ მიუთითებია, თუ ნორმაში მითითებული კონკრეტულად რომელი საფუძველით აბრუნებდა საქმეს ხელახლა განსახილველად. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება შეემოწმებინა, ვიდრე საქმეზე დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება არ დადგინდებოდა, თუმცა საგულისხმოა, რომ განჩინება არ შეიცავს უზენაესი პალატის მითითებას, რომელი ფაქტობრივი გარემოება (საქმის გადანყვეტისთვის მნიშვნელოვანი) არ იქნა დადგენილი ან დადგე-

---

<sup>12</sup> იქვე.

ნილი ფაქტობრივი გარემოებების დროს, რომელი პროცესუალური ნორმა დაარღვია სააპელაციო პალატამ, ამასთან, სასამართლოს არ დაუსაბუთებია ამ ფაქტობრივი გარემოებების გარეშე რატომ იყო შეუძლებელი გადაწყვეტილების მიღება.<sup>13</sup>

**VI. უზენაესი სასამართლოს მიერ  
შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები  
1. პაციენტის სახელმწიფო დაზღვევის  
სერვისით მოსარგებლედ ცნობა**

გადაწყვეტილების გაუქმების პირველ მოტივად საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო პალატა პაციენტის საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტით მოსარგებლედ ცნობას მხოლოდ ერთი უწყების მიერ გაგზავნილ სამ ურთიერთსაპირისპირო წერილს უკავშირებდა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებულ მტკიცებულებათა ობიექტურად შეფასების სტანდარტს არღვევდა.<sup>14</sup> ერთი შეხედვით, თითქოს მითითებული არგუმენტი საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის დისპოზიციაში ჯდება, თუმცა კრიტიკული ანალიზის მიზანია შეფასდეს, რამდენად სწორად მიუთითა საკასაციო პალატამ აღნიშნულზე და იყო თუ არა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტის დარღვევა, რამაც არასწორი ფაქტობრივი გარემოების დადგენა გამოიწვია.

სააპელაციო პალატამ ხსენებული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას გამოიკვლია სამი წერილობითი მტკიცებულება, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 20 მარტის წერილიდან ირკვეოდა, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესა-

---

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> იქვე.

ხებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პაციენტი 2016 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მინიმალური პაკეტით მოსარგებლე იყო და ამ დადგენილებით განსაზღვრული გადაუდებელი მომსახურების მიღება შეეძლო. საქმეში არსებული მეორე წერილობითი მტკიცებულებით, კერძოდ, სს „კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის“ 2018 წლის 27 ივნისით დათარიღებული წერილით დგინდებოდა, რომ 2016 წლის 3 დეკემბერს აღნიშნული ცენტრის მიერ პაციენტისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასური საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა. თუმცა საქმეში წარმოდგენილი მესამე წერილობითი მტკიცებულებით (რომელიც იდენტურ გარემოებას მიემართებოდა), კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის წერილით ირკვეოდა, რომ 2018 წლის 30 მარტს შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრს“ ეცნობა პაციენტის კერძო დაზღვევის გაუქმების შემდეგ (2016 წლის 10 მარტი), მონაცემების ასახვა „ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში“ მხოლოდ 2016 წლის 05 დეკემბერს განხორციელდა, რა დროიდანაც იგი „მინიმალური პაკეტით“ მოსარგებლე იყო. ამიტომ, დადგენილების პირობებიდან გამომდინარე, პაციენტის მიერ 2016 წლის 3-19 დეკემბერს კლინიკაში მიღებული სამედიცინო მომსახურება ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი მოკლებული იყო შესაძლებლობას, აღნიშნული ოპერაციის ხარჯები აენაზღაურებინა.<sup>15</sup>

შეაჯერა რა მითითებული სამი მტკიცებულება, სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთი და იმავე დაწესებულებიდან გაგზავნილი სხვა-

---

<sup>15</sup> იქვე.

დასხვა დროით დათარიღებული წერილი სახელმწიფო დაზღვევის დანყების თარიღად განსხვავებულ დროს მიუთითებდა, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე, ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულების გამოკვლევისა და საქმეში არსებული სხვა სადავო საკითხების დაზუსტების მიზნით, სასამართლო სხდომაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ სპეციალისტი გამოიკითხა. სხდომის მიმდინარეობისას ორჯერ, მათ შორის, ერთხელ მოწინააღმდეგე მხარის შეკითხვაზე, სპეციალისტმა განაცხადა, რომ 2016 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით პაციენტი სახელმწიფო დაზღვევის სერვისით სარგებლობდა. ასევე, მოწმემ განმარტა, რომ მონაცემები, რომელსაც სს „კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის“ ბაზაში ხედავდა მოწინააღმდეგე კლინიკასაც უნდა დაენახა. სწორედ ყველა ზემოაღნიშული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ პაციენტი სახელმწიფო დაზღვევის სერვისით სარგებლობდა.<sup>16</sup>

უზენაესი სასამართლოს მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას სააპელაციო პალატამ მოიხმო სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დოქტრინა და მიუთითა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ჯანმრთელობის უფლების ქრილში იმგვარი სამართლებრივი, ადმინისტრაციული, საბიუჯეტო და სხვაგვარი ნორმატიული ბაზის შექმნის ვალდებულებას გულისხმობს, რომლითაც ჯანმრთელობის უფლების ყველასთვის თანასწორი მიდგომის საფუძველზე რეალიზაციის შესაძლებლობას იძლევა.<sup>17</sup> ასევე დასძინა, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და „პაციენტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამედიცინო მომსახურების ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომობაა გარანტირებული, რაც სახელმწიფოს მოპასუხეთა მამის სხვა პაციენტებთან

---

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> UN Office of the High Commissioner for Human Rights (OHCHR), Fact Sheet No. 31, The Right to Health, June 2008.

იდენტურ მდგომარეობაში ჩაყენების ვალდებულებას წარმოუშობდა. გარდა ამისა, სადავო გარემოების დადგენისას, სასამართლომ იხელმძღვანელა მოწმის ჩვენებითაც, რომელმაც პროცესზე განმარტა, რომ 2016 წლის მდგომარეობით, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობდნენ კერძო დაზღვევით და რაიმე მიზეზით აღნიშნული დაზღვევა შეუნყდებოდათ, ავტომატურად ვერ ხვდებოდნენ სახელმწიფო დაზღვევის დაცვის ქვეშ. მათ განცხადებით უნდა მიემართათ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსთვის, ეცნობებინათ კერძო დაზღვევის შეწყვეტის შესახებ, საიდანაც მათთვის ერთწლიანი მოცდის პერიოდი იწყებოდა (რა შემთხვევაც მოპასუხეთა მამას ჰქონდა). ე.წ. „მოცდის პერიოდი“ გულისხმობდა აღნიშნული პირების მიერ მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის „მინიმალური პაკეტით“ სარგებლობის უფლებას, ხოლო ერთწლიანი მოცდის პერიოდის გასვლის შემდეგ მათ „საბაზისო დაზღვევის პაკეტით“ სარგებლობის უფლება ეძლეოდათ. სასამართლოს კითხვაზე, თუ რომელ ნორმატიულ აქტს ეფუძნებოდა სახელმწიფოს ამგვარი პრაქტიკა, სპეციალისტმა განმარტა, რომ მსგავსი რეგულაცია არ არსებობდა და აღნიშნული პრაქტიკით რეგულირდებოდა. საბოლოოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალური სააგენტოს მცდარი მიდგომა, რომელსაც ნორმატიული საფუძველი არ გააჩნდა, სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი ნორმის კეთილსინდისიერი განმარტების გზით, ანუ სწორი პრაქტიკის დანერგვით, უნდა გამოსწორებულიყო. ამიტომ პაციენტი „საბაზისო პაკეტის“ მოსარგებლედ იქნა ცნობილი, ასევე დადგინდა სადავო ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ მას სამედიცინო მომსახურების ღირებულება სახელმწიფოს მიერ უნდა ანაზღაურებოდა.<sup>18</sup>

სააპელაციო პალატის მოხმობილი მსჯელობიდან ირკვევა, სააპელაციო პალატამ სადავოდ გამხდარი ფაქტობრივი გარემოება დადგენილად არა მხოლოდ საქმეში წარმოდგენილი სამი ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულების შეპირისპირების საფუძველზე

---

<sup>18</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის №ს-279-264-17 განჩინება.



ცნო, არამედ ამ სამი განსხვავებული შინაარსის მტკიცებულების სწორი შინაარსის დასადგენად შესაბამისი სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი გამოიძახა მონმედ და ზეპირ სხდომაზე გამოკითხა, ასევე მოიხმო ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები, განმარტა მიმდინარე კანონმდებლობის შინაარსი და მივიდა დასკვნამდე, რომ 2016 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით პაციენტი სახელმწიფო დაზღვევის სერვისით სარგებლობდა/უნდა ესარგებლა.

უზენაესმა სასამართლომ, მართალია, მიუთითა, რომ სადავო გარემოების დადგენისას სააპელაციო პალატა მხოლოდ ურთიერთსაპირისპირო შინაარსის მქონე დოკუმენტაციას დაეყრდნო, თუმცა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უმეტესი ნაწილი სწორედ ამ გარემოების დადგენილად ცნობის დასაბუთებისადმი მიძღვნილი, ამასთან, საკასაციო პალატას არ მიუთითებია სააპელაციო პალატის მიერ ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას, რომელი პროცესუალური ნორმა დაირღვა, ამიტომ შესაძლებელია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაცია არა პროცესუალურ გამართულობას (ფაქტის არასწორად დადგენა), არამედ ფაქტის სასამართლოსეულ არასწორ სამართლებრივ შეფასებას მიემართებოდეს, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის სფეროში არ ექცევა.

## **2. მოვალის ინფორმირებულობის სტანდარტის დარღვევა, როგორც გარიგების უცილოდ ბათილად მიჩნევის საფუძველი**

საკასაციო სასამართლოდან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ერთ-ერთ საფუძველი ასევე იყო ის, რომ, პალატის აზრით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ არასათანადოდ და არადამაჯერებლად იყო დასაბუთებული გარემოება, რომ მოპასუხეებმა გარიგებას ხელი არასათანადო ინფორმაციის მიწოდების გამო მოაწერეს. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს ეს დასკვნა, ცალკე აღებული, არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი კვალიფიკაციის კატეგორიას მიეკუთვნება. სამართლებრივი კვალიფიკაცია კი, როგორც ცნობილია, საქმეში არ-

სებული მტკიცებულებების სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად მოსამართლისთვის შექმნილი შინაგანი რწმენის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევითა და კანონის ნორმების შესაბამისობაში მოყვანით დასკვნის დასაბუთებაა. შესაბამისად, ამ მოტივით საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება ცალსახად არ ექცევა საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის დისპოზიციამი.

### **3. დამფუძნებელი ნორმის განსაზღვრა**

შემდეგი არგუმენტი, რომელიც საკასაციო პალატამ საქმის უკან დაბრუნებას დაუდო საფუძვლად, სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლისა და 203-ე მუხლს შორის სწორი სამართლებრივი საფუძვლის არჩევის საკითხს მიემართებოდა. წინა არგუმენტის მსგავსად, უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერადაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი სამართლებრივი შეფასების საკითხია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის დისპოზიციამი არ ჯდება და არ შეიძლება საქმის სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი გახდეს.

გარდა ამისა, იმისდა მიუხედავად, საქმის ხელახლა განხილვის შედეგად დავის მომწესრიგებელ ნორმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი თუ ამავე კოდექსის 341-ე მუხლი იქნებოდა გამოყენებული, აღნიშნულს საქმის შედეგზე გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც არ ჰქონდა. ეს დასკვნა ემყარება სააპელაციო პალატის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ შეფასებას, რომლის თანახმად, საქმეზე მოვალის ინფორმირებულობის სტანდარტი იმდენად უხეშად დაირღვა, რომ გარიგება ამორალურ სახეს იღებდა, ანუ, სამართლებრივი კვალიფიკაციის მიუხედავად, სადავოდ ქცეული გარიგება მაინც უცილოდ ბათილ გარიგებათა კატეგორიას იქნებოდა მიკუთვნებული. ნათელია, ამ ნაწილშიც უზენაეს სასამართლოს თავის განჩინებაში არ გაუკეთებია ვარგისი სამართლებრივი შეფასება, რომელიც საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სავალდებულოდ გასათვალისწინებელია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსთვის. საკასაციო პალა-

ტას არ განუმარტავს, თუ რას ემსახურებოდა ორ სამართლებრივ ინსტრუმენტს შორის განსხვავების გაკეთების თაობაზე მითითება, მით უფრო, იმ პირობებში, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოდან მოყოლებული მოპასუხე მხარე ინფორმაციის მიუწოდებლობასა და კლინიკის მიერ სადავო ხელშეკრულების გაფორმებისას განხორციელებულ მორალურ და ზნეობრივ ზენოლაზე მიუთითებდა. შესაბამისად, ამ ნაწილშიც უზენაეს სასამართლოს, განსხვავებული სამართლებრივი მოსაზრების არსებობის შემთხვევაში, შეეძლო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე ემსჯელა.

## VII. დასკვნა

საკასაციო სასამართლოს მიერ განჩინებაში მოტანილი არცერთი საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით საქმის უკან განსახილველად დაბრუნების სამართლებრივ საფუძველს არ ქმნიდა, არამედ თითოეული მათგანი სამართლებრივი შეფასების საკითხია, რომლის განხორციელების უფლებამოსილება, უწინარესად, საკასაციო სასამართლოს, როგორც დოქტრინულ სასამართლოს, აქვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება არა მხოლოდ კარგად დასაბუთებულია და პასუხს სცემს მხარეთა მიერ სადავოდ გამხდარ ყველა გარემოებას, არამედ სამართლიანიცაა. სახელმწიფოსთვის ადამიანი უნდა იყოს მთავარი ფასეულობა, კონსტიტუციური უფლებების სუბიექტი და არა მიზნის მიღწევის საშუალება. შესაბამისად, ნათელია, რომ პაციენტის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სარგებლობის შეზღუდვა ერთი წლით მხოლოდ იმის გამო, რომ იგი დროის გარკვეულ მონაკვეთში კერძო დაზღვევით სარგებლობდა, ხოლო ისეთი პირების სრული დაფინანსება, რომელთაც კერძო დაზღვევა არ გააჩნდათ, ღირსებას ხელყოფს, ასეთ დროს სახელმწიფო იყენებს პაციენტს, როგორც ბიუჯეტის დაზოგვის ინსტრუმენტს, რაც გაუმართლებელია. ამიტომ უზენაესი სასამართლოს მიერ ყოველგვარი სამართლებრივი შეფასების გარეშე ამ გადაწყვეტილების ხელახლა

თამთა ყენია

განსახილველად სააპელაციო ინსტანციისთვის უკან დაბრუნება კანონის მიზნებიდან არ გამომდინარეობს.

გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებას წვლილი არ შეუტანია ვალის აღიარებასა და ვალის გადაკისრებას შორის არსებული განსხვავების მიმართ ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენის თვალსაზრისით, რადგან გაურკვეველია, რატომ არ შეიძლება სადავო გარიგება ვალის აღიარებად განხილულიყო, ხოლო ასეთის დადგენის პირობებშიც, გარიგება უცილოდ ბათილ ხელშეკრულებაში გადაიოდა, რა დროსაც სამართლებრივ კვალიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომ პრაქტიკის განზოგადებისა და ერთგვაროვანი მიდგომის დასამკვიდრებლად საინტერესო იქნებოდა გამოკვლეულიყო ფაქტობრივი გარემოებების საკასაციო სასამართლოსეული შეფასება, რაც, სამწუხაროდ, განსახილველი განჩინებით არ მომხდარა.

## LIMITS OF REMAND POWER IN THE LIGHT OF ONE JUDGEMENT OF THE SUPREME COURT OF GEORGIA

**Tamta Kenia\***

Article 412 of Civil Procedure Code of Georgia deals with remand power of cases to lower court and is one of the most central norms in the context of right to a fair trial. On the one hand, fair use of the mentioned norm by courts, ensures the avoidance of judicial error as well as chance of rendering wrong/unreasonable decision and increases the possibility of delivering a correct/reasoned decision to the party, all abovementioned is important component of a right to a fair trial. On the other hand, heavy caseloads could trigger improper use of article 412 in practice, that can lead to undue delay or belated justice, that is also covered by the right to a fair trial. This article is dedicated to a case study of Judgment No.758-2019 of the Supreme Court of Georgia, under which the limits of the remand power will be discussed.

**Keywords:** Civil code of Georgia, Article 412, Remand Power, Return of Cases to Lower Court, Fact Assasment, Legal Interpretation of Norms.

---

\* Ph.D. Candidate at Sulkhani-Saba Orbeliani University, Head of Secondary Structural Unit at Supreme Court of Georgia. [orcid.org/0000-0003-0226-0247](https://orcid.org/0000-0003-0226-0247).

## საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის კომენტარი

ლევან ნაქაძე\*

### I. შესავალი

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. წლების განმავლობაში საზოგადოებრივი ცნობიერების ზრდამ კანონმდებელი არაერთი გამოწვევის პირისპირ დააყენა, არც ოჯახში ძალადობის საკითხია ამ მხრივ გამონაკლისი. დანაშაულის მზარდმა ტენდენციამ პრობლემა აქტუალურ საკითხად გადააქცია, რამაც, თავის მხრივ, საკანონმდებლო მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის საჭიროება დააყენა დღის წესრიგში. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსში კანონმდებელმა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინდივიდუალური მიდგომა ჩამოაყალიბა და სპეციალური ნორმა შექმნა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კონკრეტულ დანაშაულთან ბრძოლის ახალ ეტაპს. ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლი დღეს ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამოყენებადი ნორმაა, მნიშვნელოვანია მისი სწორი გააზრება და სისტემური ანალიზი. სტატია ც სწორედ ამ მუხლს ეხება და მისი კომენტარების ერთგვარი მცდელობაა.

### II. ოჯახში ძალადობა

#### 1. დაცული სამართლებრივი სიკეთე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XX თავი მთლიანად ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს უკავშირდება. მოცემულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დაცვის

---

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრის მკვლევარი. [orcid.org/0000-0001-9008-2975](https://orcid.org/0000-0001-9008-2975).

ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვის ათვისების ნერტილად მიიჩნევა სამშობიარო ტკივილების დაწყება, რომელიც წინ უძღვის დედის სხეულიდან ნაყოფის გამოყოფის პროცესს.<sup>1</sup> რაც შეეხება ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვის დასასრულს, აქ მოიაზრება თავის ტვინის ფუნქციონირების სრული შეწყვეტა, რა მომენტიდანაც ადამიანი გარდაცვლილად ითვლება.<sup>2</sup>

საფრთხის შემქმნელი დელიქტები შეიძლება შემდეგ სახეებად დაიყოს: დელიქტები, რომლებიც ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უქმნიან საფრთხეს და დელიქტები, რომლებიც სხვა სამართლებრივ სიკეთეს (სახელმწიფო უსაფრთხოება, სამართლებრივი ნესრიგი) აყენებენ საფრთხის ქვეშ.<sup>3</sup> მოცემულ შემთხვევაში განხილვის საგანი იქნება ოჯახში ძალადობა, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია.

## 2. ოჯახში ძალადობის ცნება და მახასიათებლები

ქართულ კანონმდებლობაში 2006 წელს პირველად განისაზღვრა ოჯახში ძალადობის ცნება, რომლის მიხედვითაც, იგი გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.<sup>4</sup> სწორედ 2006 წელს იქნა მიღებული კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესა-

<sup>1</sup> ჯიშკარიანი ბ., დანაშაულის ადამიანის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი, 2016, 92.

<sup>2</sup> სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, ო. გამყრელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2002, 99.

<sup>3</sup> ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბილისი, 2014, 321.

<sup>4</sup> „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

ხებ“, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში 2012 წელს შესული ცვლილებების საფუძველი იყო. აღნიშნული ცვლილებით, სისხლის სამართლის კოდექსში კანონმდებელმა განსაზღვრა ოჯახური ძალადობის ცნება, რომლის ფარგლებში შექმნა ოჯახური დანაშაულის სპეციალური შემადგენლობა.<sup>5</sup>

კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებში იგულისხმება ყველა ის უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, კანონის წინაშე თანასწორობის, სიცოცხლის, თავისუფალი განვითარების, პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის, ადამიანის ნამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის დაუშვებლობა და სხვ.<sup>6</sup> ოჯახში ძალადობის ძირითადი მახასიათებლებია: ოჯახში ძალადობა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს, ოჯახის წევრებს, შორის; როგორც წესი, არ შემოიფარგლება ერთჯერადი აქტით და ახასიათებს განმეორებითობა და ზრდის ტენდენციას; ძალთა ასიმეტრია – ერთ მხარეს აქვს მატერიალური, ფიზიკური ან სხვა სახის უპირატესობა და ცდილობს მეორე მხარის დამორჩილებას; უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო მსხვერპლზე, არამედ ოჯახის სხვა წევრებზეც, განსაკუთრებით, არასრულწლოვნებზე.<sup>7</sup>

ოჯახში ძალადობა, რომელსაც სხვადასხვა ფორმის მიღება შეუძლია, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობით დაწყებული და სიტყვიერი ძალადობით დამთავრებული, ზოგადი პრობლემაა, რომელიც ყველა სახელმწიფოს ეხება და ეს პრობლემა არ არის ყოველთვის ზედაპირზე, რადგან იგი ხშირად პირადი ურთიერთობების ფარგლებში ან დახურულ სივრცეში ხდება.<sup>8</sup> აქედან გამომდინ-

---

<sup>5</sup> „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონის პირველი მუხლი.

<sup>6</sup> ბოჭორიშვილი კ., მესხი მ., ხუციშვილი ქ., ფერაძე მ., სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010, 9.

<sup>7</sup> ხატიამელი გ., სახელმძღვანელო ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, თბილისი, 2021, 19.

<sup>8</sup> Opuz v. Turkey [ECtHR], App. No. 33401/02, 9 June 2009, par.132.



ნარე, სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი ეკისრება, დაიცვას ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული დანაშაულის შედეგად დაზარალებულები.

### 3. ოჯახში ძალადობის ფორმები

ოჯახში ძალადობის ერთიანი და გენერალიზებული ფორმების სრულად გამოყოფა რთულია, ვინაიდან ისინი განსხვავებულია და ძირითადად დამოკიდებულია მოძალადეთა ასაკზე, სქესსა და სხვა მახასიათებლებზე. ოჯახში ძალადობის ფორმები ძირითადად, ერთიანდება კონკრეტულ კატეგორიებში და ქმნიან გარკვეულ სისტემას.<sup>9</sup>

სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის კონტექსტში, ძალადობის ძირითად ფორმებად მოაზრებულია შემდეგი სახეები: 1. ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;<sup>10</sup> 2. ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.<sup>11</sup> ფსიქოლოგიური ძალადობა გულისხმობს ქცევებს, რომელთა მიზანია, აკონტროლოს, მართოს მსხვერპლის მოქმედებები და ემოციები მის დასამორჩილებლად. ეს გამოიხატება დამამცირებელი მეტსახელების დაძახებაში, მუქარაში, ისეთი ქმედების დაბრალებაში, რომე-

<sup>9</sup> Anderson M.A., Gillig M. P., Sitaker M., McCloskey K., Malloy K., Grigsby N., "Why Doesn't She Just Leave?": A Descriptive Study of Victim Reported Impediments to Her Safety, *Journal of Family Violence*, Vol.18, No.3, 2003, 149-157.

<sup>10</sup> „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

<sup>11</sup> იქვე.

ლიც მას არ ჩაუდენია და ა.შ. ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება გამოვლინდეს ცალკე ან იყოს სხვა ძალადობის ტიპის შემადგენელი ელემენტი. შესაძლებელია ფსიქოლოგიური ძალადობა უშუალოდ მსხვერპლზე არ ხორციელდებოდეს, თუმცა ოჯახის სხვა წევრებს შორის არსებული ძალადობრივი უერთიერთობები ამ პირობებზე მოქმედებდეს, თუნდაც მისი ასაკის გამო.<sup>12</sup> მოძალადე ფსიქოლოგიური ძალადობის ელემენტების გამოყენების შემდეგ იოლად მანიპულირებს მსხვერპლით და დომინირებს მის პიროვნებაზე, მიიჩნევს, რომ მისი (ძალადობრივი) ქმედება მსხვერპლთან ურთიერთობის „გარკვევის“ ყველაზე ეფექტური საშუალებაა, რადგან სხვა არაძალადობრივი ქმედებებით ვერ იღებს იმ „შედეგს“, რომელიც მას ამ ურთიერთობიდან სურს.<sup>13</sup> ფსიქოლოგიური ძალადობის არსებობის შემთხვევაში საკმაოდ რთულია მისი იდენტიფიცირება, თუმცა ისეთი სახის მტკიცებულებებით, როგორცაა, ვიდეო-აუდიო ჩანაწერები, მონშეთა ჩვენებები, ახსნა-განმარტებები, მისი დადასტურება შესაძლებელია;<sup>14</sup> 3. სექსუალური ძალადობა – სექსობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;<sup>15</sup> 4. ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის

---

<sup>12</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის N3-7-20 განჩინება.

<sup>13</sup> სამტრედიის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 ივნისის N3/50-19 განჩინება.

<sup>14</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 19 ნოემბრის N3პ/2720-19 განჩინება.

<sup>15</sup> „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

უფლების შეზღუდვას.<sup>16</sup> ამგვარი ქმედებებით პირს ეზღუდება საკუთრებაზე წვდომისა და განკარგვის უფლება, რითაც უარესდება მისი ეკონომიკური მდგომარეობა;<sup>17</sup> 5. იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის სანინააღმდეგო ზემოქმედება.<sup>18</sup>

#### 4. ოჯახის წევრის ცნება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის, ოჯახის წევრად მიჩნევა: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდამჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწვეიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.<sup>19</sup>

სამართალწარმოების პრაქტიკაში აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტი იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც ეწეოდნენ ან ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას. მოცემული ნაწილი მოიაზრებს პირებს, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ გარკვეული პერიოდის

<sup>16</sup> Glossary Of Definitions of Rape, Femicide and Intimate Partner Violence, European Institute for Gender Equality, 2017, 46.

<sup>17</sup> თელავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 12 აპრილის N3/25-19 განჩინება.

<sup>18</sup> „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

<sup>19</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-111 მუხლის შენიშვნა.

განმავლობაში და უწყვეტად ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას ანუ ცხოვრობდნენ როგორც ოჯახი და ინანილებდნენ სახლის მოვლასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. აქ მოიაზრება როგორც სახლის დასუფთავებისა და მოწესრიგების საქმიანობა, აგრეთვე კომუნალური გადასახადების განანილება. თუმცა მოცემულ შემთხვევაში კანონი არ აკონკრეტებს ერთიანი საოჯახო მეურნეობის ვადებსა და ფორმებს, აქედან გამომდინარე, საინტერესოა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მოძალადე და მსხვერპლი არ ჩათვალა პირებად, რომლებიც ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, ვინაიდან, სასამართლოს შეფასებით, მათი თანაცხოვრების პერიოდი შეადგენდა 6 დღეს, რაც ვერ მიიჩნევა საოჯახო მეურნეობისთვის საკმარის დროდ.<sup>20</sup>

## 5. სტამბულის კონვენცია

2014 წლის 19 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას (სტამბულის კონვენცია), 2017 წლის 5 აპრილს მოახდინა მისი რატიფიცირება. ოჯახში ძალადობასთან მიმართებით სტამბულის კონვენციის შედეგი არის ის, რომ კონვენციასთან შესაბამისობის მიზნით ქვეყანაში მოქმედ 25-მდე კანონში განხორციელდა ცვლილება.

სტამბულის კონვენციით, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა ველარ ჩაითვლება ადამიანების პირად საქმედ, სახელმწიფოები ვალდებული არიან, ყოვლისმომცველი და ინტეგრირებული პოლიტიკის გზით, იზრუნონ ძალადობის პრევენციაზე, დაიცვან მსხვერპლნი და დასაჯონ კანონდამრღვევები.<sup>21</sup> კონვენციის

---

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 იანვრის N487აპ-16 განაჩენი.

<sup>21</sup> ესტერი მ., ლილეო ს., დოკუმენტების კრებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით განსაზღვრულ ასპექტებზე, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია: სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლის კომენტარი, 2014, 6.

მიღებით მთავრობები ვალდებულები ხდებიან, შეცვალონ შიდა კანონმდებლობა, გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებები და გამოყონ რესურსები ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობისადმი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გასატარებლად. ასეთი ძალადობის პრევენცია და აღკვეთა აღარაა მხოლოდ კეთილი ნების საკითხი, ის სამართლებრივად სავალდებულოა.<sup>22</sup>

### **III. 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათალისწინებული ქმედების შემადგენლობა**

126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი დისპოზიციური შემადგენლობით მოიცავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს ან დამცირებას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

#### **1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა**

##### **1.1. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა**

126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციური მოცემულობა მოიაზრებს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებულ ძალადობას. ოჯახის წევრის განმარტება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლის შენიშვნაში, ხოლო რაც შეეხება ძალადობას, უნდა ითქვას, რომ მისი სიტყვასიტყვითი განმარტება ნორმის მიზნებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. სამართლის ნორმის განმარტება ხომ გულისხმობს მისი შინაარსის გარკვევას, ე.ი იმის დადგენას, თუ რა ჩააქსოვა მასში კანონმდებელმა.<sup>23</sup> ძალადობა, კლასიკური გაგებით, არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხეოს, ზიანი

---

<sup>22</sup> <shorturl.at/noMO5> [13.12.2021]

<sup>23</sup> ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, 2003, 171.

ლევან ნაქაძე

მოუტანოს მას ან შეუღლებოს კანონით მინიჭებული უფლებები. ძალადობის დროს ოჯახის ერთი წევრის მიერ ითრგუნება მეორე ადამიანის ნება, ილახება მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება.<sup>24</sup> მსგავსი მოპყრობა განსაკუთრებით საზარელია მაშინ, როდესაც მას სუსტი და დაუცველი არსებების მიმართ სჩადიან. როგორც ნესი, სწორედ ასეც ხდება. ძალადობას შეიძლება ახორციელებდეს ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი.<sup>25</sup>

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ძალადობა არის ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების განზრახ გამოყენება რეალური ან მუქარის სახით მიმართული საკუთარი თავის, სხვა პირის, პირთა ჯგუფის ან თემის წინააღმდეგ, რომლის შედეგიც არის სხვა პირთა სხეულის დაზიანება, სიკვდილი, ფსიქოლოგიური ტრავმა, გადახრები განვითარებაში ან სხვადასხვა სახის ზიანი.<sup>26</sup>

საკანონმდებლო თვალსაზრისით კი ძალადობა ეს არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – ცემა ან სხვაგვარი ძალადობა.<sup>27</sup> მაშასადამე, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ კანონმდებელმა 126<sup>1</sup>-ე მუხლში (ოჯახში ძალადობა) გამოიყენა 126-ე მუხლის (ძალადობა) შემადგენლობა, რითაც ერთგვარად ოჯახში ძალადობა განმარტა კიდევ.

### **1.1.1. ძალადობის ერთჯერადი ხასიათი**

#### **1.1.1.1. ცემა**

ცემა ძალადობის ერთ-ერთი სახეა და ნიშნავს სხვა პირის სხეულზე ერთდროულად რამდენიმე დარტყმას, რომელიც დაზარალე-

---

<sup>24</sup> Prevention and Early Intervention for Domestic Violence, Brenda J. Simpson & Associates, 2014, 5.

<sup>25</sup> ბერიკაშვილი ნ., გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, 2002, 15.

<sup>26</sup> თავართქილაძე ე., დავითაშვილი ქ., შარაბიძე ი., ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2011, 11.

<sup>27</sup> შეად., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ბულში აღძრავს ფიზიკურ ტკივილს. ისეთი ფიზიკური დარტყმები, რომელთაც არ მოჰყოლია ფიზიკური ტკივილი, ცემად არ განიხილება (ამან შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეურაცხყოფისთვის). ასევე არ განიხილება ცემად ერთჯერადი დარტყმა, თუნდაც მან ფიზიკური ტკივილი გამოიწვიოს ადამიანში, ვინაიდან ასეთი ერთჯერადი დარტყმა ჩაითვლება სხვაგვარ ძალადობად. ცემა ადამიანის სხეულზე ტოვებს გარკვეულ კვალს, შესაძლოა ეს იყოს დაბეჭილობა, შეწითლება ან სხვა თვალისთვის ხილული დეფორმაცია.<sup>28</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ცემა გამოიხატება დაზარალებულის სხეულზე არაერთ დარტყმაში, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სხეულის ანატომიური მთლიანობის დარღვევა ან მხოლოდ ფიზიკური ტკივილი. სწორედ დარტყმების რაოდენობა/ინტენსივობა განასხვავებს ცემას სხვაგვარი ძალადობისგან, რომელიც გამოიხატება ერთჯერად ძალადობრივ ქმედებაში.<sup>29</sup>

### 1.1.1.2. სხვაგვარი ძალადობა

სხვაგვარი ძალადობა იმით განსხვავდება ცემისაგან, რომ იგი შეიძლება გამოიხატოს ერთჯერად ძალმომრეობით აქტში (ხელის გარტყმა სახეში) ან საერთოდ არ იყოს დაკავშირებული დარტყმასთან (თმების მოქაჩვა, პანლურის ამოკვრა, ხელების გადაგრეხა), თუმცა აღნიშნული სწორედ სხვაგვარი ძალადობის კვალიფიკაციას იღებს. აქაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მსხვერპლმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი. იშვიათ შემთხვევაში სხვაგვარი ძალადობა შეიძლება იყოს ერთჯერადი ხასიათის, მაგალითად, ფრჩხილის ამოძრობა ანთებული სიგარეტის ტანზე მიწვა.<sup>30</sup>

<sup>28</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბილისი, 2014, 119.

<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის N792აპ-19 განაჩენი.

<sup>30</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბილისი, 2014, 122.

## 1.1.2. ძალადობის სისტემატური ხასიათი

### 1.1.2.1. სისტემატური ცემა

სისტემატურია ცემა მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია სამჯერ მაინც, თანაც დროის ხანმოკლე ინტერვალის დაშორებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი ცემით მიყენებული ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილი ჯერაც არაა გამქრალი და მსხვერპლს სცემენ მეორედ, შემდეგ მესამედ და ა.შ. მნიშვნელობა არ ენიჭება, ეს ქმედებები ერთიანი განზრახვითაა მოცული, თუ დამოუკიდებელი. რა თქმა უნდა, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ფიზიკური ტკივილის არსებობაც.<sup>31</sup>

ძალადობის სისტემატურობა გულისხმობს დროის მცირე მონაკვეთში ჩადენილ ორზე მეტ აქტს, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, საქმის გარემოებების მიხედვით უნდა შეფასდეს (ამასთან, სისტემატურობის გამოსაკვეთად კონკრეტული თარიღების მითითებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია).<sup>32</sup> სასასამართლოს განმარტებით, „სისტემატური ნიშნავს დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქმედებების განხორციელებას ინტენსიურად, განმეორებითობის გარკვეული ხარისხით“<sup>33</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებით, სისტემატურობა უკავშირდება ძალადობის განხორციელებას გარკვეული პერმანენტულობით, ანუ ქმედება მეორდება გამუდმებით, განუწყვეტლივ და რეგულარულად, რაც ქმნის გარკვეულ სისტემას. ამ თვალსაზრისით, გამეორება, ე.ი. მომდევნო ქმედება მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა იქნეს ჩადენილი, რათა გამოიკვეთოს სისტემატურობის ელემენტი და ცხადი გახდეს, რომ ძალადობას გააჩნია არაერთგზისი რეციდივი. შესაბამისად, როდესაც ქმედებები დრო-

---

<sup>31</sup> იქვე, 120.

<sup>32</sup> ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, თბილისი, 2019, 126-129.

<sup>33</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 ნოემბრის განჩინება.



ის ინტერვალთ საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან, არ შეიძლება მივიჩნიოთ სისტემატურად. ამდენად, სისტემატურობა გამოკვეთილია მაშინ, როდესაც ძალადობრივ ქმედებებს შორის არსებული დროის პერიოდი იმდენად ხანმოკლეა, რომ დაზარალებული კვლავ განიცდის პირველი ქმედებით მიყენებულ ზიანს.<sup>34</sup>

უზენაესმა სასამართლომ სისტემატურ ძალადობად არ შეაფასა ისეთი ქმედება, რომელიც პირველად განხორციელდა მაისის დასაწყისში, ხოლო მეორედ – ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. სასამართლოს შეფასებით, ეს იმდენად ხანგრძლივი პერიოდია, რომ პირველ შემთხვევაში ჩადენილი ძალადობრივი ქმედების ხასიათისა და ხერხის (შუბლის არეში ხელის ერთხელ დარტყმა) გათვალისწინებით, წარმოუდგენელია, განცდილი ფიზიკური ტკივილი ამ ხნის განმავლობაში ისეთი ინტენსივობით შენარჩუნებულიყო, რომ მას სისტემატური ძალადობისთვის დამახასიათებელი ელფერი შეეძინა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაზარალებულის განმარტებით, დაახლოებით ორი კვირა ანუხებდა ტკივილი.<sup>35</sup>

### 1.1.2.2. სისტემატური სხვაგვარი ძალადობა

სისტემატურ სხვაგვარ ძალადობაში იგულისხმება თმებით თრევა, დაკანვრა, ყურის აწევა, სილის გარტყმა, ანთებული სანთებელით ან სიგარეტით ზემოქმედება. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვაგვარი ძალადობა უნდა განხორციელდეს მოცემულ შემთხვევაში სისტემატურად, იმ დოზით, რომ დაზარალებულში ფიზიკურ ტკივილს იწვევდეს. სისტემატური სხვაგვარი ძალადობა შეიძლება ჩადენილ იქნეს უმოქმედობითაც. მაგალითად, პირი ღამით სახლის კარს არ უღებს თავის მეუღლეს და გარეთ ტოვებს, ამას აკეთებს სისტემატურად.<sup>36</sup> ასევე, უნდა ითქვას, რომ სისტემატურ სხვაგვარ

<sup>34</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 29 მაისის N733აპ/-18 განაჩენი.

<sup>35</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 5 მაისის N747აპ-18 განაჩენი.

<sup>36</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბილისი, 2014, 122.

ლევან ნაქაძე

ძალადობას შეუძლია გამოიწვიოს ფსიქიკური ტანჯვაც.<sup>37</sup> ხშირ შემთხვევაში სხვაგვარი ძალადობა სისტემატური ხასიათისაა.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ჩამოაყალიბა ძალადობასთან მიმართებით სისტემატურობის მახასიათებლები: 1. ძალადობის პერმანენტულობა – ერთხელ ან ორჯერ ჩადენილი ძალადობა შეუძლებელია იყოს სისტემატური, ე.ი. მომდევნო ქმედება მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა იქნეს ჩადენილი, რათა გამოიკვეთოს სისტემატურობის ელემენტი; 2. დროის მცირე ინტერვალები – ყოველი მომდევნო ძალადობის ინტერვალი არ უნდა იყოს იმდენად ხანგრძლივი, რომ განცდილი ტკივილი განელდეს და ვეღარ მიიღწიოს ტანჯვის ხარისხს; 3. ინტენსივობა – ძალადობას უნდა ჰქონდეს ხშირი, მუდმივი, უწყვეტი და რეგულარული ხასიათი. ამასთან, სისტემატური ძალადობის ფაქტი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.<sup>38</sup>

## 1.2. სისტემატური შეურაცხყოფა

სისტემატურ შეურაცხყოფაში მოიაზრება სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფა. მაგალითად, გინება, უხამსი სიტყვების დაძახება და ა.შ. სიტყვიერ შეურაცხყოფას შედეგად შესაძლოა მოჰყვეს მორალური ტანჯვა, რაც უკვე საკმარისია დასჯადობისთვის. სიტყვიერი, ანუ ვერბალური შეურაცხყოფა გამოიხატება უხამსი ფრაზებით ან თუნდაც ხუმრობით, კომენტარებით ან შეკითხვებით, რომელიც ეხება დაზარალებულის პირად ცხოვრებას ან ცხოვრების სტილს.

## 1.3. შანტაჟი და დამცირება

126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია ოჯახური ძალადობის ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ ელემენტად მოიაზ-

---

<sup>37</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი.

<sup>38</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 5 მაისის N747აპ-18 განჩინება.

რებს შანტაჟსა და დამცირებას. შანტაჟში იგულისხმება სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარა. ამასთანავე, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ცნობები მოგონილია თუ რეალური. მთავარია, იგი იყოს ისეთი, რომ სახელს უბღალავდეს პიროვნებას საზოგადოების თვალში (მაგალითად, პირს ემუქრებიან, რომ დააბრალებენ დანაშაულის ჩადენას, გაავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს ჰომოსექსუალია ან ეწევა გარყვნილ ცხოვრებას, ნარკომანია და ა.შ.).<sup>39</sup>

დამცირება მოიაზრებს ისეთ ქმედებებს, როგორცაა, სახეში შეფურთხება, ადამიანის გატიტვლება, თავზე საჭმლის დასხმა, ტანსაცმლის შემოხვევა სხვათა თანდასწრებით და ა.შ. მოცემული ქმედება მიზნად ისახავს წარმოაჩინოს დაზარალებულის უსუსურობა და არაფრად ჩააგდოს მისი პატივი და ღირსება. მაგალითად, ალკოჰოლით მთვრალმა პირმა დროებით საცხოვრებელ სახლში, სხვა პირს, იმ მოტივით, რომ დაზარალებულის დედა მათი შეუღლების წინააღმდეგი იყო, დაუწყო ჩხუბი, აგინა, გალანძლა უშვერი სიტყვებით, ჩაავლო თმაში ხელი, ძლიერად მოქაჩა, ნააქცია და იატაკზე ათრია, რა დროსაც დაზარალებულმა განიცადა ტანჯვა, დამცირება და ფიზიკური ტკივილი.<sup>40</sup>

შანტაჟი და დამცირება ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებია და უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიკაციის კონტექსტში ისინი უნდა ინვედეს მორალურ ტანჯვას. თუ ერთჯერადად, თუმცა მძიმე ხასიათისა და ინტენსივობის დამამცირებელი მოპყრობაა, ქმედება შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>3</sup>-ე მუხლით, კერძოდ, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა. ე.ი პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას

<sup>39</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბილისი, 2014, 219.

<sup>40</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 20 ოქტომბრის N1007აპ-19 განჩინება.

ლევან ნაქაძე

ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.<sup>41</sup>

#### **1.4. ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა 126<sup>1</sup>-ე მუხლის შემადგენლობაში**

126<sup>1</sup>-ე მუხლის სავალდებულო ნიშანია ქმედების შედეგად ტკივილისა და ტანჯვის გამოწვევა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაირკვეს, დაზარალებულმა განიცადა თუ არა ტკივილი ან ტანჯვა ძალადობის შედეგად. ტკივილი იწვევს უსიამოვნო შეგრძნებას და დაკავშირებულია ქსოვილის რეალურ და პოტენციურ დაზიანებასთან, ხოლო ფსიქიკური ტანჯვა არის უსიამოვნო გრძნობით გამოწვეული წვალება, ხანგრძლივი და აუტანელი წუხილი.<sup>42</sup> ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გაგებულ უნდა იქნეს როგორც ხანგრძლივი და აუტანელი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან წუხილი, რომელსაც პირი განიცდის ძალადობის შედეგად. ამ ფაქტორის გარეშე ოჯახში ძალადობის მუხლით კვალიფიკაცია გამორიცხებულია.<sup>43</sup>

ფიზიკური ტკივილის ან მორალური ტანჯვის დადგენა ხდება სასამართლოს სამედიცინო ან ფსიქოლოგიური ექსპერტიზით. პრაქტიკული თვალსაზრისით, ექსპერტიზის დადგენილებაში გამოძიებლის მთავარი შეკითხვა სწორედ ფაქტია, განიცადა თუ არა დაზარალებულმა ფსიქოლოგიური ტანჯვა ან აქვს თუ არა დაზიანებები სხეულზე და განიცადა თუ არა ტკივილი. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელია მოწმეთა ჩვენებები იმის დასადგენად, განიცადა თუ არა ტკივილი ან ტანჯვა პირმა.

---

<sup>41</sup> ხატიაშვილი გ., სახელმძღვანელო ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, თბილისი, 2021, 41.

<sup>42</sup> იქვე, 126-129; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 8 ნოემბრის განაჩენი.

<sup>43</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო წაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბილისი, 2014, 122.

ოჯახში ძალადობის დანაშაულის კონსტრუქცია იმგვარია, რომ იგი სავალდებულოდ ითხოვს დაზარალებულის მხრიდან იმის გარკვევას, განიცადა თუ არა მან ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, რაც ზოგჯერ არასწორადაა გაგებული და მიიჩნევა, რომ ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა დაზარალებულის მხრიდან გაკეთებული შეფასების მიხედვით უნდა დადგინდეს და ემყარებოდეს ე.წ. „ობიექტურ ტესტს“, ანუ დაზარალებულის სუბიექტურ შეფასებას იმის თაობაზე, რომ მან განიცადა ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მართებულად არ უნდა ჩაითვალოს და შეფასება უნდა მოხდეს ასევე, ე.წ. „ობიექტური ტესტირაც“, ანუ იმის დადგენით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პირი ობიექტურად განიცდიდა თუ არა ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. მაგალითად, თუ საკმარისი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ დაზარალებულს გამეტებით ურტყეს ხელები და ფეხები სახის არეში, მაგრამ იგი სასამართლო სხდომაზე მაინც განაცხადებს, რომ არ განუცდია ფიზიკური ტკივილი, სასამართლო არ უნდა შეიზღუდოს დაზარალებულის განმარტებით და თავად უნდა შეაფასოს, მოცემულ შემთხვევაში განხორციელებული ძალადობა, თავისი ხასიათითა და მასშტაბურობით, ობიექტურად გამოიწვევდა თუ არა ტკივილს.<sup>44</sup>

ტკივილის განცდისა და მორალური ტანჯვის ფაქტი უნდა დადგინდეს მტკიცებულებებით, უპირველესად, ეს არის ექსპერტიზის დასკვნა, შემდეგ – დაზარალებულის ჩვენება და სხვა მოწმეთა ჩვენებები. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული დუმს და ექსპერტიზის დასკვნით არ დასტურდება დაზარალებულის სხეულზე დაზიანების ფაქტი, განსახილველი მუხლით კვალიფიკაცია შეუძლებელია.<sup>45</sup> სრულიად მართლებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ბრალდებულის მიმართ

<sup>44</sup> კოჭლამაზაშვილი ბ., ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებები სასამართლოში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N2, 2017, 55.

<sup>45</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის N1/2594-16 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის N1/4873-16 განაჩენი.

ლევან ნაქაძე

გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, იმის მიუხედავად, რომ დაზარალებულმა უარი განაცხადა ბრალდებული მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. სასამართლომ აღნიშნა:

„მართალია, სასამართლო სხდომაზე დაზარალებულს განცდილ ფიზიკურ ტკივილთან დაკავშირებით არ უსაუბრია, მაგრამ სასამართლოს მიაჩნია, რომ მხოლოდ მისი სუბიექტური აღქმა არ შეიძლება იყოს დანაშაულებრივი ქმედების განმსაზღვრელი. მაგალითად, 10-12 თვის ბავშვის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა არის თუ არა ფიზიკური ტკივილის გამომწვევი, სასამართლოს აზრით, უნდა შეფასდეს არამარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებითაც, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ ფიზიკური ტკივილის მიყენების ფაქტის დადგენა ნებისმიერ შემთხვევაში ობიექტურად შეუძლებელია, რამეთუ ამ ასაკის ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ვერბალურად ვერ გამოთქვამს ემოციებსა და გრძნობებს“.<sup>46</sup>

### **1.5. შედეგის აუცილებლობა 126<sup>1</sup>-ე მუხლის შემადგენლობაში**

დანაშაულის ფორმალურ და მატერიალურ ცნებას შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა. პირველი მათგანი სასჯელის მუქარით აკრძალული ქმედებაა,<sup>47</sup> მაშინ, როდესაც მეორე გამოხატავს დასჯადი ქმედების შინაარსის თვისობრივ დახასიათებას.<sup>48</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი შეიცვას ფორმალური და მატერიალური დანაშაულის ცნებას. ეს უკანასკნელი მოიზრებს ისეთი ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს,

---

<sup>46</sup> თბილისის საქალაქო სასამართლის 2017 წლის 17 მაისის N1/2317-16 განაჩენი.

<sup>47</sup> წერეთელი თ., ტყეშელაშვილი გ., საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976. 43.

<sup>48</sup> ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, 47.

რომლიც იწვევს ან არ იწვევს ზიანს და სწორედ ზიანს ანიჭებს კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობას.<sup>49</sup>

126<sup>1</sup>-ე მუხლი ეფუძნება კანონმდებლის ნებას, რომ ძალადობას არ უნდა მოჰყვეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი. აუცილებელია განიმარტოს აღნიშნული დისპოზიცია და დადგინდეს, რა ფარგლებს გულისხმობს მოცემულ შემთხვევაში ნორმა. ოჯახში ძალადობის შედეგი (ავადმყოფური მდგომარეობა) 6 დღემდე უნდა დამთავრდეს. მოცემულ შემთხვევაში ხერხს და საშუალებას კვალიფიკაციისთვის არ აქვს მნიშვნელობა.

117-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობისთვის (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) მიყენებული დაზიანება შრომისუნარიანობის 1/3-ზე მეტით, ანუ სულ მცირე 33%-ით დაკარგვასთან ასოცირდება. მოცემულ შემთხვევაში შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვაა 120 დღეზე მეტი ვადით. რაც შეეხება 118-ე მუხლს (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) აქ შრომისუნარიანობა იკარგება 1/3-ზე ნაკლებად, ანუ 10-33%-მდე, შესაბამისად, – 21-დან 120 დღემდე ვადით. ხოლო 120-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) მოიაზრებს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლას 5-10%-მდე, ანუ ავადმყოფური მდგომარეობა გრძელდება 6-21 დღემდე, შრომისუნარიანობის მოშლა კი ხდება უმნიშვნელოდ.<sup>50</sup>

სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლი, შედეგის თვალსაზრისით, მოიაზრებს, რომ ზემოხსენებული მუხლებით გათვალისწინებული შედეგი მას არ უნდა მოჰყვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქნება ერთობლიობა. აქედან გამომდინარე, 126<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება უნდა იწვევდეს ჯანმრთელობის ისეთ დაზიანებას, რომელიც 6 დღემდე გაქრება.

<sup>49</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 23 მარტის N1/ზ-165-16 განაჩენი.

<sup>50</sup> შეად., ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბილისი, 2014.

**117-ე მუხლი**

**ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანება**

- შრომისუნარიანობის დაკარგვის ტიპი - მყარი
- შრომისუნარიანობის დაკარგვა- 10-33%
- ავადმყოფური მდგომარეობა - 120 დღეზე მეტი

**118-ე მუხლი**

**ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მიძიმე დაზიანება**

- შრომისუნარიანობის დაკარგვის ტიპი - ხანგრძლივი
- შრომისუნარიანობის დაკარგვა- 5-10%
- ავადმყოფური მდგომარეობა 21-120 დღემდე

**120-ე მუხლი**

**ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება**

- შრომისუნარიანობის დაკარგვის ტიპი - ხანმოკლე
- შრომისუნარიანობის დაკარგვა - 5% ამდე
- ავადმყოფური მდგომარეობა 6-21 დღემდე

**126<sup>1</sup>-ე მუხლი**

**ოჯახში ძალადობა**

- შრომისუნარიანობის დაკარგვის ტიპი - უმნიშვნელო
- შრომისუნარიანობის დაკარგვა - 0%
- ავადმყოფური მდგომარეობა 6 დღემდე

## 1.6. შეჯამება


126<sup>1</sup>-ე მუხლის საკანონმდებლო დეფინიცია თავის თავში მოიცავს 126-ე მუხლის ცნებას. ეს არცაა გასაკვირი, ნორმის სისტემური განმარტებიდან გამომდინარე,<sup>51</sup> ოჯახში ძალადობა სპეციალური ნორმაა. ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის ფაქტი, თუ როგორ განიმარტება ძალადობის მარტივი შემადგენლობა და როგორ მოიცავს მას 126<sup>1</sup>-ე მუხლი. აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც არსებობს 126-ე და 126<sup>1</sup>-ე მუხლებს შორის, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრიმინალიზებულია ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) გათვალისწინებული შედეგი. ამ შემთხვევაში ქმედება ხორციელდება იმ პირებს შორის, რომლებიც ერთმანეთის

<sup>51</sup>დვალაძე ი., თუმანიშვილი გ., გვენეტაძე ნ., კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, თბილისი, 2016, 81-82.



ოჯახის წევრები არ არიან. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ერთი წევრი მეორე წევრის მიმართ განახორციელებს ზემოაღნიშნულ შემადგენლობას, კვალიფიკაცია მოხდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლით, როგორც სპეციალური ნორმით და არა 126-ე მუხლით.<sup>52</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ 126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულია სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც გამოიწვია პირის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. მაშასადამე, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ერთი წევრი სისტემატურად ფიზიკურად ძალადობს ოჯახის სხვა წევრზე, ქმედების კვალიფიკაცია მოხდება 11<sup>1</sup>-126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილით და არა 126<sup>1</sup>-ე მუხლით, ვინაიდან ეს უკანასკნელი ვეღარ გამოდგება სისტემატური ფიზიკური ძალადობის შესაფასებლად.<sup>53</sup> ამდენად, ოჯახის წევრის მიმართ სისტემატური ფიზიკური ძალადობის დროს ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილით და არა ძალადობის მარტივი შემადგენლობით.<sup>54</sup>

ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო კონსტრუქცია ასე გამოიყურება:



<sup>52</sup> ხატიაშვილი გ., სახელმძღვანელო ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, თბილისი, 2021, 51.

<sup>53</sup> იქვე.

<sup>54</sup> საქართველოს უზენაესის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 აპრილის N617აპ-18 განაჩენი.

## **2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა**

### **2.1. განზრახვის ელემენტები 126<sup>1</sup>-ე მუხლის შემადგენლობაში**

ქართული სისხლის სამართალში განზრახვა სამკომპონენტია: ცოდნა იმისა, რასაც მოქმედი აკეთებს, ნებელობა იმისა, რასაც სჩადის და მართლსაწინააღმდეგობის შეგნება.<sup>55</sup> ოჯახში ძალადობა განზრახვი დანაშაულია. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. ოჯახში ძალადობის ამსრულებელს პირდაპირი განზრახვის დროს გაცნობიერებული აქვს მის მიერ ჩადენილი ქმედების (ცემის, სხვაგვარი ქმედების) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებს მის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგს (ფიზიკური ტკივილის მიყენება, მორალური ტანჯვის განცდა) და სურს ეს შედეგი ან გაცნობიერებული აქვს ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობა. რაც შეეხება არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ოჯახური ძალადობის ფარგლებს, აქ მოქმედს გაცნობიერებული აქვს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, შედეგი არ სურს, მაგრამ იგი თავისი ქმედებით შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას.<sup>56</sup>

### **2.2. გაუფრთხილებლობის ელემენტები**

#### **126<sup>1</sup>-ე მუხლის შემადგენლობაში**

გაუფრთხილებლობითი დანაშაულის კონსტრუქციას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი აყალიბებს, რომელიც გაუფრთხილებლობას ყოფს თვითიმედოვნებად და დაუდევრობად. გაუფრთხილებლობის შინაარსის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლი, მისი საკანონმდებ-

---

<sup>55</sup> ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, 265.

<sup>56</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოცემა, თბილისი, 2014, 124.

ლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, შეუძლებელია ჩადენილ იქნეს გაუფრთხილებლობით.

### 3. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები

ცემა ან სხვაგვარი ძალადობა არ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ოჯახში დანაშაულისთვის, თუ იგი ჩადენილია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებში. ოჯახური ძალადობის დროს უნდა შემომხედეს, მიყენებული ზიანი ან/და თავდასხმა ხომ არ იყო აუცილებელ მოგერიების ფარგლებში, რაზე დაყრდნობითაც ოჯახში დანაშაულის კვალიფიკაცია გამოირიცხება. უნდა შემომხედეს მართლზომიერების პირობები და მისი ფარგლები. აუცილებელია არსებობდეს უკიდურესი მდგომარეობა, უკიდურესი მდგომარეობით გამოწვეული ქმედება და თავდაცვის სურვილი.<sup>57</sup> მაგალითად, ახლად შინდაბრუნებული დედა ხედავს, რომ მისი მეუღლე ფიზიკურად უსწორდება მის არასრულწლოვან შვილს, რა დროსაც არსებობდა იმნუთიერი და ამკარა საფრთხე, რომ არასრულწლოვან შვილს ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდებოდა, რის გამოც, დედამ შვილის დაცვის მიზნით, მის მეუღლეს მუშტები სახის არეში მძლავრად დაუშინა, ასევე იშველიებდა ფეხებს მთელი ძალით, რასაც მოჰყვა კიდევ მამის მხრიდან ქმედების შეწყვეტა. დედის ქმედების კვალიფიკაციისას, მიუხედავად იმისა, რომ მამას ჰქონდა დაზიანებები სახის არეში და უტყუარად დადგინდება, რომ მან განიცადა ფიზიკური ტკივილი, დედას ოჯახური ძალადობის ფაქტზე პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს აუცილებელი მოგერიების გამო, ვინაიდან არსებობდა მოგერიების პირველი ნიშანი – უკიდურესი მდგომარეობა, კერძოდ, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ხორციელდებოდა, ხელყოფა იყო იმნუთიერი და მართლწინააღმდეგო. უნდა არსებობდეს აუცილებელი მოგერიების მეორე ნიშანი – უკიდურესობით გამოწვეული ქმედება, რომელმაც შეასუსტა და შეამცირა თავდასხმა და ბოლოს,

<sup>57</sup> ჯიშკარიანი ბ., კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2015, 61.

ლევან ნაქაძე

მესამე ნიშანი – თავდაცვის სურვილი, დედას ამოძრავებდა შვილის თავდაცვის სურვილი.

მართლზომიერი რისკის პირობებში შესაძლებელია გამართლდეს პირი ოჯახში ძალადობის კვალიფიკაციაში, რადგან მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს.<sup>58</sup> რისკი გამართლებულია, როდესაც მიზანი არ მიიღწეოდა რისკის გარეშე ქმედებით და პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.<sup>59</sup>

#### 4. ბრალის გამომრიცხავი გარემოებები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, არ შეიძლება სასჯელის დაკისრება ინდივიდუალური ბრალის დადგენის გარეშე.<sup>60</sup> შეურაცხადობა ასაკის გამო ბრალის გამომრიცხავი ერთ-ერთი გარემოებაა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლით. ვისაც არ შესრულება 14 წელი, მის მიერ ოჯახური ძალადობის ჩადენის შემთხვევაში ქმედება, რა თქმა უნდა, იქნება მართლსაწინააღმდეგო, თუმცა ბრალი გამოირიცხება ასაკის გამო. მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დევნა არ უნდა დაიწყო და დაწყებული უნდა შეწყდეს, თუ პირს არ მიუღწევია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლი მიუთითებს ფსიქიკური მდგომარეობით განპირობებულ შურაცხადობის გამომწვევოთხ ფაქტორზე: ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა, დროებითი აშლილობა, ჭკუასუსტობა ან სხვა ფსიქიკური დაავადება. ამ ფაქტორებზე მოცემულობებში მოიაზრება ისეთი ფსიქიკური გა-

---

<sup>58</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლი.

<sup>59</sup> გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, 2013, 81.

<sup>60</sup> ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, 403.

დალლა, როგორცაა, სიმთვრალე, აფექტი ან სხვა ისეთი გადალლა, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით ფასდება, როგორც შეურაცხადი მდგომარეობა. ეს გარემოებები შესაძლოა ერთ შემთხვევაში იყოს ბრალის გამომრიცხავი „შეურაცხადობის“, ხოლო მეორე შემთხვევაში – ბრალის შემამსუბუქებელი „შეზღუდული შერაცხადობის“ მდგომარეობა.<sup>61</sup> მაგალითად, პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი ოჯახში ძალადობის შემთხვევა ინვევს შეურაცხადობას და გამორიცხავს ბრალს, ხოლო ფიზიოლოგიური აფექტი არის შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა და ამსუბუქებს ბრალის ხარისხს.

სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლი ითვალისწინებს შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობას, რომელიც არის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და არა გამომრიცხავი გარემოება. ამ შემთხვევაში, თუ პირი ჩაიდენს ოჯახში ძალადობას, ცემას ან სხვაგვარ ფიზიკურ ზემოქმედებას ისეთ გარემოებაში, როდესაც ფსიქიკური დაავადების გამო არ შეუძლია სრულად გააცნობიეროს თავისი მოქმედების ფარგლები ან მართლსაწინააღმდეგო მხარე. მოცემულ შემთხვევაში სრულწლოვანი ბრალდებული არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ხოლო მისი მდგომარეობა მხედველობაში მიიღება დანაშაულის კვალიფიკაციისას ან სასჯელის დანიშვნისას.<sup>62</sup>

იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა ის სისხლისსამართლებრივი კონცეფციაა, რომელიც ოჯახში ძალადობის კუთხით აუცილებლად გასათვალისწინებელია. იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა ბრალის გამომრიცხავი გარემოებაა, კერძოდ, იგი არის საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის სპეციალური შემთხვევა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირი, მასზე ან მისი ახლობლის მიმართ სხვა ადამიანის მხრიდან ძალადობის ან ძალადობის მუქარის განხორციელების შედეგად, იმყოფება სიცოცხლის, სხეულებრივი მთლიანობის ან თავისუფლების ხელყოფის იმნუთიერ საფრთხეში,

<sup>61</sup> იქვე, 425.

<sup>62</sup> გიორგაძე ა., შეზღუდული შერაცხადობა (სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები), თბილისი, 2008, 129-150.

ლევან ნაქაძე

რომელიც არ შეიძლება აცდენილ იქნეს სხვა საშუალებით. ასეთი ძალადობის დროს პირი იმყოფება იძულების ქვეშ სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.<sup>63</sup> მაგალითად, სახლში შეჭრილმა ნილბიანმა ყაჩაღმა, პირადი მოტივებიდან გამომდინარე, უბრძანა კაცს, ეცემა თავისი მეუღლე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შვილს მოკლავდა. ამ დროს მამა იმყოფება ტრაგიკული კოლიზიის ვითარებაში და მას ოჯახში ძალადობა გამოერიცხება იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ყოფნის გამო, ბრალის ეტაპზე.

#### **IV. 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით**

##### **გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები**

##### **1. წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ**

სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება მოიაზრებს ოჯახურ ძალადობას წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნის მიმართ. წინასწარი შეცნობის ინსტიტუტისთვის აუცილებელია განიმარტოს, რომ მოცემულ სამართლებრივ კონტექტს არ ექმნება პრობლემა, ვინაიდან ოჯახის წევრის სრულწლოვანება/არასრულწლოვანება არაა მტკიცების საგანი. შესაძლებელია აღნიშნულზე საუბარი კოდექსის 109-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებათა ფარგლებში, სადაც მნიშვნელობა ენიჭება პირის სუბიექტურ და ობიექტურ აღქმას, იცოდა თუ არა, რომ დაზარალებული იყო არასრულწლოვანი, რასაც ვერ ვიტყვით ოჯახის წევრზე. შესაბამისად, 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ეს ნაწილი უპრობლემოა. კვალიფიკაციისას ამ დამამძიმებელი გარემოების არსებობისას მსხვერპლი არის 18 წელს მიუღწეველი პირი და ეს ფაქტი დამნაშავეისთვის ცნობილია.

---

<sup>63</sup> ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, 403.

რაც შეეხება უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირზე ძალადობას, უნდა განიმარტოს, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირი არის ადამიანი, რომელსაც თავისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ გააჩნია დამნაშავის ქმედებაზე რეაგირებისა და წინააღმდეგობის განევის უნარი.<sup>64</sup> აღნიშნული გარემოება პირს შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს როგორც დამნაშავის სუბიექტური აღქმა დაზარალებულის უმწეობასთან დაკავშირებით, ისე დაზარალებულის ობიექტურად ამ მდგომარეობაში ყოფნა.<sup>65</sup> აქედან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის კვალიფიკაციისას ამ დამამძიმებელი გარემოების დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული აღნიშნული კრიტერიუმები. უმწეო მდგომარეობად შეიძლება მოიაზრებოდეს პირის მძინარედ ყოფნა, ვინაიდან ასეთ დროს პირს არ აქვს შესაძლებლობა დაიცვას თავი, რარიც ფიზიკურად ძლიერიც არ უნდა იყოს.<sup>66</sup>

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობისას მნიშვნელოვანია განიმარტოს შშმ პირთა სამართლებრივი სტატუსი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას, სხვებთან თანაბარ პირობებში.<sup>67</sup> შესაბამისად, დამამძიმებელი გარემოების ეს ნაწილი მხოლოდ პირთა შეზღუდულ წრეს ეხება.

რაც შეეხება ორსული ქალის მიმართ განხორციელებულ ოჯახურ ძალადობას, ამ მუხლის დამამძიმებელი გარემოებით დაკვალიფიცირებისას აუცილებელი პირობაა ორსულ ქალზე ძალადო-

<sup>64</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის N291აპ.-14 განაჩენი.

<sup>65</sup> იქვე.

<sup>66</sup> ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2016, 36.

<sup>67</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

ლევან ნაქაძე

ბისას მისი ორსულობის მდგომარეობის წინასწარ ცოდნა. ეს ცოდნა შეიძლება მიღებულ იქნეს ვიზუალური, თავად დაზარალებულის მიერ ინფორმაციის მიწოდებით.

## **2. არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ**

არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობა 126<sup>1</sup>-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებაა. როგორც სასამართლო განმარტავს, შესაძლოა, ოჯახში ძალადობის ჩადენამ არასრულწლოვნის თანდასწრებით სავალალო ზემოქმედება იქონიოს მის ფსიქიკასა და შემდგომ განვითარებაზე, ვინაიდან ოჯახში ძალადობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვზე, უზღვრავს მას სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას.<sup>68</sup> ხსენებული კვალიფიკაციით დანაშაულის შემადგენლობაა მაშინ, როდესაც ძალადობა მიმართულია არა უშუალოდ არასრულწლოვნის, არამედ მისი თანდასწრებით მოძალადის ოჯახის წევრის მიმართ, ხოლო ძალადობის შემსწრე ბავშვი არის დაზარალებულის ოჯახის წევრი, ანუ ძალადობა უნდა განხორციელდეს არასრულწლოვნის ოჯახის წევრის მიმართ არასრულწლოვნის თანდასწრებით.

სასამართლოს განმარტებით, 126<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ამ დანაშაულის სუბიექტი და ობიექტი იყვნენ ოჯახის წევრები. ხსენებული მუხლის ობიექტური მხარე გამოიხატება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში. შესაბამისად, სწორედ მოძალადე და ძალადობის მსხვერპლი უნდა იყვნენ ერთი ოჯახის წევრები და არა არასრულწლოვანი და ამ უკანასკნელის ოჯახის წევრი.<sup>69</sup>

---

<sup>68</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 13 დეკემბრის N367აპ-17 განაჩენი.

<sup>69</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ოქტომბრის N403აპ-16 განჩინება.



### 3. ორი ან მეტი პირის მიმართ

აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება მოიაზრებს ოჯახში ძალადობას ოჯახის ორი ან მეტი წევრის მიმართ, რომელიც ჩადენილია ერთდროულად ან მცირე დროის გასვლის შემდგომ ერთიანი განზრახვით. მაგალითად, პირი სალამოს მის მეუღლესთან და მისი მეუღლის დასთან ერთად ვახშობდა. ვახშობის დროს უნიშვნელო მიზეზით წარმოშობილი კამათი გადაიზარდა სერიოზულ დაპირისპირებაში, რასაც მოჰყვა პირის მხრიდან თავისი მეუღლის და მეუღლის დის მისამართით უხამსი შინაარსის სიტყვის თქმა. აღნიშნული სიტყვიერი კონფლიქტი გადაიზარდა შეხლა-შემოხლაში, რა დროსაც მან ისინი თმებით ითრია, თითოეულ მათგანს ტანისა და სახის არეში რამდენჯერმე დაარტყა ხელი და პარალელურად სიტყვიერად აგინებდა, რის შედეგადაც მათ განიცადეს ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა. მოცემულ შემთხვევაში ქმედების ამსრულებელმა იძალადა ორ პირზე, რაც დამამძიმებელი გარემოებაა.

### 4. ჯგუფურად

ჯგუფური დანაშაულის ცნება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში, რომლის მთავარი ასპექტია ორი ან მეტი ამსრულებლის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში წინასწარი შეთანხმებით თუ მის გარეშე. აქედან გამომდინარე, ჯგუფური დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა გამორიცხულია ერთი ამსრულებლისა და თუნდაც რამდენიმე თანამონაწილის (მაგ., ნამკეზებელი, დამხმარე) მიერ დანაშაულის ერთობლივად განხორციელების შემთხვევაში.<sup>70</sup> მაგალითად, ოჯახის ორი წევრი – ორი ძმა განაწყენებული იყო მამაზე, რომელიც მემკვიდრეობას სხვა პირს უტოვებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათი კამათი გადაიზარდა ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში, ძმებმა მამა სცემეს და მია-

<sup>70</sup> ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2016, 37.

ლევან ნაქაძე

ყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა.

## 5. არაერთგზის

არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევნი პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.<sup>71</sup> აქედან გამომდინარე, ორი ან მეტი ოჯახში ძალადობა ერთმანეთისგან ნასამართლობის ნიშნით უნდა იყოს გამიჯნული, ამასთანავე, ისინი ერთიანი განზრახვით არ უნდა იყოს მოცული.

### V. 126<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ სანქციათა მნიშვნელობა და ფარგლები

#### 1. 126<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის სახეები

სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის სასჯელის სახეები კანონმდებელმა განსაზღვრა სამი სახით: საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა; თავისუფლების ვადიანი აღკვეთა; იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. იგი საკანონმდებლო შინაარსით მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომაა, რომლის სახეს განსაზღვრავს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანო – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. ყოველდღიურად იგი შეიძლება დაინიშნოს 8 საათის ოდენობით.<sup>72</sup>

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა არის მხოლოდ ძირითადი სასჯელის სახე. შესაბამისად, ოჯახში ძალადობისთვის თავისუფ-

---

<sup>71</sup> სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი.

<sup>72</sup> იქვე, 44-ე მუხლი.

ლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითადი სასჯელის სახედ. იგი ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებას. თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით, რომლის ფარგლებშიც, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.<sup>73</sup>

იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა არის მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახე. იგი ნიშნავს იარაღის დამზადების, შექმნის ან/და იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-სამტაცო იარაღის) შენახვის, ტარების ან/და გამოყენების შეზღუდვას ან/და აკრძალვას, ერთიდან ხუთ წლამდე ვადით. შესაბამისად, თუ ოჯახში ძალადობის მუხლით გასამართლებული პირი ფლობს რეგისტრირებულ იარაღს, სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს განაჩენში ამ სასჯელის თაობაზე.<sup>74</sup>

## 2. 126<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელების ზომა

სასჯელის ზომის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავეს პერსონალურ ბრალს, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ხარისხს, დამნაშავეს გამოსწორების შესაძლებლობას და ამავე დროს, საზოგადოების სოციალური დაცვის აუცილებლობას. სასჯელის დანიშვნის სიზუსტე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწორი კვალიფიკაციით.<sup>75</sup>

126<sup>1</sup>-ე მუხლი ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება<sup>76</sup> და მისი სასჯელი განისაზღვრება ქვემოთ მოცემული ოდენობებით:

<sup>73</sup> იქვე, 50-ე მუხლი.

<sup>74</sup> იქვე, 52<sup>1</sup>-ე მუხლი.

<sup>75</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N4(43), 2014, 25.

<sup>76</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი.

სასჯელი სახე	სასჯელის მაქსიმალური ზომა	126 <sup>1</sup> -ე მუხლის I ნაწილი	126 <sup>1</sup> -ე მუხლის II ნაწილი
საზოგადოებისთ ვის სასარგებლო შრომა	40-800 საათი	80-150 საათი	200-400
თავისუფლების აღკვეთა	6 თვე-20 წელი	2 წლამდე	1-3 წლამდე
იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა	5 წელი	5 წლამდე	5 წლამდე

რამდენად შეესაბამება დანაშაულის სასჯელი ქმედების სოციალურ საშიშროებას, ყოველ ჯერზე ინდივიდუალურად უნდა იქნეს განხილული. სასჯელის შეფარდებისას მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის წარსული ცხოვრება.<sup>77</sup> მასში უნდა ვიგულისხმოთ ყოველივე ის, რაც დამნაშავის პიროვნებისთვის არის დამახასიათებელი: მისი ცხოვრების წესი, საჭიროებები, ზნეობრივი სახე. გააზრებულ უნდა იქნეს, რა სოციალურ გარემოში ჩამოყალიბდა პიროვნება, რა დამოკიდებულება აქვს საზოგადოებისადმი და მისი სურვილი ზოგადად საზოგადოებაში დაბრუნებასთან დაკავშირებით, თუმცა სასჯელის დანიშვნა არ მოიცავს მხოლოდ შეფარდებას, არამედ აქ მოაზრებულია შედეგების განსაზღვრის პროცესიც.<sup>78</sup>

## VII. დასკვნა

ქვეყანაში დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი უდავოდ სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის

<sup>77</sup> ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 100.

<sup>78</sup> შეად., დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 50.

არსებობაა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღ კანონმდებლობას არსებული გამოწვევების კვალდაკვალ. ცხადია, ნორმათა სიმრავლე არ უდრის საზოგადოებაში მეტ მართლწესრიგს. კანონმდებელმა უნდა გაიზაროს, რომ დანაშაულთან ბრძოლის კონტექსტში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ნორმის არსებობა, არამედ მეტწილად მისი პრაქტიკაში მოქმედების პროცესი და შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია, ნორმა იყოს ცხადი და არ ემსახურებოდეს მართლმსაჯულების ორგანოსთვის ვიწრო ჩარჩოების დაწესებას.

სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სპეციალური ნორმის ჩამოყალიბებისას კანონმდებლის მიზანი იყო დანაშაულის აღკვეთა-აცილება. მიუხედავად იმისა, რომ მიმართვიანობის ზრდის ფონზე დანაშაულის მაჩვენებელიც გაიზარდა, ნორმის მოქმედება მაინც წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. 126<sup>1</sup>-ე მუხლის კონკრეტიზების კუთხით კანონმდებლის მიდგომამ საზოგადოების წინაშე პრობლემის გადაჭრის გზა დასახა. სწორედ ამის გამო გაიზარდა მიმართვიანობა და სწორედ ამიტომაც აღნიშნული მუხლი ყველაზე ხშირად გამოყენადი ნორმა.

## **COMMENT TO THE ARTICLE 126<sup>1</sup> OF THE CRIMINAL CODE OF GEORGIA**

**Levan Tsakadze\***

Domestic violence is prevalent in every community and impacts everyone regardless of age, socioeconomic status, sexual orientation, gender, race or religion. However, society's attitude towards domestic violence has changed and become intolerant over the years. As a result, legislators paid more attention to aggravating the law, and nowadays, article 126<sup>1</sup> (Domestic Violence) of the Criminal Code of Georgia is highly usable in criminal investigations.

The paper contains a detailed overview of article 126<sup>1</sup> and Georgian case law about domestic violence.

Keywords: Violence, Domestic Violence, Legislation, Georgia.

---

\* Ph.D. Candidate at Sul Khan-Saba Orbeliani University, Researcher at the Center for Crime and Criminal Justice. [orcid.org/0000-0001-9008-2975](https://orcid.org/0000-0001-9008-2975).

**გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული  
ჩხრეკის კანონიერება და ჩხრეკის შედეგად ამოღებულ  
ნივთობების დასაშვებობა: საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი**

**ნინო ქარცხია\***

**I. შესავალი**

ჩხრეკა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი ყველაზე შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედებაა, ამიტომაც ის სისხლის სამართლის პროცესის განსაკუთრებით პრობლემური საკითხია. ჩხრეკა მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის აღმოჩენისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისთვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებისკენ.<sup>1</sup> მისი მიზანია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგნის აღმოჩენა, ფიქსაცია და ამოღება. ქართული კანონმდებლობა გადაუდებელი აუცილებლობისას უშვებს ჩხრეკის ჩატარებას სასამართლოს განჩინების გარეშე.<sup>2</sup> საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ტარდება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, წარმოშობს იმის საფრთხეს, რომ გამოძიების ჩამტარებელი სუბიექტი შეიძლება გასცდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, დაუსაბუთებლად შეზღუდოს კერძო პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, ამიტომ საჭიროა სასამართლოს შემდგომი კონტროლი იყოს ეფექტური, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი „არაკეთილსინდისიერი“ გამოძიების საფრთხეები.

საერთო სასამართლოები თავადვე შენიშნავენ, რომ „ჩხრეკის წარმოებაზე შემდგომი (შემონმებითი) სასამართლო კონტროლის

---

\* გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მთავარი ინსტრუქტორი. [orcid.org/0000-0002-3578-9529](https://orcid.org/0000-0002-3578-9529).

<sup>1</sup> ჯორბენაძე ო., წინასასამართლო გამოძიებისას და წინასასამართლო განხილვისას ადამიანის უფლებათა დაცვაზე სასამართლო კონტროლის პროცედურები, ნაწილი I, თბილისი, 2016, 45-46.

<sup>2</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილი, 120-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ეფექტურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკაში ჩხრეკა-ამოღების აბსოლუტური უმრავლესობა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით განჩინების გარეშე ტარდება<sup>3</sup>, რითაც კიდევ უფრო მეტი რისკი იქმნება საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ამ უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებისთვის. განსაკუთრებით მატულობს საფრთხე, როდესაც ჩხრეკა მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ტარდება და არ არის გამყარებული სხვა დამატებითი მტკიცებულებით, სასამართლო კი სრულად მოკლებულია შესაძლებლობას გადაამოწმოს იგი.<sup>4</sup>

სწორედ საგამოძიებო მოქმედება, სასამართლოს განჩინების გარეშე პირადი ჩხრეკის გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების საფუძველს და მის შედეგად ამოღებული ნივთმტკიცების დასაშვებობას ეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

## **II. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

### **და პროცესუალური ისტორია**

#### **1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

2017 წლის 7 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელმა შეადგინა პატაკი, რომელიც ეყრდნობოდა კონფიდენცის<sup>5</sup>

---

<sup>3</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის N12 ანგარიში სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის თაობაზე თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში, 2018, 97; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის N1გ/1197 განჩინება, პ.5.

<sup>4</sup> „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>5</sup> „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით კონფიდენცია ნიშნავს საიდუმლო თანამშრომელს, 18 წელს მიღწეულ ქმედუნარიან ფიზიკურ პირს, რომელიც ნებაყოფლობით, კონტრაქტის საფუძველზე, თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოსთან ან გამომძიებელთან და ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.



მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, მოსარჩელე გიორგი ქებურია, რეგისტრირებული კონკრეტულ მისამართზე, ნარკოტიკული საშუალებების აქტიური მომხმარებელი იყო და ეწეოდა ნარკოტიკული საშუალებების შექენა-შენახვას. 2017 წლის 7 ივნისს ის სავარაუდოდ იმყოფებოდა თბილისში, კონკრეტული მისამართის მიმდებარე ტერიტორიაზე და თან ჰქონდა ნარკოტიკული ნივთიერება. გამომძიებლის პატაკი სხვა ინფორმაციას არ შეიცავდა და საკანონმდებლო შეზღუდვების გამო არც კონფიდენცის ვინაობა იყო ცნობილი. იმავე დღეს დაიწყო გამოძებნა პატაკში არსებული ინფორმაცია აისახა ხსენებული გამომძიებლის გამოკითხვის ოქმშიც, სადაც გამომძიებელი დამატებით აღნიშნავდა, რომ ის ინფორმაციის მომწოდებელთან დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა და სრულად ენდობოდა მის ინფორმაციას, ვინაიდან მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, არაერთი დანაშაული გახსნილა. 7 ივნისს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, გამომძიებლის დადგენილებით, შსს-ის თანამშრომლებმა გიორგი ქებურია გაჩხრიკეს. ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ნარკოტიკული ნივთიერება. მოსარჩელე გიორგი ქებურია დააკავეს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების ნარკოტიკული საშუალებების დიდი ოდენობით შექენა-შენახვის ბრალდებით. მეორე დღეს, 8 ივნისს, საქმის პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსარჩელის გადაუდებლად ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის თაობაზე. სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა და კანონიერად ცნო გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული მოსარჩელის ჩხრეკა.<sup>6</sup>

## 2. გამოსაყენებელი ნორმა და პრობლემა

მოსარჩელე სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებას ძირითადი კანონის რამდენიმე ნორმასთან მიმართე-

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I, 5.

ბით ითხოვდა. მისი პრობლემა დაკავშირებული იყო არა მთლიანად სადავო ნორმებით დადგენილ ინსტიტუტთან – დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე პირის ჩხრეკასთან, არამედ მის გარკვეულ ნორმატიულ შინაარსთან.<sup>7</sup> მოსარჩელე მხარის აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ჩხრეკის ჩატარებისთვის აუცილებელი სტანდარტი დასაბუთებულ ვარაუდს ადგენს,<sup>8</sup> რომელიც, თავის მხრივ, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის მოითხოვს ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობას.<sup>9</sup> მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკა მოცემულ ნორმატიულ დებულებებში კითხულობს წესს, რომლის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი საგამოძიებო ორგანოების მიერ იქმნება უმეტესად შესაბამის ოპერატიულ ინფორმაციაზე მითითებით, ყოველგვარი დამატებითი კრიტერიუმის მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარებული შემდგომი საგამოძიებო მოქმედების, თუ მოსამართლის მიერ ინფორმაციის რაიმე ფორმით გადამონმების გარეშე. მოსარჩელე მხარე პრობლემურად მიიჩნევდა სადავო დებულებების იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც უშვებს ჩხრეკის ჩატარებას ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ისე, რომ მოსამართლეს არ აქვს შესაძლებლობა, გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სანდოობა პირველწყაროსთან და ინფორმაციის გადამონმებისთვის არც სხვა დამატებითი საგამოძიებო ღონისძიება მოითხოვება.<sup>10</sup>

მოსარჩელე მხარის აზრით, სასამართლო ჩხრეკის კანონიერების დასაბუთებისთვის, მათ შორის, ეყრდნობა ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთს. სასარჩელო მოთხოვნის თანახმად, ჩხრეკის კანონიერების შემოწმებისას სასამართლო უნდა აფასებდეს მხოლოდ ჩხრეკამდე არსებული ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობას და საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის საწინააღმდეგოა,

---

<sup>7</sup> იქვე, II, 1-2, 4.

<sup>8</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები, 121-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>9</sup> იქვე, მე-3 მუხლის, მე-11 ნაწილი, 2009.

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1-2, 4.

შესაბამისად, ჩხრეკის შედეგი ჩხრეკის ჩატარების კანონირებაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს. ყოველივე აღნიშნული ქმნის საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების არაგონივრული და თვითნებური შეზღუდვის რისკს, ამიტომაც მოსარჩელე მხარეს მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები და 121-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს გაუმართლებელ ჩარევას საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ უფლებაში.<sup>11</sup>

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებას, სადაც მითითებულია, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, მოსარჩელისთვის პრობლემურია სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს მხოლოდ ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულების საფუძველზე და მისგან გამომდინარე მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, მაშინ, როდესაც ბრალდებული აპელირებდა პოლიციელის მიერ ნივთის ჩადებაზე და თავდაპირველი ჩხრეკის ღონისძიება მხოლოდ კონფიდენტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. სადავო ნორმატიული შინაარსი ეწინააღმდეგება უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის უფლებას, ვინაიდან საშუალებას იძლევა, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ისეთ მტკიცებულებებს დაეფუძნოს, რომელთა სანდოობისა და კანონიერების გადამოწმება მოსამართლეს არ შეუძლია.<sup>12</sup> აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ სამივე სადავო მუხლთან მიმართებით წარმოდგენილი მოსარჩელის მსჯელობა მიიჩნია საკმარისად დასაბუთებულად და სარჩელი დასაშვებად სცნო.

<sup>11</sup> იქვე, I, 9-10.

<sup>12</sup> იქვე, I- 4.

### 3. პროცესუალური ისტორია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ჩხრეკის ჩატარების მიზნები და საფუძვლები. ჩხრეკის მიზანია სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღება. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა.<sup>13</sup> პროკურორს, გამომძიებელს, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება აქვთ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას პირადი ჩხრეკით ამოიღონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც აღმოჩენილია პირის ტანსაცმელზე, მის ხელთ არსებულ ნივთში ან სატრანსპორტო საშუალებაში, სხეულზე ან სხეულში.<sup>14</sup> ხსენებული ნორმა ჩხრეკის ჩატარების დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს აწესებს, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც კონკრეტულ ადგილზე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ნივთის არსებობის და მისი ნებაყოფლობით გაცემა-გაუცემლობის შესახებ დასაბუთებულ ვარაუდს შექმნის.<sup>15</sup>

პრობლემა დაკავშირებულია ჩხრეკის ჩატარებასთან, რომელიც „ოპერატიული ინფორმაციის“ საფუძველზე ხორციელდება. ოპერატიულ ინფორმაციაში მოიაზრება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საიდუმლო პირის მიერ, შესაბამისი უწყებისთვის/თანამდებობის პირისთვის მიწოდებული ინფორმაცია, ანონიმური პირის მიერ შესაბამისი უწყებისთვის/თანამდებობის პირისთვის მიწოდებული ინ-

---

<sup>13</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები.

<sup>14</sup> იქვე, 121-ე მუხლი.

<sup>15</sup> იქვე, მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

ფორმაცია.<sup>16</sup> ასევე განსაზღვრულია საიდუმლო თანამშრომლის, კონფიდენცის დეფინიციაც – კონფიდენცია 18 ნელს მიღწეული ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც ნებაყოფლობით, კონტრაქტის საფუძველზე თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოსთან ან გამომძიებელთან და ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.<sup>17</sup>

კანონი იცნობს კონფიდენცისგან განსხვავებულ სუბიექტსაც, „ინფორმაციის მიმწოდებელ წყაროს“, რომლის ორგანოებთან კონფიდენციალური თანამშრომლობის ხარისხი გაცილებით მცირე შეიძლება იყოს და მაგალითად, გამოიხატებოდეს ინფორმაციის ერთჯერად მიწოდებაში.<sup>18</sup> „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი საიდუმლო თანამშრომლის ან ინფორმაციის მიმწოდებელი წყაროს გახმაურება-გამჟღავნება აკრძალულია გასული დროის მიუხედავად, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.<sup>19</sup> კანონის თანახმად, ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებიც კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან, სახელმწიფო საიდუმლოებაა.<sup>20</sup> კანონი, ერთი მხრივ, სახელმწიფო საიდუმლოებასთან წვდომის გარანტირებულ უფლებას კონკრეტული მაღალი თანამდებობის პირებისთვის არჩევის/დანიშნისთანავე უზრუნველყოფს, ხოლო, სხვა შემთხვევაში, ადგენს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების საკმაოდ კომპლექსურ და ხანგრძლივ პროცედურას, რაც იმის დასკვნის საფუძველს იძლევა, რომ მოსამართლე ჩხრეკის კანონიერების შემოწმებისას მოკლებულია შესაძლებლობას, გადაამოწმოს პატაკ-

<sup>16</sup> „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი.

<sup>17</sup> იქვე, პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

<sup>18</sup> იქვე, მე-16 მუხლი.

<sup>19</sup> იქვე, მე-5 მუხლი.

<sup>20</sup> იქვე, მე-17 მუხლი.

ში არსებული ინფორმაციის ნამდვილობა ოპერატიულ წყაროს-თან.<sup>21</sup>

ოპერატიული წყაროს და ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ინფორმაციის ერთ-ერთ ფორმაა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამომძიებლისა და პროკურორის პირდაპირ ვალდებულებას ადგენს, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაიწყონ გამოძიება.<sup>22</sup> არც სადავო ნორმები და არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა დებულებები არ გამორიცხავს ოპერატიული წყაროსა და ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას დასაბუთებული ვარაუდის შექმნისთვის აუცილებელი „ფაქტებისა და ინფორმაციის ნუსხიდან“, რომელიც მოითხოვება ჩხრეკის კანონიერად ჩატარებისთვის.<sup>23</sup> კოდექსი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს ანონიმური პირის ინფორმაციის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.<sup>24</sup> ჩხრეკის ჩატარებაზე ამგვარი აკრძალვა არ არსებობს. პრაქტიკულად, ნებისმიერი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ უნდა გახდეს გამოძიების დაწყების საფუძველი და სსსკ-ში განსაზღვრული ჩხრეკის ჩატარებისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდი ზოგადად, „ფაქტებსა“ ან/და „ინფორმაციაზე“ ამახვილებს ყურადღებას, რაც იმის დასკვნის საფუძველს იძლევა, რომ ჩხრეკის კანონიერად ჩატარება შეიძლება განხორციელდეს ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის ინფორმაციის საფუძველზეც.<sup>25</sup>

#### 4. სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლამდე განხორცი-

---

<sup>21</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1, 3, 8.

<sup>22</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი.

<sup>23</sup> იქვე, 119-ე მუხლი.

<sup>24</sup> იქვე, მე-101-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>25</sup> იქვე, მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი, 101-ე და 119-ე მუხლები.

ელებული სასამართლო მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდა ტენდენცია, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების საგამონაკლისო ხასიათი. კერძოდ, მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბრალდების მხარე ძირითადი წესის (სასამართლოსთვის შესაბამისი განჩინების გამოცემის მოთხოვნით მიმართვა) უგულებელყოფით ატარებს ჩხრეკასა და ამოღებას და ძალიან ხშირად იყენებს კანონმდებლობით დადგენილ გამონაკლის წესს.<sup>26</sup>

საინტერესოა საერთო სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკა, თუ რა მიიჩნევა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკის საკმარის საფუძველად, ხომ არ ემყარება გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების თაობაზე მიღებული სასამართლოს განჩინება ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთმტკიცებას, ასევე, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოაქვს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში ჩხრეკის საფუძველად მიჩნეულია პოლიციის თანამშრომლის მიერ მიღებული ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია საქმეში პატაკის და მისი გამკითხვის ოქმის სახით, ხოლო ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთმტკიცება გამოყენებულია დასაბუთებული ვარაუ-

<sup>26</sup> „ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობებიდან და პროცესზე გაულერებული გარემოებებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ ჩხრეკისა და ამოღების 155 შემთხვევიდან მხოლოდ 13 (8%) საქმეზე ჩატარდა სასამართლოს წინასწარი ნებართვით, ხოლო 142 (92%) საქმეზე - გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, საიდანაც 92% საქმე სასამართლოს მიერ კანონიერად იქნა ცნობილი. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ საგამოძიებო ორგანომ 1 წლის განმავლობაში (2017-2018 წწ) ჩატარებული ჩხრეკა-ამოღებისას, უმეტეს შემთხვევაში, ისარგებლა საგამონაკლისო წესით და ასეთი საგამოძიებო მოქმედებების 92% ჩაატარა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით.“ იხ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის N12 ანგარიში სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის თაობაზე თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში, 2018, 97.

დის სტანდარტისთვის.<sup>27</sup> რაც შეეხება გამომტყუნებელ განაჩენს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები ძირითადად ეფუძნება მტკიცებულებების იმ ჩამონათვალს, რომელიც მანამდე მითითებული იყო ჩხრეკის კანონიერად ცნობის განჩინებაში, კერძოდ, პოლიციის თანამშრომლის ინფორმაციულ პატაკს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით სრულად აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, ასევე პოლიციელების გამოკითხვის ოქმებს, პირადი ჩხრეკის ოქმს და ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთიერ მტკიცებულებებს, ექსპერტიზის დასკვნას. გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, ემყარება იმ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც საქმეში მოცემული იყო ჯერ კიდევ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერების შემოწმებისას.<sup>28</sup>

სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკაც მსგავსია და ჩხრეკის ჩატარების საფუძვლად მიჩნეულია პოლიციის თანამშრომლის მიერ კონფიდენცისგან მიღებული საიდუმლო ინფორმაცია, ასევე არის შემთხვევები, როდესაც ჩხრეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნისთვის გამოყენებულია ჩხრეკის შედეგები, კერძოდ, ამოღებული ნივთმტკიცება.<sup>29</sup> განსახილველი საკანონმდებლო ნორმა განმარტებული აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოსაც. მის მიერ ნორმის განმარტება უნდა ჩაითვალოს ამ უკანასკნელის შინაარსის გაგების წყაროდ<sup>30</sup>. სასამართლოს პრაქ-

---

<sup>27</sup> თბილისის საქალაქო სამართლოს 2018 წლის 17 დეკემბრის N11ბ/11815-18 განჩინება; თბილისის საქალაქო სამართლოს 2018 წლის 8 მარტის N10დ/959 განჩინება; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 აგვისტოს N11ბ/10359 განჩინება.

<sup>28</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 აგვისტოს N1/3839-18 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 სექტემბრის N1/4217-18 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 აგვისტოს N1/2302-17 განაჩენი.

<sup>29</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის N1ბ-555-12 განაჩენი.

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე



ტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციელის ჩვენებას (რომელშიც იგი, სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე, უბრალოდ გადმოსცემს ოპერატიული ინფორმაციის წყაროს მონათხრობს), როგორც ერთ-ერთ მტკიცებულებას, დაფუძნებია გამამტყუნებელი განაჩენი.<sup>31</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მკაფიოდ ჩანს, რომ თავად პოლიციელის პატაკი, როგორც მტკიცებულება, საფუძვლად არ დადებია განაჩენს, თუმცა ფაქტია, რომ პატაკის შედგენის ჩვენება, რომელიც ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის გარეშე, მშრალად გადმოსცემს ოპერატიული ინფორმაციის წყაროს მონათხრობს, შინაარსობრივად არ განსხვავდება პატაკისგან, რომელიც იმავე, მესამე პირის ინფორმაციას გადმოსცემს, ოღონდ წერილობითი ფორმით. ამდენად, სადავო ნორმის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას საფუძვლად შესაძლებელია დაედოს ჩვენება, რომელიც ემყარება სხვა პირის (ოპერატიული წყაროს) მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.<sup>32</sup>

რამდენადაც გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულ ჩხრეკასთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, ამიტომაც, ძალიან მნიშვნელოვანია ის რეგულაციები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან, ვინაიდან, ფაქტობრივად, იგი ცვლის მანამდე არსებულ პრაქტიკას. გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს („კონფიდენტი“, „ინფორმანტი“) ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, არაკონსტიტუციურია და ძალა-

გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 16.

<sup>31</sup> იქვე.

<sup>32</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მაისის N96აპ-17 გადაწყვეტილება.

დაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი; ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტს ეწინააღმდეგება ჩხრეკის ჩატარებისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად ჩხრეკის შედეგზე მითითება.<sup>33</sup>

### **III. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაცია 1. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკა**

მოსარჩელისთვის პრობლემა იყო ჩხრეკის ჩატარება ისეთი ინფორმაციის საფუძველზე, რომლის წყაროს გადამოწმება ვერ ხერხდება სასამართლოს მიერ. მოსარჩელის შემოთავაზებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს წვდომა ექნებოდა ინფორმაციის პირველწყაროსთან, აღნიშნული გარკვეულწილად დააბალანსებდა პირადი ცხოვრების უფლების დაუსაბუთებელი და არაგონივრული შეზღუდვის რისკებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული საკითხი განხილული აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებით,<sup>34</sup> ის დასაშვებად მიიჩნევს პირადი სივრცისა და კომუნიკაციის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის, რომელიც ემსახურება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან/და სხვათა უფლებების დაცვას. ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის ინფორმაციის საფუძველზე განხორციელებული ჩხრეკის მიზანია სისხლის სამართლის საქმისთვის რელევანტური საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოჩენა და ამოღება. ამ ღონისძიების გატარებით კანონმდებელი უზრუნველყოფს მართლმსაჯულების,

---

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>34</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების ეფექტურ დაცვას.<sup>35</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, წყაროს განსაიდუმლოება მისი ინფორმაციის სასამართლო პროცესზე გადამონმების მიზნით, ვერ ჩაითვლება საქმეში დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის ნაკლებად მზლუდავ საშუალებად. იმ შემთხვევაში, თუ წყაროს არ ექნებოდა კონფიდენციალურობის გარანტი, ის და სხვა პოტენციური პირები თავს შეიკავებდნენ სამართალდამცავ ორგანოებთან მომავალში თანამშრომლობისგან, რაც დააზარალებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.<sup>36</sup> გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერება ეფუძნება გარემოებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს შეუქმნიდა გონივრულ ვარაუდს, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ნივთი ინახება კონკრეტულ პირთან ან კონკრეტულ ადგილზე და მის მოსაპოვებლად საჭიროა ძებნა.<sup>37</sup> იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი საქმე ინდივიდუალურია, შეუძლებელია იმის ამომწურავად განსაზღვრა, თუ რა გარემოებები შექმნის ან უნდა შექმნას ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების სათანადო მოლოდინი, თუმცა აუცილებელია, ეს გარემოებები რაციონალურად მოაზროვნე ნეიტრალურ დამკვირვებელს ჩხრეკის ჩატარების გონივრულობაზე მიანიშნებდეს.<sup>38</sup> ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჩხრეკის ფაქტი ნეიტრალური მტკიცებულებით ვერ გამყარდეს, თუმცა უნდა დადასტურდეს, რომ უფლებამოსილმა პირმა მიიღო გონივრული ზომები,

<sup>35</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.

<sup>36</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 28.

<sup>37</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლი.

<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III.

რათა უზრუნველყო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება. ამის აშკარა მაგალითია, როდესაც საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პირის ან მისი მფლობელობის ჩხრეკის პროცესზე ნეიტრალური მონმის დასწრების შესაძლებლობა ობიექტურად არსებობდა და პოლიციელებმა ეს არ უზრუნველყვეს. უფრო მეტიც, თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი იძლევა შესაძლებლობას, რომ ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღებაც მოხდეს ბრალდების პოზიციის გასამყარებლად. მტკიცებულების სანდოობისადმი მნიშვნელოვან ეჭვს აჩენს ასევე გარემოება, რომ პოლიციელთა უსაფრთხოების დაცვის პირობებში, არსებობდა ჩხრეკის ვიდეოგადაღების რეალური შესაძლებლობა და პოლიციელმა ის არ გამოიყენა.<sup>39</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, თუ პატაკის შემდგენი/მიმღები პირის გამოკითხვის ოქმი ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე იმეორებს მხოლოდ პატაკში აღწერილ ინფორმაციას ან/და მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც ოპერატიულმა წყარომ მიაწოდა, უნდა ჩაითვალოს, რომ არსებობს ერთი ინფორმაცია, რაც, ცხადია, ვერ შეფასდება ინფორმაციის ან ფაქტების ერთობლიობად. საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში, ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა ყოველთვის შეიქმნება, რადგან ყოველთვის იარსებებს პოლიციელი, რომელიც დაადასტურებს ოპერატიული წყაროდან ინფორმაციის გადმოცემის ფაქტს და გადმოსცემს იმ ინფორმაციის შინაარსს, რომელიც ოპერატიულმა წყარომ მიაწოდა ან მეტიც, თუ რამდენიმე პოლიციელი გადმოსცემს ინფორმაციის მიმღები პოლიციელის მიერ შედგენილი პატაკის შინაარსს, ფაქტებისა და ინფორმაციის უფრო დიდი ერთობლიობა შეიქმნება და შეიძლება უფრო დამაჯერებლადაც გამოიყურებოდეს, რაც, ცხადია, საღ აზრს მოკლებული მსჯელობაა.<sup>40</sup>

---

<sup>39</sup> იქვე, II, 100-103.

<sup>40</sup> იქვე, III, 52.

<sup>40</sup> იქვე, II, 100-103.

მოსამართლემ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების შემოწმებისას ის ფაქტობრივი გარემოებები უნდა გაითვალისწინოს, რომელიც მის დაწყებამდე არსებობდა. ჩხრეკის ჩატარებამდე მოსამართლის განჩინების მიღების შეუძლებლობა, ბუნებრივია, არ ამარტივებს სამართალდამცავთა მტკიცების ტვირთს, ისინი უნდა მოქმედებდნენ იმ დაშვებით, რომ ჩხრეკის დაწყებამდე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსამართლე ჩხრეკის ბრძანებას გასცემდა, ხოლო, თუ სამართალდამცავი ამ სტანდარტს გადაუხვევს, ჩხრეკა უკანონოდ უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების ფაქტი არარელევანტური გარემოებაა იმის გადამოწმებისას, თუ რამდენად სწორად აფასებდა სამართალდამცავი ჩხრეკის ჩატარებამდე დასაბუთებული ვარაუდის არსებობის ფაქტს. შესაბამისად, კონკრეტული ჩხრეკის ჩატარების საჭიროების/აუცილებლობის შეფასებაზე გავლენას არ ახდენს ამავე ჩხრეკის შედეგად სათანადო მტკიცებულებების მოპოვების ფაქტი.<sup>41</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებისა და 121-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც უშვებს ჩხრეკის ჩატარებას ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული სათანადოდ გადამოწმებული ინფორმაციის საფუძველზე. სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო ნორმის ის შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი

---

<sup>41</sup> იქვე, II-70.

ნინო ქარცხია

ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად (აღნიშნული ჩანაწერი საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა 2021 წლის პირველი ივლისიდან), ასევე ძალადაკარგულად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებისა და 121-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩხრეკის შედეგს განიხილავს ჩხრეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძველად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.<sup>42</sup>

## **2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობა**

განსახილველ საქმეზე მოსარჩელე მხარისთვის პრობლემურია აგრეთვე სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას მხოლოდ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების და მისგან მომდინარე მტკიცებულებების, ამ ჩხრეკის თვითმხილველი პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების, ჩხრეკა/დაკავების ოქმების და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მაშინ, როდესაც ბრალდებული თავიდანვე აპელირებდა, რომ უკანონო ნივთი მას არ ეკუთვნოდა და ის მას პოლიციელებმა „ჩაუდეს“. აღნიშნული საკითხი განხილულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე მიუთითებს, რომ ოპერატიული წყაროს კონფიდენციალურობის გამო, ვერც დაცვის მხარისა და ვერც სასამართლოს მხრიდან ვერ ხერხდება იმის გადამონეშება, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ბრალდებულს უკანონო ნივთი და რამდენად რეალურად „ჩაუდეს“. ამას ემატება ისიც, რომ ჩხრეკის თვითმხილველი მოწმეები თავად პოლიციის თანამშრომლები არიან და არ არსებობს

---

<sup>42</sup> იქვე, III.

ჩხრეკა/ამოღების ღონისძიების ნეიტრალური მონმით/მტკიცებულებით გადამოწმების ვალდებულება.<sup>43</sup>

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმის ტექსტი არაორაზროვნად იმეორებს მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნებს და სამართალშემფარდებლისგან მოითხოვს, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოხდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებს პირის ბრალეულობას. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციის მოთხოვნები შეიძლება განსხვავდებოდეს სადავო ნორმის შინაარსისგან, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ამა თუ იმ ნორმამ პრაქტიკაში გამოყენებისას, გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, კონსტიტუციის საწინააღმდეგო შინაარსი შეიძლება შეიძინოს. სასამართლომ უნდა შეაფასოს არა მხოლოდ სადავო ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციის დანაწესთან, არამედ უნდა დაადგინოს, სადავო ნორმა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, რამდენად უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლების არსის დაცვას.<sup>44</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლო, „როგორც საკასაციო ორგანო, წარმოადგენს საერთო სასამართლოების სისტემაში კანონის განმარტების უმაღლეს და საბოლოო ინსტანციას. შესაბამისად, მის მიერ ნორმის განმარტება უნდა ჩაითვალოს ამ უკანასკნელის შინაარსის გაგების წყაროდ“<sup>45</sup>. საერთო სასამართლოს, მათ შორის, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დამდგარა მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობით, რომელიც შედგებოდა ოპერატიული წყაროს მიერ მიწოდებული ინფორ-

<sup>43</sup> იქვე, II, 2, 3.

<sup>44</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>45</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 16.

მაცის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის (ნარკოტიკული საშუალების ან ცეცხლსასროლი იარაღის), ამ ჩხრეკის თანამონაწილე/დამსწრე პოლიციის თანამშრომელთა თანმიმდევრული ჩვენებების, ჩხრეკისა და დაკავების ოქმების და ქიმიური ექსპერტიზის (რომელიც აღწერდა ამოღებული ნივთის სახეობას/რაობას და ოდენობას) საფუძველზე.<sup>46</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მიზანი არ არის საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რევიზია, მათ შორის, ზემოთ დასახელებულ კონკრეტულ საქმეებზე მტკიცებულებების დასაშვებობის შემოწმება. სადავო ნორმაც და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტიც სწორედ საქმის განმხილველ, დანაშაულებრივი ფაქტების დამდგენ სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, სწორად და სამართლიანად გადაწყვიტოს სამხილებს შორის კონფლიქტი და ბრალდებულის უდანაშაულობაში ეჭვის არსებობის შემთხვევაში გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი. ამდენად, მხოლოდ საერთო სასამართლოს ტვირთია ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, საქმეზე არსებული ფაქტებისა და გარემოებების სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე, ისეთი გადაწყვეტილებების გამოტანა, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობისა და კონსტიტუციის მოთხოვნებს. მტკიცებულების სანდოობის შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებების სრული და ყოველმხრივი შესწავლის შედეგად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ფუნქციაა.<sup>47</sup>

---

<sup>46</sup> დასახელებულ საქმეებზე დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო ბიოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც არ ადასტურებდნენ ბრალდებულის დნმ-ს და თითის ანაბეჭდებს ამოღებულ ნივთზე, თუმცა სასამართლომ არ მიიჩნია ისინი საკმარისად იმისთვის, რომ გაბათილებულიყო პოლიციელთა ჩვენებები, რომლებიც მიუთითებდნენ ბრალდებულის მფლობელობიდან უკანონო ნივთის ამოღებაზე.

<sup>47</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 26.



მტკიცების ტვირთი, რომელიც ბრალდების მხარეს ეკისრება, არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული. „გონივრულმა, ზედმინევნიტ ზუსტად განსაზღვრულმა საკანონმდებლო ნორმებმა უნდა დააბალანსოს ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც შეიძლება ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან შედარებით გააჩნდეს და შესაძლებლობა მისცეს ბრალდებულს, სრულყოფილად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც, თავის მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება. ასეთია კანონის უზენაესობის პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების მოთხოვნა. თვითნებობისა და შეცდომის თავიდან აცილება ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელს უწყობს დანაშაულის სათანადოდ გამოძიებას, რეალური დამნაშავის გამოვლენას და შემდგომ მის მსჯავრდებას.“<sup>48</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიებისთვის რეალურად ხელთარსებული შესაძლებლობების გამოყენებლობა, რაც დაადასტურებდა/გაამყარებდა პირის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ქმნის შეცდომის, თვითნებობის და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვან რისკებს. აღნიშნულის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს სამართალდამცავის ვალდებულებას, მოიპოვოს ჩხრეკის სანდოობის უზრუნველყოფი ნეიტრალური მტკიცებულებები მაშინაც კი, როდესაც ეს პოლიციელის უსაფრთხოების ან/და მტკიცებულების განადგურების/გადაძალვის საფრთხის შექმნის გარეშე, გონივრულ ფარგლებში მოქმედების შედეგად, შესაძლებელია. კანონმდებლობითა და სადავო ნორმით ვერ ხერხდება არასანდო მტკიცებულების გამოყენებით პირის მსჯავრდების რისკების დაზღვევა.

გადანყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, სამართალდამცავი ორგანოს თანა-

---

<sup>48</sup> იქვე, II, 24.

მშრომლის იმ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებას, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს („კონფიდენტი“, „ინფორმანტი“) ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ასევე ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ჩვენებებით, და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.<sup>49</sup>

#### IV. სასამართლო გადაწყვეტილების შეფასება

ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ტარდება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, წარმოშობს იმის საფრთხეს, რომ გამოძიების ჩამტარებელი სუბიექტი შეიძლება გასცდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებს.<sup>50</sup> საერთო სასამართლოები თავადავე შენიშნავენ, რომ „ჩხრეკის ან/და ამოღების წარმოებაზე შემდგომი (შემომწმებითი) სასამართლო კონტროლის ეფექტურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკა აჩვენებს, ჩხრეკა-ამოღების აბსოლუტური უმრავლესობა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, განჩინების გარეშე ტარდება, რითაც საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ამ უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების კიდევ უფრო მეტი რისკი იქმნება“<sup>51</sup>.

---

<sup>49</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბერის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III.

<sup>50</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N12 ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში. ანგარიში, 2018, 97.

<sup>51</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის N1გ/1197 განჩინება.

საგამოძიებო ორგანოების მხრიდან თვითნებობის რისკს ზრდის მათი პროფესიული დაინტერესება, როცა სტრუქტურა პასუხისმგებელია წარმატებულ გამოძიებაზე და მის ინტერესში შედის რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოპოვება. თუ არ იარსებებს სათანადო კონტროლის მექანიზმი, ბუნებრივია, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ცდუნება და რისკებიც მეტი იქნება. ასეთი რისკების მინიმუმამდე დაყვანისთვის აუცილებელი გარანტია სასამართლო.<sup>52</sup> კანონმდებლობა ადეკვატური მექანიზმებით უნდა ქმნიდეს ისეთ ვითარებას, რომ საჯარო ინტერესების მისაღწევად უფლებაში ჩარევა ხდებოდეს მხოლოდ რეალური აუცილებლობის (გადაუდებელი აუცილებლობის) შემთხვევაში.<sup>53</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, რაც მოიცავს ასევე პირის უფლებას, მისი საცხოვრებელი დაცული იყოს უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ჩარევისგან სახელმწიფოს მხრიდან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პირის მშვიდ და დაცულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა.<sup>54</sup> კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებლის ჩხრეკა, ამოღება და სხვაგვარი შემოწმება შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, აუცილებელია

<sup>52</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 55.

<sup>53</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 9.

<sup>54</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

დემოკრატიულ საზოგადოებაში და ჩარევა არის თანაბარზომიერი. ამასთანავე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ პირებს მიანიჭოს შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, ეფექტურად დაიცვან თავი სახელმწიფოს მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან.<sup>55</sup>

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – „კამენზინდი შვეიცარიის წინააღმდეგ“, განსაზღვრა ის სტანდარტები, რაც საჭიროა ჩხრეკა-ამოღების ლეგიტიმურობისთვის.<sup>56</sup> ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ ჩხრეკის მიმდინარეო-

---

<sup>55</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაციის მიერ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N12 ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში. ანგარიში, 2018, 97.

<sup>56</sup> *Camenzind v. Switzerland* [ECtHR], App. No.21353/93, 16 December 1997. „ჩხრეკა უნდა ჩატარდეს შეზღუდული რაოდენობის მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების ბრძანების საფუძველზე, უნდა ჩაატაროს შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე პირმა, თუ არსებობს ეჭვი ჩხრეკის ჩამტარებელი პირების მიკერძოებასთან დაკავშირებით, მათ აცილება უნდა დაეყენონ; საცხოვრებელში ან სათავსოში ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ვარაუდი, რომ ეჭვმიტანილი იქ იმალება, ან ამოსაღები საგანი ან ნივთმტკიცებულება შეიძლება იქნეს აღმოჩენილი; ჩხრეკა არ შეიძლება ჩატარდეს კვირას ან სადღესასწაულო დღეს ან ღამით, გარდა მნიშვნელოვანი და გარდაუვალი საფრთხის არსებობის შემთხვევისა; ჩხრეკის დასაწყისში გამომძიებელმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სათავსოს მფლობელს აცნობოს ჩხრეკის მიზანი. ასევე ამ უკანასკნელს ან მის ოჯახის წევრს უნდა ეთხოვოს დაესწროს ჩხრეკას; ჩხრეკას უნდა დაესწროს ასევე საჯარო მოხელე, რათა უზრუნველყოს, რომ ჩხრეკამ არ გადაუხვიოს მიზანს; ჩხრეკის ოქმი დაუყოვნებლივ უნდა შედგეს იმ პირების თანდასწრებით, რომლებიც ესწრებოდნენ მას და მოთხოვნის შემთხვევაში მათ უნდა გადაეცეთ ოქმის ასლი და ჩხრეკის ორდერი; დოკუმენტების ჩხრეკა ექვემდებარება სპეციალურ შეზღუდვებს; გარემოების მიუხედავად, ეჭვმიტანილებს აქვთ წარმომადგენლობის უფლება; ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა საგამომძიებო მოქმედება და რომელსაც აქვს ინტერესი, შემონმდეს ამ ღონისძიების კანონიერება, უნდა შეეძლოს სასამართლოში გასაჩივრება; თუ არ დადასტურდა ვარაუდი, „ეჭვმიტანილს“ შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება მიყენებული ზარალისთვის.“ იხ., მჭედლიძე ნ., კორკელია კ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2003, 198-199.

ბისას „განმცხადებლის და სხვა მონმეების ყოფნა ჩხრეკის ადგილას, მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული, როგორც ფაქტორი იმისა, რომ აპელანტს საშუალება აქვს აკონტროლოს ჩხრეკის ფარგლები, თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, სასამართლოს შესაბამისი ნებართვის ან შემდგომი შემონმების გარეშე ვერ იქნება გამოირიცხული იმის რისკი, რომ გამოძიებლები უფლებამოსილებას ბოროტად არ გამოიყენებენ“<sup>57</sup>. ევროსასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული სტანდარტები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეხება ჩხრეკა-ამოღების ყველა იმ ძირითად ასპექტს, რომლის დაუცველობამაც შეიძლება გამოიწვიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არამართლზომიერი შეზღუდვა. მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს მონმეების ყოფნას ჩხრეკის ადგილზე, შესაძლებელია ქართულ სინამდვილეშიც იქნეს გამოყენებული. აუცილებელი არ არის, რომ მტკიცებულების სახით წარდგენილ იქნეს ჩხრეკის ვიდეოჩანაწერი, სამართალდამცავი ორგანოების მართლზომიერ ქმედებას კიდევ უფრო გაამყარებდა მონმე, რომელიც ესწრებოდა ან შეესწრო ჩხრეკის ფაქტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოსთვის წინგადადგმულ ნაბიჯია, ვინაიდან სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას გამოძიების პროცესში მონაწილე პირთა, მათ შორის, ბრალდებულის უფლებები. ეს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაა.<sup>58</sup> ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის ჩხრეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძვლად განხილვა ყოველად დაუშვებელია, ვინაიდან იგი, ფაქტობრივად, ბრალდებულს ართმევს შესაძლებლობას, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა მაშინ, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები არამართლზომიერად მოქმედებენ და როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდების მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას, არ და-

<sup>57</sup> Guide on Article of the European Convention on Human Rights (Right to Respect for Private and Family Life, Home and Correspondence), European Court of Human Rights, 2019, 78.

<sup>58</sup> ნერდოკი ჯ., როშე რ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურება, ევროპის საბჭო, 2013, 17.

ასახელოს ინფორმაციის ავტორის ვინაობა.<sup>59</sup> მართებულად იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ, როდესაც აღნიშნული საკითხი განიხილა კონსტიტუციით განმტკიცებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან ერთად, ვინაიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთმტკიცების ჩხრეკის ჩატარების საფუძველად მიჩნევა პირდაპირ ხელყოფს ადამიანის პირად ცხოვრებას.

დაუშვებელია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, მაშინ, როდესაც ანონიმური პირის მიერ მითითებული ინფორმაცია, თავისი არსით, შესაძლებელია განიხილოს, როგორც ირიბი ჩვენება.<sup>60</sup> სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უნდა აკმაყოფილებდეს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, იგი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.<sup>61</sup> კონფიდენცისგან მიღებული ინფორმაცია და მის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთმტკიცება არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, როდესაც მხარე აპელირებს, რომ მას ნარკოტიკი „ჩაუდეს“. ასეთ დროს აუცილებელია, საგამოძიებო ორგანომ იზრუნოს დამატებითი მტკიცებულების მოპოვებაზე, როგორცაა, მაგალითად, მესამე პირის გამოკითხვა, ასევე, ვიდეო ჩანაწერი, ვინაიდან სწორედ სახელმწიფოს აკისრია მტკიცების ტვირთი და ამასთან, აღნიშნული სხვა გარემოება კიდევ უფრო სარწმუნოს გახდიდა მათ კეთლსინდისიერ ქმედებას.<sup>62</sup> როდესაც სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ შესაძლებლობა და არაფერი უშლით ხელს, უნდა იზრუნონ დამატებითი, ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებაზე. აღ-

---

<sup>59</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.

<sup>60</sup> იქვე, II, 2.1, 81-84.

<sup>61</sup> საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

<sup>62</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.

ნიშნულ საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქართველოს კონსტიტუციის 31 მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით, რომელიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ გამომტყუნებელი განაჩენი მიღებული უნდა იქნეს უტყუარი მტკიცებულების საფუძველზე. გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად მსჯელობს ამ საკითხზე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულად თანხვდება კონსტიტუციის სულისკვეთებას. არ შეიძლება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

#### IV. დასკვნა

სტატიის ფარგლებში განხილულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულ ჩხრეკას უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო მოქმედებისთვის კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის გვერდის ავლა ნათელყოფს, რომ სასამართლოს განჩინების გარეშე ხშირად ხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა, რასაც კიდევ უფრო ახალისებს სასამართლოების მხრიდან ამგვარ ჩხრეკა-ამოღებათა უმრავლესობის დაკანონება. ჩატარებული ჩხრეკის ღონისძიების კანონიერების შემოწმებისას სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი არაა ჩხრეკის შედეგი, მთავარია, მოსამართლეს შეექმნას შინაგანი რწმენა იმის თაობაზე, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, დასაბუთებულ ვარაუდთან ერთად, არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის წინაპირობები. ჩხრეკის ჩატარება შესაძლებელია კონფიდენცისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა აქვე წარმოშობს ვალდებულებას, რომ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, უნდა იზრუნონ დამატებითი მტკიცებულების მოპოვებაზე, რომელიც უფრო გაამყარებდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.

დაუშვებელია ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენება იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ასევე დაუშვებელია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, მსგავსი ინფორმაცია ნამდვილად ვერ დააკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის უფლებებისა და ინსტერესების მნიშვნელობას, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბრალდების მხარის მიერ, რათა არავინ გახდეს უსამართლო გადანყვეტილების მსხვერპლი. გადანყვეტილება ფაქტობრივად ცვლის სასამართლოებში დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას და ამკვიდრებს ახალ მექანიზმს, რომელიც შეესაბამება არა მარტო საქართველოს კონსტიტუციას, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.



**LEGALITY OF THE URGENT SEARCH AND ADMISSIBILITY  
OF THE EVIDENCE SEIZED AS A RESULT OF THE  
SEARCH: ANALYSES OF THE DECISION OF THE  
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA**

**Nino Kartskhia\***

The article discusses the decision of the Constitutional Court of Georgia (December 25, 2020) which is related to an urgent search. The decision makes it clear that in practice, the state interferes a right to privacy, without a relevant basis and the evidences seized as a result of it this are often recognized by the courts. In many cases urgent search based on the operative information of the confident and the persons had not enough possibilities to defend their selves. Constitutional Court declared such practice unconstitutional and once again emphasized the importance of the rights and interests of the accused person in the criminal proceedings.

New decision changes the established case law of the ordinary courts and introduces a new mechanism that complies not only with the Constitution of Georgia, but also with the European Convention on Human Rights.

**Keywords:** Urgent Necessity, Search, Operative Information, Confident, Beyond a Reasonable Doubt, Investigation, Right of Privacy, Evidence.

---

\* Ph.D. Candidate at Grigol Robakidze University, Chief Instructor of the Academy of the Ministry of Internal Affairs. [orcid.org/0000-0002-3578-9529](https://orcid.org/0000-0002-3578-9529).

## გუსტავ რადბრუხი და „სამართლის ფილოსოფიის“ ქართული თარგმანი

დიმიტრი გეგენავა\*

### I. შესავალი

სამართლის განვითარების ისტორიაში უამრავი გამორჩეული იურისტი, ვისაც სხვადასხვა გზითა და მოცულობით დაუტყვია კვალი სამართლებრივ აზროვნებაზე. თითოეულ მიმდინარეობასა და მიმართულებას თავისი გამორჩეული ლიდერი ჰყავს. რა თქმა უნდა, მათი შეხედულებები, მოსაზრებები და იდეები ყოველთვის არაერთგვაროვნად აღიქმება, რაც სრულიად ბუნებრივია ისეთ ეგოცენტრულ სივრცეში, როგორც იურიდიული საზოგადოებაა. გუსტავ რადბრუხი ერთ-ერთი გამონაკლისი იურისტი, ვისაც პატივს სცემენ და განსაკუთრებულად აფასებენ როგორც კონტინენტურევეროპულ, ისე ანგლოამერიკულ სამართალში. იგი თვითმყოფადი იურისტი, ვინც არა მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით, არამედ პიროვნულადაც აჩვენა ადამიანობის გამორჩეული მაგალითი და თამამად შეიძლება ეწოდოს „სამართლის ფილოსოფიის გერმანულენოვანი ბოლო კლასიკოსი“<sup>1</sup>.

რადბრუხის შემოქმედება მრავალმხრივია და მოიცავს ნაშრომებს როგორც სისხლის სამართლის, ისე ზოგადი იურისპრუდენციის, სამართლის ფილოსოფიის, ინგლისური და ამერიკული სამართლის, პოლიტიკისა და ისტორიის მიმართულებით,<sup>2</sup> ასევე დიდი იუ-

---

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი. [orcid.org/0000-0003-3269-3924](https://orcid.org/0000-0003-3269-3924).

<sup>1</sup> გამყრელიძე ს., გუსტავ რადბრუხი – მეცნიერი და მინისტრი, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 67.

<sup>2</sup> Pock M.A., Gustav Radbruch's Legal Philosophy, St. Louis University Law Journal, Vol.7, No.1, 1962, 58.

რისტების ბიოგრაფიებს<sup>3</sup>. რაც შეეხება მის „სამართლის ფილოსოფიას“, იგი სამართლებრივი ლიტერატურის კლასიკაა, რომელიც ქრესტომათიულ ნაშრომად მიიჩნევა და დღემდე შთააგონებს იურისტთა თაობებს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც სამართალი არა უბრალოდ ყოველდღიურობის ნაწილი ჰგონია, არამედ გაცილებით მაღალი და დიდი დანიშნულების სოციალური სისტემა, რომლის ამოსავალი იდეაც ადამიანი და თავისუფლებაა. „სამართლის ფილოსოფიის“ ქართული თარგმანის გამოცემა უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონეა ქართული სამართლისთვის და უდავოდ გამორჩეული მოვლენაა, რომელიც სათანადო აღნიშვნასა და ყურადღებას იმსახურებს. სწორედ რადბრუხის, მის მოძღვრებასა და „სამართლის ფილოსოფიის“ ქართულ თარგმანს მიმოიხილავს სტატია და ცდილობს წარმოაჩინოს სამართლის აკადემიური კლასიკის ამ ნიმუშის მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სინამდვილისთვის.

## II. გუსტავ რადბრუხი და მისი მოძღვრება

### 1. ევროპული სამართლის ფილოსოფიის განსხვავებული კლასიკოსი

გუსტავ რადბრუხი დაიბადა 1878 წელს.<sup>4</sup> 1914 წელს კენისბერგის უნივერსიტეტში სისხლის სამართლის პროფესორად იწყებს მუშაობას, პირველი ომის შემდეგ გადავიდა კილში სრულ პროფესორად, 1926 წელს კი შეუერთდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტს. მას ორჯერ ეკავა ვაიმარის რესპუბლი-

<sup>3</sup> იგი ანსელმ ფოიერბახზე დაწერილი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორია (ალსანიშნავია, რომ წიგნი 1934 წელს ვენაში გამოიცა). იხ., გამყრელიძე ს., გუსტავ რადბრუხი – მეცნიერი და მინისტრი, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 64.

<sup>4</sup> ფრიდმანი ვ., გუსტავ რადბრუხი, თ. ჯანიკაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N3, 2019, 3.

კის იუსტიციის მინისტრის თანამდებობა: 1921 წელს ჯერ კანცლერ ვირტის, მოგვიანებით კი სტრესემანის კაბინეტში.<sup>5</sup>

რადბრუხი მცირე ხნით სამართლის პრაქტიკაშიც იყო, თუმცა მალევე დაანება თავი, რადგან, მისივე სიტყვებით, სამართალი გლობალურად, ზოგად კონტექსტში გაცილებით აინტერესებდა და ხიბლავდა, ვიდრე მისი განკერძოებული გამოვლინებები.<sup>6</sup> მის პიროვნებაში ერთმანეთს ეთავსებოდა რაციონალური გერმანელი იურისტი, შესაბამისი ცხოვრების სტილითა და ხელოვნების მოტრფიალე არაორდინალური ადამიანი.<sup>7</sup> განსაკუთრებით უყვარდა ჰუმანიტარული მიმართულებები, ციცირონისეული და შემდგომში ალორძინების ეპოქის გაგებით, ასევე აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული სიყვარული ლათინურისადმი.<sup>8</sup> აღნიშნული ნათლად იგრძნობა „სამართლის ფილოსოფიის ხუთ წუთში“, რომელიც იმდენად დიდ აზრს იტევს ხატოვნად და შემოქმედებითად გადმოცემულ რამდენიმე აბზაცში,<sup>9</sup> რომ შეიძლება ეწოდოს პოეზია სამართალში.

1933 წლის 9 მაისს დაითხოვეს სამსახურიდან და ნაცისტური ხელისუფლების პირობებში ფაქტობრივად აუკრძალეს უნივერსიტეტში სწავლება.<sup>10</sup> ჰაიდელბერგის უნივერსიტეტიდან დათხოვნის შემდეგ რადბრუხი ერთი წელი ოქსფორდის უნივერსიტეტში იმყოფებოდა.

---

<sup>5</sup> Pock M.A., Gustav Radbruch's Legal Philosophy, St. Louis University Law Journal, Vol.7, No.1, 1962, 57. აღსანიშნავია, რომ 1928 წელს მინისტრობა მესამჯერაც შესთავაზეს, თუმცა თანამდებობაზე უარი თქვა. იხ., გამყრელიძე ს., გუსტავ რადბრუხი – მეცნიერი და მინისტრი, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 63.

<sup>6</sup> Pock M.A., Gustav Radbruch's Legal Philosophy, St. Louis University Law Journal, Vol.7, No.1, 1962, 57.

<sup>7</sup> გამყრელიძე ს., გუსტავ რადბრუხი – მეცნიერი და მინისტრი, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 57.

<sup>8</sup> Wolf E., Revolution or Evolution in Gustav Radbruch's Legal Philosophy, Translated by M. Cowan, Natural Law Forum, Vol.3, 1958, 5.

<sup>9</sup> იხ., რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, ჟურნ. „სარჩევი“, N1-2(3-4), 2012.

<sup>10</sup> გამყრელიძე ს., გუსტავ რადბრუხი – მეცნიერი და მინისტრი, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 64.

ფეზოდა კვლევითი მივლინებით.<sup>11</sup> ამ პერიოდში განსაკუთრებით დაინტერესდა ანგლოამერიკული სამართლითა და სამართლის ფილოსოფიით, რომელიც მის შედარებითსამართლებრივ კვლევებშიც აისახა.<sup>12</sup> მესამე რაიხის პოლიტიკასდმი თავისი პრინციპული და შეურიგებელი პოზიციების გამო იგი მიუღებელი იყო სამართლებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე.

ნაცისტური რეჟიმის დასრულების შემდეგ რადბრუხი აღადგინეს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე და მეტიც, სამართლის ფაკულტეტის დეკანადაც მოუწია მუშაობა. მან შექმნა სამართლებრივი და იდეოლოგიური საფუძველი როგორც ნაცისტური რეჟიმის გასამართლებისთვის, ისე სამომავლოდ გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების სისტემის სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოსაყალიბებლად. ამ და უამრავ მიზეზთა გამო იგი ომისშემდგომი გერმანიის ბუნებითსამართლებრივი რენესანსის მცირე პერიოდის ლიდერად იქცა.<sup>13</sup>

უამრავ დაბრკოლებასთან ერთად მის ცხოვრებაში მრავლად იყო პირადი ტრაგედიებიც, რომელთაც გავლენა იქონიეს მის ჯანმრთელობაზე. იგი არცთუ ქარმაგ ასაკში 1949 წლის 23 ნოემბერს გარდაიცვალა,<sup>14</sup> თუმცა მოასწრო სამართალსა და თანამედროვე სამართლებრივ აზროვნებაზე შესამჩნევი კვალის დატოვება.

## 2. რადბრუხის მოძღვრება სამართალსა და სამართლიანობაზე

რადბრუხისეული სამართლის ფილოსოფია სამი ძირითადი მიმართულებით შეიძლება დახასიათდეს: 1. სამართლიანობას, სამართლებრივ უსაფრთხოებასა და მიზანშეწონილობას შორის გა-

<sup>11</sup> Paulson S.L., Radbruch on Unjust Laws: Competing Earlier and Later Views?, Oxford Journal of Legal Studies, Vol.15, 1995, 489.

<sup>12</sup> იხ., Radbruch G., Anglo-American Jurisprudence through Continental Eyes, Law Quarterly Review, Vol.52, No.4, 1936, 530-545.

<sup>13</sup> იხ., Paulson S.L., Radbruch on Unjust Laws: Competing Earlier and Later Views?, Oxford Journal of Legal Studies, Vol.15, 1995, 489.

<sup>14</sup> გამყრელიძე ს., გუსტავ რადბრუხი – მეცნიერი და მინისტრი, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 67.

დაუჭრელი ანტინომიურობა;<sup>15</sup> 2. არსისა და ჯერარსის მეთოდოლოგიური დუალიზმი; 3. დემოკრატიის ფორმალური, ღირებულებებისადმი ნეიტრალური, სამართლებრივ-ტექნიკური კონცეფციის უარყოფა დემოკრატიის მორალური კონცეფციის სასარგებლოდ.<sup>16</sup>

რადბრუხი ნეოკანტიანურ-პოზიტივისტურ შეხედულებებს ავითარებდა.<sup>17</sup> მან არსისა და ჯერარსის მეთოდოლოგიური დუალიზმი რელატივიზმს დაუკავშირა.<sup>18</sup> მისთვის სამართალი, უპირველეს ყოვლისა, კულტურული ფენომენი<sup>19</sup> და სინამდვილეა, რომელიც სრულად უკავშირდება სამართლებრივ ღირებულებებსა და სამართლის იდეას.<sup>20</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ნორმატივისტებისგან განსხვავებით, იგი სამართალს სხვა სისტემებისგან, მათ შორის, პოლიტიკისგან, განყენებულად არ აღიქვამს, მეტიც, მისივე სიტყვებით: „სამართლის მეცნიერება არ უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკისგან, რამეთუ ერთ დღეს პოლიტიკამ არ ისურვოს სამართლის მეცნიერებისგან გათავისუფლება“<sup>21</sup>. რადბრუხისეულ სამართლის ფილოსოფიას სისტემატურ რელატივიზმად, მატერიალისტურ პოზიტივიზმად ან განმანათლებლობის რაციონალიზმად მოიხსენიებენ.<sup>22</sup>

ზეპოზიტიური ნორმების შესახებ კონცეფცია მან ჯერ კიდევ 1906 წელს წამოაყენა.<sup>23</sup> ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა

---

<sup>15</sup> Bix B.H., Radbruch's Formula and Conceptual Analysis, *American Journal of Jurisprudence*, Vol.56, 2011, 47.

<sup>16</sup> Wolf E., *Revolution or Evolution in Gustav Radbruch's Legal Philosophy*, Translated by M. Cowan, *Natural Law Forum*, Vol.3, 1958, 2.

<sup>17</sup> გამყრელიძე ს., გუსტავ რადბრუხი – მეცნიერი და მინისტრი, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 58.

<sup>18</sup> Paulson S.L., *Radbruch on Unjust Laws: Competing Earlier and Later Views?*, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol.15, 1995, 490.

<sup>19</sup> რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფია, გ. ჯიმშელაძის თარგმანი, გ. რადბრუხის რედაქტორობით, თბილისი, 2022, 17, 44, 53.

<sup>20</sup> იქვე, 44.

<sup>21</sup> გამყრელიძე ს., გუსტავ რადბრუხი – მეცნიერი და მინისტრი, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 63.

<sup>22</sup> Wolf E., *Revolution or Evolution in Gustav Radbruch's Legal Philosophy*, Translated by M. Cowan, *Natural Law Forum*, Vol.3, 1958, 15.

<sup>23</sup> იქვე, 5.

კიდევ სამართლის ფილოსოფიის მისეული ხედვა. სამართლებრივი პოზიტივიზმსა და ნატურალიზმს შორის ბალანსის ძიებამ რადბრუხი, საბოლოო ჯამში, სამართლიანობამდე მიიყვანა,<sup>24</sup> რომელიც, მისი აზრით, არის კიდევ სამართლის იდეა.<sup>25</sup> სამართლიანობისადმი მის დამოკიდებულებაზე ნათლად მეტყველებს საკუთარი ხელით გაკეთებული მინაწერი „სამართლის ფილოსოფიის“ საკუთარ ეგზემპლარზე: „სამართლიანობა და არა მიზანშეწონილობა არის სამართლის იდეალი“.<sup>26</sup>

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი“<sup>27</sup>, რომლითაც რადბრუხმა შეაჯამა თავისი სამართლის ფილოსოფია და დაასრულა ფორმულის კონცეფცია. რადბრუხის ფორმულა და სამართლის მისეული გაგება ეფუძნება იმას, რომ ხალხი შეიძლება არ მოელოდეს სამართლებრივი სისტემის უპირობო და სრულ სამართლიანობას, თუმცა უნდა ჰქონდეს მოლოდინი იმ მინიმალური სამართლიანობისა, რომელიც „სამართლებრივის“ იდეისგან მომდინარეობს.<sup>28</sup> რადბრუხის ფორმულა ორი ნაწილისგან შედგება: სამართლებრივ უსაფრთხოებასა და სამართლიანობას შორის კონფლიქტი პირველის გამარჯვებით სრულდება, რადგან დავა უნდა გადაწყდეს სწრაფად, ეფექტიანად, ხოლო კონფლიქტის იმ შემთხვევებში, როდესაც პოზიტიური სამართლის სახელით ქმედებები გაუმართლებელ, უკიდურეს ზღვარს აღწევს, უნდა გაიმარჯვოს ბუნებითმა სამართალმა.<sup>29</sup> უკიდურესად უსამართლო კანონებს არ უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ძა-

<sup>24</sup> გამყრელიძე ს., გუსტავ რადბრუხი – მეცნიერი და მინისტრი, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 60.

<sup>25</sup> რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფია, გ. ჯიმშელაძის თარგმანი, გ. რადბრუხის რედაქტორობით, თბილისი, 2022, 45.

<sup>26</sup> Wolf E., *Revolution or Evolution in Gustav Radbruch's Legal Philosophy*, Translated by M. Cowan, *Natural Law Forum*, Vol.3, 1958, 13.

<sup>27</sup> იხ., რადბრუხი გ., კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, დ. გეგენავას თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2012, 247-249.

<sup>28</sup> Bix B.H., *Radbruch's Formula and Conceptual Analysis*, *American Journal of Jurisprudence*, Vol.56, 2011, 50.

<sup>29</sup> იხ., *Corpus Juris*, წიგნი I, სამართალმცოდნეობის საკითხები, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2015, 31. ხუბუა გ., სამართლის თეორია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015, 45-46.

ლა და შესაბამისად, არ უნდა გამოიყენებოდნენ სამართალშეფარდებისას.<sup>30</sup> რადბრუხი სამართალშემფარდებელზეა ორიენტირებული და არა კონცეპტუალურ საკითხზე, რომელიც უნივერსალური იქნება ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგის პირობებში.<sup>31</sup> იგი აქტუალურია გარდამავალ რეჟიმებში და განსაკუთრებით მოსამართლეებისთვის, რომელთაც ორ სხვადასხვა პერიოდში უწევთ სამართალშეფარდება.<sup>32</sup> რადბრუხის ფორმულას არაერთი გამოხმაურება მოჰყვა,<sup>33</sup> იგი იქცა ჰარტი-ფულერის დებატების ცენტრალურ საკითხად,<sup>34</sup> აისახა როგორც სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ, ისე საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში.<sup>35</sup>

### III. „სამართლის ფილოსოფია“ ქართულად

„სამართლის ფილოსოფია“ რადბრუხის სიცოცხლეში სულ სამჯერ გამოქვეყნდა: პირველად 1914 წელს, მეორედ უცვლელად – 1922 წელს, საბოლოოდ კი – 1932 წელს.<sup>36</sup> მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ შესთავაზეს, მან უარი თქვა წიგნის ხელახალ, გადა-

---

<sup>30</sup> Bix B., Robert Alexy, Radbruch's Formula, and The Nature of Legal Theory, *Rechtstheorie*, Vol.37, No.2, 2006, 142.

<sup>31</sup> იქვე, 140-141; Bix B.H., Radbruch's Formula and Conceptual Analysis, *American Journal of Jurisprudence*, Vol.56, 2011, 53;

<sup>32</sup> იქვე, 51.

<sup>33</sup> იხ., ფრიდმანი ვ., გუსტავ რადბრუხი, თ. ჯანიკაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, *ჟურნ. „სამართლის მეტოდები“*, N3, 2019, 1-2; ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, *ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“*, N7, 2013, 24-35.

<sup>34</sup> Bix B.H., Radbruch's Formula and Conceptual Analysis, *American Journal of Jurisprudence*, Vol. 56, 2011, 48. უშუალოდ დებატები იხ., Hart H.L.A., Positivism and the Separation of Law and Morals, *Harvard Law Review*, Vol.71, No.4, 1958, 593-629; Fuller L.L., Positivism and Fidelity to Law – A Reply to Professor Hart, *Harvard Law Review*, Vol. 71, No. 4, 1958, 630-672.

<sup>35</sup> მაგალითად იხ., BVerfGE 95, 96; Streletz, Kessler and Krenz v. Germany [EctHR], App. Nos. 34044/96, 35532/97 and 44801/98, 22 March 2001.

<sup>36</sup> Pock M.A., Gustav Radbruch's Legal Philosophy, *St. Louis University Law Journal*, Vol.7, No.1, 1962, 58; Wolf E., Revolution or Evolution in Gustav Radbruch's Legal Philosophy, Translated by M. Cowan, *Natural Law Forum*, Vol.3, 1958, 3.



მუშავებულ გამოცემაზე, რადგან იგი დასრულებულად მიაჩნდა და არ სურდა რაიმე ცვლილების შეტანა.<sup>37</sup> 1948 წელს რადბრუხმა თავისი ორი სტუდენტის თანამონაწილეობით გამოაქვეყნა „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“, რომელსაც პრინციპულად დაურთო სახელწოდებაში „შესავალი“, რათა არ გაეიგივებინათ წიგნი „სამართლის ფილოსოფიასთან“.<sup>38</sup> ამ უკანასკნელის საბოლოო, მეოთხე რედაქცია მის ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლეს, ერიკ ვოლფს ეკუთვნის, რომელმაც „სამართლის ფილოსოფია“ 1950 წელს გამოსცა.<sup>39</sup> ვოლფმა არაერთი მნიშვნელოვანი და სასარგებლო კომენტარი დაურთო გამოცემას, რითაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა და შეავსო წიგნი.

ქართული სამართლებრივი ლიტერატურა არაა განებზერებული აკადემიური ნაშრომების სიმრავლით, მით უმეტეს, ძალზე იშვიათად ქვეყნდება სამართლის კლასიკას მიკუთვნებული ტექსტები. რადბრუხის „სამართლის ფილოსოფიის“ ქართულენოვანი გამოცემა არა მხოლოდ იმითაა გამორჩეული, რომ იგი თანამედროვე სამართლის ე.წ. სავალდებულო საკითხავთაგანია, არამედ იმითაც, რომ მისი შინაარსი, ისევე როგორც ავტორი, თანამედროვე საქართველოსთვის მეტად აქტუალურია. ძალზე ხანგრძლივი პოსტ-საბჭოთა პერიოდისთვის არაფერი ისე მნიშვნელოვანი არაა, როგორც სამართლიანობაზე ორიენტირებული აკადემიური ლიტერატურა, რომელიც სწორი ღირებულებებისა და ღირებულებითი წესრიგის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. როგორც თავად რადბრუხი აღნიშნავდა, „სამართალი ინდივიდს უნდა ემსახურებოდეს – სამართალმა შესაძლებელი უნდა გახადოს ინდივიდუალური ზნეობრიობა – სამართალმა ხელი უნდა შეუწყოს ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველყოფას – რამდენადაც ეს შესაძლებელია“<sup>40</sup>.

<sup>37</sup> Wolf E., *Revolution or Evolution in Gustav Radbruch's Legal Philosophy*, Translated by M. Cowan, *Natural Law Forum*, Vol.3, 1958, 3.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> Pock M.A., *Gustav Radbruch's Legal Philosophy*, *St. Louis University Law Journal*, Vol.7, No.1, 1962, 58.

<sup>40</sup> რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფია, გ. ჯიმშელაძის თარგმანი, გ. რადბრუხის რედაქტორობით, თბილისი, 2022, 83.

გამოცემის მასშტაბისა და მნიშვნელობის, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ნაშრომი გერმანულადაა შესრულებული, მისი თარგმნა ძალიან რთული საქმეა. ასეთი დონის წიგნის თარგმნისას გასათვალისწინებელია უამრავი ნიუანსი, რომელიც ენობრივ წინააღმდეგობებთან ერთად, სამართლისა და ფილოსოფიის ცნებათა სიუხვესაც უკავშირდება. მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, შეიძლება ითქვას, რომ „სამართლის ფილოსოფიის“ ქართული თარგმანი შესანიშნავად გადმოსცემს რადბრუხის სათქმელს ქართულ ენაზე, რაც მთარგმნელის, გიორგი ჯიმშელაძის პროფესიონალიზმის დამსახურებაა. რადბრუხისეული სტილის, შემოქმედებითობისა და პოეტურობის შენარჩუნება ნამდვილად საპასუხისმგებლოა: არ უნდა დაიკარგოს ტექსტის შინაარსობრივი მხარე, ამასთან, უნდა იგრძნობოდეს ორიგინალის ავტორისათვის დამახასიათებელი სიღრმე და უნიკალური სიმსუბუქე, რითაც გუსტავ რადბრუხი ნამდვილად გამოირჩეოდა. ქართულენოვანი გამოცემის სამეცნიერო რედაქტორია გიორგი მესხი, რომლის წვლილიც ასევე დიდია ტექსტის აკადემიურ სისუფთავესა და ორიგინალთან შესატყვისობაში.

2022 წლის ქართულენოვანი გამოცემა პირველია და მას ბუნებრივად უნდა მოჰყვეს მეორე გამოცემა, რომელშიც გამოსწორდება უმნიშვნელო ტექნიკური ხარვეზები, გაიმართება სტილისტურად, თუმცა ეს ყოველივე სულაც არ აკნინებს წიგნის შინაარსობრივ მხარესა და თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი უდიდეს მისიას ასრულებს: უამრავ ადამიანს (არა მხოლოდ იურიდიული საზოგადოების წარმომადგენელს) შესაძლებლობა ექნება, ქართულად ეზიაროს სამართლებრივ კლასიკას, ეს კი აღნიშვნის ღირსია არა მხოლოდ მკითხველის, არამედ გაცილებით ფართო, სახელმწიფოებრივი მასშტაბითაც, ვინაიდან სამართლებრივი კულტურა იმითაც ფასდება, თუ რაოდენ ბევრი ღირებული აკადემიური ნაშრომის გაცნობა შეიძლება ამ სამართლებრივი სისტემის ოფიციალურ სამუშაო ენაზე.

#### **IV. დასკვნის ნაცვლად**

სამართალში, თვით სამართლის ფილოსოფიაშიც კი ვერ მოიძებნება ბევრი, ვისაც როგორც თავისი შეხედულებებით, ისე ცხოვ-

რების წესით დაუმტკიცებია სამართლებრივი იდეალების ერთგულება. ეს ძალზე სამწუხაროა და კიდევ უფრო ამძაფრებს იმ ფესვგადგმულ სტერეოტიპებს იურისტებსა და სამართალზე, რომლებიც საქართველოში დღემდე არცთუ უსაფუძვლოდ არსებობს. ამ პრობებში გუსტავ რადბრუხისა და მისი აკადემიური შემოქმედების გახსენება გარკვეულწილად შემოძახილია, ერთგარი სურვილი, სამართალმა და მისმა წარმომადგენლებმა ღირებულებებსა და ღირებულებითი წესრიგის დამკვიდრებაზე იზრუნონ.

„სამართლის ფილოსოფიის“ ქართული თარგმანი ბევრისთვის შთაგონების წყაროდაც იქცევა და სრულიად შესაძლებელია მან პრაქტიკული წვლილი შეიტანოს საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს შენებისა და სამართლებრივი კულტურის განვითარების საქმეში. ამ თარგმანით მხოლოდ და მხოლოდ მცირე კარი იღება სამართლის კლასიკის უკიდევანო სივრცეში, რომელშიც თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია გუსტავ რადბრუხს – ევროპული სამართლის ფილოსოფიის ყველასგან განსხვავებულ და გამორჩეულ კლასიკოსს.

**GUSTAV RADBRUCH AND GEORGIAN  
TRANSLATION OF “PHILOSOPHY OF LAW”**

**Dimitry Gegenava\***

Gustav Radbruch is one of the most extraordinary and popular legal philosophers, who represents German school, but he cannot be named typical German lawyer. His understanding of law and justice inspired many generations of lawyers in all over the world. Radbruch's formula played very important role in the development of the legal thought in twentieth century.

His “Philosophy of Law” has been translated to Georgian by Giorgi Jimsheladze and published in 2022 (Edited by Giorgi Meskhi). Article overviews Radbruch's personality and his works, also discusses Georgian translation of the book.

Keywords: Radbruch, Philosophy of Law, Radbruch's Formula, Georgian Translation of Radbruch.

---

\* Vice Rector, Professor at Sul Khan-Saba Orbeliani University, Director of Prince David Institute for Law. [orcid.org/0000-0003-3269-3924](https://orcid.org/0000-0003-3269-3924).